ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

იფ,ფხბ-რდბჰფ

@% 2 @^ st,thdfkb7 @)!@ 147 (5737) afcb5 #) stshb

@% სტ,ტჰდკბლფყ
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ბორის აკუნინი
ლევიათანი
შემდეგი — ჩარლზ პ. სნოუ
სიკვდილი იალქნის ქვეშ
წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი





## ივანიშვილის მეუღლე სააკაშვილს 20 ათას ლარს სთხოვს

გვ.4



შოთა მალაშხია: იმხელა ძალა გვაქვს, რომ ქრისტიან-დემოკრატებს ვჩუქნით ხმებს“

გვ.2



კოკა გუნცაძე: არჩევნების გაყალბებას აღარ დავუშვებთ!“

გვ.3



დავით სოკოლოვი: თ უ საჭირო გახდა, ქუჩაშიც გავალ!“

გვ.6



რატომ ბლოკავენ ნოდარ ნიკოლაიშვილს

გვ.7

როგორ ჩაეშალათ რუსებს ლაშქრობა დარიალში

გვ.4







საქართველო MINI-ს დიდი სამყაროს ნაწილი გახდა!

ომეგა მოტორსს BMW ჯგუფმა MINI-ს გენერალური იმპორტიორის სტატუსი მიანიჭა

გვ.4

სომხები ევროვიზიის“ კონკურსს ბოიკოტს უცხადებენ

გვ.9

ISSN 1987-9385




ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ჰეპლტკნბ
* კფჰბ
@@ სტ,ტჰდკბლფყ




კევ]ბ ობსტკბ .ლბსტკბ იფლბ

# შოთა მალაშხია: იმხელა ძალა გვაქვს, რომ ქრისტიან-დემოკრატებს ვჭუქნით ხმებს“

ქეთი ხომერიკი

**როგორ აფასებს „კაგებეშნიკი“ პუტინის განცხადებას ქართველ ხალხთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ, რას უკავშირებს ანქვაბზე თავდასხმას, გაურიგდნენ თუ არა გელბახიანს და რატომ არის დარწმუნებული, რომ პატარა მიშად წოდებული ივანიშვილი არჩევნებზე 18% აიღებს, ანუ დიდი მიშა კვლავ გაიმარჯვებს? „ახალ თაობას“ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია ესაუბრა.**

**შოთა მალაშხია:**

– პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ პუტინის რიტორიკა არაფრით არ განსხვავდება მისი წინამორბედების, ვგულისხმობ, საბჭოთა კავშირის ლიდერების რიტორიკისგან. მაგალითად, თუ გადაშლით მაშინდელ ,,პრავდას“ და ამდაგვარ გაზეთებს, ნახავთ, რომ ფინეთზე თავდასხმის დროს პოლიტბიუროს წევრები და სტალინი საუბრობდნენ, მათ უყვართ ფინელი ხალხი, მაგრამ არ უყვართ ფინეთის ბურჟუაზიული ხელისუფლება. ასეთივე იყო ბალტიისპირეთში შეჭრის დროს, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ავღანეთში და ა.შ. ანუ იცვლება ხელისუფლება, პიროვნებები, მაგრამ მათი მენტალიტეტი არ იცვლება. ასევე არ შეიცვალა კაგებეშნიკი, მაიორი პუტინის მენტალიტეტი, რომელსაც არ უყვარს თავისი ხალხი და როგორ შეიძლება უყვარდეს ქართველები?! მე მგონი, სიტუაცია არის საკმაოდ მძიმე, იმაზე მძიმე, ვიდრე ჩვენ ან მასაც წარმოუდგენია. ალბათ, კანით გრძნობს ეს ყოფილი და დღევანდელი კაგებეშნიკიც, რომ მძიმე მდგომარეობაა და ის ტალღა, რომელიც არის ქუჩაში, აუცილებლად, მის აპარტამენტებშიც შევა. ამიტომ აკეთებს ასეთ განცხადებებს, რომ ვითომ რაღაცის მოწესრიგება უნდა, ვითომ საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდა, ევრაზიის ფორმის სახით, ვითომ, თუ ის გადადგა, მაშინ დაიღუპება რუსეთი და ა.შ. მთავარია, მას აღიზიანებს საქართველო. მან კარგად იცის, რომ ეს ტალღა, რომელიც საქართველოში არსებობს რეფორმების თვალსაზრისით, აუცილებლად გადავა მის ქვეყანაში, ამიტომ აღიზიანებს ეს ხელისუფლება, თავის ხალხიანად. ეს ადამიანები არიან რეტროგრადები, პროგრესის წინააღმდეგები და ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა პუტინის ამ განცხადებით.

***– ანქვაბზე თავდასხმას რას უკავშირებთ, პუტინის რუსეთის ხელს ხედავთ?***

– ეს ცალსახაა. აი, როდესაც ამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც ძალიან მცირე ხალხი დარჩა რაოდენობით და ჰყავს უამრავი ჯარი, უამრავი სპეცსამსახური, კრიმინალიც, ტერორისტული აქტებიც და ყველაფერი, ხდება ამ სტრუქტურებთან შეთანხმებით. ამის გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია. როდესაც ნახავს ოკუპანტი, რომ იქ არსებული მარიონეტი მას მონური ერთგულებით არ უსრულებს ყველაფერს, რასაც ეუბნება (უსრულებს ყველაფერს, სხვა გზა არ აქვს, მაგრამ ამას პირზე ღიმილით და გახარებული არ აკეთებს), იშორებს, რადგან მას უნდა ჰყავდეს ისეთი ადამიანები, ვინც სიამოვნებით გაუკეთებს ყველაფერს. ამას არ აკეთებდა სიამოვნებით ბა-



ლაფში, თუმცა ყველაფერს უკეთებდა, მაგრამ გაურკვეველ ვითარებაში, გაურკვეველ საავადმყოფოში მოკვდა; ამას არ უკეთებდა ანქვაბი და გაურკვეველ ვითარებაში, მუდმივად ამ რეჟიმში ჰყავს და როგორც ჩანს, არ აპირებდა ამის გაკეთებას ცხინვალის რეგიონის ქალბატონი და სცემეს. ანუ ქალებისთვის გამოწერილი აქვთ ცემა, მამაკაცებისთვის კი სიკვდილი. აი, ეს მეთოდი მოქმედებს, მაგრამ მთავარი რა არის იცით, იმ ხალხმა, ვინც იქ ცხოვრობს, კარგად უნდა იცოდეს, რომ თუ არ სიამოვნებთ ამის გაკეთება, მაშინ სჯობს პირდაპირ თქვან და წავიდნენ ოკუპაციის წინააღმდეგ. თქვან, რომ სრული ასიმილაცია მიდის მოსახლეობის და ა.შ. დიახ, თქვან, რადგან მაინც კლავენ და რა მნიშვნელობა აქვს? აი, ასეთ შემთხვევაში მოკვდებიან ფიზიკურად და გადარჩებიან ისტორიისთვის, თავისი ერისა და ეთნოსისთვის. მეორე შემთხვევაში კი მოკვდებიან საავადმყოფოში, ან რაღაც სხვა მდგომარეობაში და მოკვდებიან, როგორც თავისი ოჯახისთვის, ასევე თავისი ეთნოსისა და ისტორიისთვის.

***– თქვენ რუსეთის, ზოგიერთი აფხაზი და რუსი ექსპერტი კი, საქართველოს კვალს ხედავს, რატომ?***

– ეს ცხადია, ასეც იქნებოდა, მაგრამ ეს არის უკვე კნავილი. რუსეთის ოფიციალური პირები გამოვიდნენ და თქვეს, რომ ეს არის კრიმინალი. მათთვის ძალიან მარტივი იყო ეთქვათ საქართველოზე, მაგრამ ეს იმდენად სასაცილო იქნებოდა, რომ თქვეს, ეს გააკეთა კრიმინალმაო. არც საქართველოსია, არც ჩემი გაკეთებულია, კრიმინალმა გააკეთაო, თქვეს და ახლა, ყოველთვის მოიძებნება ვიღაც, ვინც იტყვის, რომ აქ საქართველოს ხელი ურევია.

***– ისე, საქართველოს ხელისუფლებას გელბახიანთან გარიგებაშიც სდებენ ბრალს, გელბახიანი მესამე ცენტრის შესაქმნელად და ივანიშვილთან დასაპირისპირებლად სჭირდებათო, ამაზე რას იტყვით ?***

– მოდით, ავიღოთ ახლა, ამ ავადმყოფებისთვის, ვინც ამას ლაპარაკობს, მეორე ვარიანტი. დავუშვათ, გელბახიანი დარჩენილიყო ციხეში, მაშინ რა ვარიანტი იქნებოდა? ადამიანი, წამებული, რომელიც ჩამოვიდა დედის სანახავად, რომელიც დღე–დღეზე გარდაიცვლებოდა, ამ ტირანებმა არ გამოუშვეს საპყრობილიდან. ახლა, ეს ვარიანტი, რომ ჩავარდა, არის მეორე ვარიანტი, იმიტომ გამოუშვეს, რომ ამათი კაცია და ა.შ. და არც ერთია მართალი და არც მეორე. სიმართლე არის ის, რომ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, ზოგადი მიდგომებიდან, სხვადასხვა მიმართულებებიდან შეარბილა დამოკიდებულებები და გადაწყვიტა, რომ ის საშიში არ არის მოცემულ სიტუაციაში, ამიტომაც დააკისრა გირაო.

***– თუმცა, სასამართლო ასეთი ჰუმანური, კარგა ხანია არ ყოფილა, რაღაც არ გვახსენდება...***

– ე.ი. არ არის საშიშროება ამ თვალსაზრისით. ეს კაცი რუსეთიდან იყო, ჩვენი დამხობა უნდოდა და რაზე უნდა შევთანხმდეთ? იმაზე, რომ ერთ ნაწილს დაამხობს და მეორეს არა? როგორც ჩანს, არც იქ სჭირდებოდათ, რუსეთში, რადგან ახალი საყრდენები ჰყავთ იგივე ივანიშვილისა და ამათი სახით. ამიტომ, ეს ხალხი აღარ სჭირდებათ. მათაც ნახეს, რომ იქ არ დაედგომებათ და ალბათ, ადამიანურად გადაწყვიტეს თავის ქვეყანაში დაბრუნება. და თუ გააკეთებს რაღაც განცხადებას, რომ სწორედ იმიტომ ჩამოვიდა, რომ გააგრძელოს დამხობა, მაშინ იქნება ის, ანუ, სასამართლო წყვეტს ამას თავის ფარგლებში, პოლიტიკურად კი ეს გადაწყდება პოლიტიკურ ფარგლებში.

***– ივანიშვილი ახსენეთ, მისი გუნდის წევრებს გაცვეთილი სახეები უწოდეთ, ვის მიიჩნევთ გაცვეთილად? დავიჯეროთ, ივანიშვილს კონკურენტებად კვლავაც არ აღიქვამთ?***

– ეს არის თავიანთი საქმე, როგორც უნდა შეიკრიბონ და გადაწყვეტილებები მიიღონ, პირადად ჩვენთვის ისინი კონკურენტებს არ წარმოადგენენ, რადგან ისინი არიან კონკურენტები ლეიბორისტების, ქდმ-ისა და სხვების. ჩვენ გვყავს ჩვენი მყარი ამომრჩეველი. მე ადრეც მითქვამს თქვენთვის და დღეს უკვე სოციოლოგიური კვლევებიც აჩვენებს, რომ არ შეიცვალა ჩვენი მაჩვენებელი – იგივე 65%-ის, ცოტა მეტის, ცოტა ნაკლების ფარგლებშია.

***– ამ სოციოლოგიური კვლევების ბევრს არ სჯერა...***

– ეს გამოჩნდება არჩევნებზეც. თუ არჩევნების არ სჯერათ, კვლევის არ სჯერათ, მაშინ მკითხავებთან უნდა წავიდნენ, სხვა გამოსავალი არ აქვთ. შეიკრიბონ, იმკითხაონ, რატომ გამოუშვეს გელბახიანი, იმიტომ, რომ ხელისუფლებას სურდაო უთხრა მკითხავმა და დაიჯერეს, მეორე მკითხავმა სხვა რამ უთხრა, ისიც დაიჯერეს. არსებობს რაღაც რაოდენობა ხალხის, რომელიც არის განაწყენებული ამ ხელისუფლებაზე, ან პოლიციაში მუშაობდა, ან კორუფციულ საქმეებში იყო, ან მისი ვიღაცეები გვყავს დაპატიმრებული.

***– ან მათი ოჯახის წევრი მერაბიშვილის უწყების თანამშრომლებს ჰყავთ მოკლული, იგივე, ვაზაგაშვილი...***

– იცით, შეიძლება იყო დაშვებული შეცდომა, ამისგან არავინ არ არის დაზღვეული. იქ, არ ვიცი, იქ კიდევ სხვა სიტუაცია იყო. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი აბსოლუტურად, იდეალურად არის, მაგრამ არის კიდევ კატეგორია ხალხის, რომელიც მენტალურად დარჩა საბჭოთა კავშირში.

***– კუკავა–ბურჯანაძის ამომრჩეველს გულისხმობთ?***

– ივანიშვილისაც მათ შორის. აი, ეს ხალხი იყო გაიში და ფულს აკეთებდნენ, იყვნენ საბაჟოზე და ფულს აკეთებდნენ, იყვნენ უნივერსიტეტებში და ჩარიცხვაზე ფულს აკეთებდნენ და ხომ ცოცხლები არიან, არა? და მათთვის ცხოვრება ხომ შეიცვალა! მათ ეგონათ, რომ ის იყო საქართველო, ეგონათ, რომ იქნებოდნენ ,,ჯიგრულ“ სახელმწიფოში, სადაც ქრთამი მოსულა, სადაც იქნებოდა გოჭის თავი ბოლოკით და ეს იქნებოდა ქართველობის და კაცობის მაჩვენებელი. აი, ეს კატეგორია, რაღაც პროცენტით ხომ ისევ დარჩა. ჰოდა, ამ პროცენტის ამომრჩეველი რას ფიქრობს იცით, მოვა ივანიშვილი, დაარიგებს ბილეთებს უკან საბჭოთა კავშირში, სადაც ისევ დააბრუნებენ იმ ჯოხს, დააკავებინებენ, გამოვა და ისევ ფულს გააკეთებს და ა.შ. აი, ესენი ელოდებიან თავის ადამიანს, მაგრამ ეს არასდროს დაბრუნდება, დამთავრებულია!

***– და უამრავი ადამიანი გაჭირვებული და უმუშევარია, ეს ხალხი დაგავიწყდათ? არ მითხრათ, ახლა ხელისუფლებას სწყალობენო...***

– აი, მაგის თქმა მინდოდა ახლა, რომ არის ხალხი მართლაც, პრობლემიდან გამომდინარე, რომ არის უმუშევრობა და ყოველთვის ფიქრობს, ახალი რომ გამოჩნდება, იქნებ რაღაც შეიცვალოს. აი, ამ ნაერთმა გააკეთა იმ ხმების რაოდენობა, რაც არის ივანიშვილის მხარეს და ხმების ზუსტი რაოდენობაც შემიძლია გითხრათ – ეროვნული ფრონტი თუ რაღაც რომ იყო, საბჭო, რომ დაჭრეს მანდატები, ზუსტად იმ რაოდენობით შემოვლენ მომავალ პარლამენტში. ადრე რაც გითხარი ნატოზე, ხომ ახდა, ახლა, რასაც გეტყვით, ისიც ახდება. შევხვდებით მე და თქვენ ოქტომბერში თუ ნოემბერში, როცა იქნება და ნახავთ, რომ რაოდენობრივადაც ამდენი იქნება და სახეებიც დიდად არ შეიცვლება. ისევ ისინი იქნებიან, ვინც მაშინ მანდატები დაჭრა; დიახ, ისევ ისინი შემოვლენ პარლამენტში, ამიტომაც ვამბობთ, ძველი სახეები არიანო. მათ მინიმუმ 4 წლით მაინც დაიგვიანეს, სხვა სახელმწიფოში ვცხოვრობთ უკვე. აი, ამიტომ ვამბობ, რომ ესენი ჩვენთვის კონკურენტები არ არიან.

***– და რატომ გარბიან მაჟორიტარები თქვენთვის არაკონკურენტ ,,ქართულ ოცნებაში“? ითქვა, ბევრ მაჟორიტარს ვიხილავთ ივანიშვილთანო...***

– საერთოდ რა არის იცით, პოლიტიკურ ძალას რაღაც სახელი უნდა ერქვას, აი, „ოცნება“ პოლიტიკურ ძალას ერქვას, რა არის, რა უბედურებაა, ვერ გავიგე. ჯერ იყო ისეთი რაღაც, გაიძახოდნენ, შიგნით ერთმანეთს დაერივნენო, ახლა, კიდევ ეს. არადა, 4 კაცია სულ ჩვენგან 4 წლის განმავლობაში გასული. წელიწადში დავკარგეთ მხოლოდ ერთი კაცი. გვქონდა კონსტიტუციური უმრავლესობა, ახლაც გვაქვს და ასეთი დიდი უმრავლესობით, როდესაც ხარ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ზოგიერთი ადამიანი თავის ადგილს ვერ პოულობს. ზოგი კი ნაძირალაა; ზოგი ვერ პოულობს თავის ადგილს, ამიტომ ეს ჩვეულებრივი ამბავია. არ არის ასეთი ინფორმაცია, მაგრამ თუ ასეა, ამის გამო ტრაგედია არ მოხდება.

***– მოკლედ, თვლით, რომ ივანიშვილის კოალიცია 2/3-ით ვერ მოვა პარლამენტში?***

– აი, კიდევ ერთხელ ნახეთ, შეგიძლიათ გვარებითაც ამოწეროთ ის ადამიანები, ვინც მაშინ გავიდნენ, დახიეს მანდატები. ჰოდა, იმათი ჩანაცვლება მოხდება ცოტათი და არაფერი ისეთი არ შეიცვლება. პროცენტულად ისევ ის რაოდენობა იქნება და მაშინ აიღეს 18%.

***– რატომ ხართ ასე დარწმუნებული? ისე, ამ ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ივანიშვილის გუნდს პარლამენტში მეორე ადგილს სთავაზობს, ვაჭრობა მიდის, 25%-ს იმეტებთ, მათ კი 35% სურთო...***

– ეგეც შეიძლება, არ ვიცი, დიახ, ეგეც შეიძლება. წარმოიდგინეთ, რამხელა ძალა გვაქვს, ცალკე ქდმ-ს ვჭუქნით ხმებს... და 25% ბევრია, 18% სავსებით საკმარისია. ამ ხალხის ამომრჩეველი, რაც ჩამოვთვალეთ, მერყეობს 35%-ის ფარგლებში. ჩვენ გვაქვს 65 %, იქით რჩება 35%, ანუ ეს ლოგიკურია, მაგრამ ამ ამომრჩეველზე ასევე არის ქდმ, ლეიბორისტები, ვისაც რუსეთი უნდა ის პარტიები, ანუ ყველა ამ 35%-ზეა. ამიტომ იყო და გეუბნებოდით, რომ მოინდომებენ აქეთ, ჩვენს ტალღაზე გადმოსვლას და გითხარით, დაიწყებენ უახლოეს ხანში ნატო გვინდა, ევროკავშირი გვინდა ლაპარაკს-მეთქი და დაიწყეს კიდეც. ამით უნდათ ჩვენი ამომრჩევლის გადაბირება, მაგრამ ამის გაკეთებას როდესაც იწყებენ, კარგავენ თავის ამომრჩეველს. თუ ნატო და ევროკავშირი უნდა და ივანიშვილი ლაპარაკობს, რომ უნდა იყოს პატარა მიშა, ვინ აირჩევს პატარა მიშას, აგერ არ გვყავს დიდი მიშა. ამიტომ პატარა მიშას არ სჯობია, დიდი მიშა აირჩიო. აირჩევენ დიდ მიშას და ამ პატარა მიშას ის 35% ჩამოუვა 18%-ზე და დაჯდება რიკო კრედიტზე. აი, ეს არის.


ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# კოკა გუნცაძე: არჩევნების გაყალბებას აღარ დავუშვებთ!“

ნათია ხურცილავა

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგა“ კოკა გუნცაძემ, მსახიობმა ნანა შონიამ და იურისტმა ლევან ჩიკვაიძემ დააფუძნეს.**

როგორც კოკა გუნცაძემ განაცხადა, „ლიგა“ მიმართული იქნება არა პოლიტიკური მიზნებისკენ, არამედ ის დაიცავს მოქალაქეების ერთ-ერთ მთავარ – სამართლიანი არჩევნების უფლებას.

**ინტერვიუ კოკა გუნცაძესთან:**

***– ბატონო კოკა, თქვენი ახალი მოძრაობა რას ითვალისწინებს? რატომ გადაწყვიტეთ, რომ სწორედ ახლა ჩამოგეყალიბებინათ არასამთავრობო ორგანიზაცია?***

– ეს არის საზოგადოებრივი მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგა“. მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს ძალიან დიდი მოლოდინი უკავშირდება. ჩვენი მოქალაქეებისა და ამომრჩევლების მხრიდან ძალიან დიდია სურვილი, მცდელობა, რომ ეს არჩევნები ჩატარდეს ობიექტურად, სამართლიანად და თავისუფლად. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, წამოვიწყოთ ღია კარის პრინციპზე დაფუძნებული სამოქალაქო მოძრაობა, სადაც ყველა ამომრჩეველს, მიუხედავად მათი მსოფლმხედველობისა, სოციალური თუ ასაკობრივი ცენზისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგში და ჩვენთან ერთად დაიცვან საკუთარი ხმა, საკუთარი არჩევანი.

***– კონკრეტულად რას ითვალისწინებს, არჩევნების პროცესს დააკვირდებით?***

– ჩვენ ფალსიფიცირებული, გაყალბებული არჩევნების ძალიან ნეგატიური გამოცდილება გვაქვს. განსაკუთრებით ეს ეხება 2008 წლის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებს. არც სხვა არჩევნები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩატარდა, არ ყოფილა მასზე ნაკლები გაყალბებისა და ფალსიფიცირების კუთხით. იქიდან გამომდინარე, რომ თავიდან ავიცილოთ ყველა შესაძლო ნეგატიური, უარყოფითი მოვლენა, რომელიც შეიძლება არჩევნების ფალსიფიკაციას მოჰყვეს, ვფიქრობ, საერთო სამოქალაქო მობილიზაცია ხელს შეუწყობს სამართლიანი, ობიექტური არჩევნების ჩატარებას. ჩვენ არჩევნებს დავაკვირდებით ყველა ეტაპზე, როგორც საარჩევნო კამპანიის მცდელობისას, ვგულისხმობ საარჩევნო უბნებზე, განსაკუთრებით პოლიციისა და უშიშროების სამსახურების მოქმედებას ე.წ. წერტილოვან დარტყმებს აქტივისტებზე, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნას, სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებზე, მოქალაქეებზე ზეწოლას. განსაკუთრებით გამოვყოფ მედიის უაღრესად არაობიექტურ, პროპაგანდისტულ ხასიათს, რომელიც მეტისმეტად საგრძნობია ბოლო ერთი წლის განმავლობაში. დავაკვირდებით, უშუალოდ საარჩევნო დღეს თუ როგორ მიმდინარეობს საარჩევნო პროცედურა უბანზე. ცხადია, საარჩევნო სიების გასუფთავებაზე, მკვდარი სულების აღმოჩენასა და შემდეგ მათი სიიდან ამოშლაზე. ასევე ვიმუშავებთ არჩევნების შედეგების დათვლის პროცესზე. ყველა ეტაპს დავაკვირდებით. ეს არის სამოქალაქო პროცესი. არჩევანის უფლება ჩვენი, თითოეული მოქალაქის ფუნდამენტური პოლიტიკური უფლებაა. მე ვფიქრობ, ყველას ვალია, ჩვენ თვითონ უზრუნველვყოთ და ამ ქვეყანაში თავისუფალ არჩევნებს მივაღწიოთ.

***– დამფუძნებლებზე რომ გვითხრათ...***

– ნანა შონიას ყველა კარგად იცნობს, ასევე – ლევან ჩიკვაიძეს. ლევან ჩიკვაიძე „დაიცავი საქართველოს“ დამფუძნებელი იყო. ის სპეციალურად ამერიკის შეერთებული შტატებიდან ამ მოძრაობის დაფუძნებისთვის ჩამოვიდა. უამრავმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, შემოგვიერთდეს.

***– ვინ არიან ეს ადამიანები, შეგიძლიათ გვითხრათ?***

– ამ ეტაპზე მათი დასახელებისაგან თავს შევიკავებ. ალბათ, ძალიან მალე ჩვენი მოძრაობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი გახდება.

***– არადეკლარირებულად პოლიტიკური მიზნები ხომ არ ექნება თქვენს მოძრაობას?***

– პოლიტიკური მიზანი ვერ ექნება, რადგან საზოგადოებრივი მოძრაობაა და, ცხადია, ხელისუფლებაში მოსვლას მიზნად ვერ დაისახავს. არჩევნებში, როგორც სუბიექტი, არ მონაწილეობს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა თამაში, არამედ – თამაშის წესი.

***– ეს მოძრაობა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი ხომ არ ექნება?***

– პირველ რიგში, ჩვენ ვართ მოქალაქეები და ამომრჩევლები. ცხადია, ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ, მაგრამ ეს არ არის ორგანიზაციული პოზიცია. ეს ვერ იქნება ჩვენი მოძრაობის პოზიცია. მსოფლმხედველობრივად, პოლიტიკური შეხედულების თვალსაზრისით ჭრელი მოძრაობა იქნება, ყველა ტიპისა და შეხედულების ამომრჩეველი მოიყრის თავს ამ მოძრაობაში, მაგრამ ყველას აერთიანებს ერთი რამე – ერთი ადამიანი – ერთი ხმა. ეს პრინციპი უნდა იყოს დაცული, რომ არჩევნების შედეგებზე ხალხის ნება აისახოს. დანარჩენი უკვე ინდივიდუალურია. შეიძლება, მე სხვა პოზიცია მქონდეს, ნანა შონიას – სხვა და სხვას მისცეს ხმა არჩევნებში. ეს უკვე ჩვენი არჩევანია და სხვა არაფერი.

***– თქვენ „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ხართ, რატომ დატოვეთ?***

– მე, დიახ, „დაიცავი საქართველო“ დავაფუძნე, შემდეგ დავტოვე, რადგან პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი წევრი გავხდი. თუმცა, „ამომრჩეველთა ლიგა“ ოდნავ განსხვავებულ, სპეციფიკურ მიზნებს ისახავს, ვიდრე „დაიცავი საქართველო“. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ მსგავსი ორგანიზაციის წევრები შემოგვიერთდნენე და ჩვენი ორგანიზაციის წევრები გახდნენ. ეს ორგანიზაცია კონკრეტული მიზნის მისაღწევად დაფუძნდა. ეს არის საარჩევნო ხმის უფლების დაცვა. ჩვენ დავკარგეთ ყველა ღირებულება.



## რატომ შეიქმნა „ამომრჩეველთა ლიგა“

წინ არის არჩევნები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ყოველი ხმა დავიცვათ. ეს თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა. არჩევნების დღეს თავისი უმთავრესი უფლების დასაცავად თითოეული მოქალაქე უნდა გამოვიდეს.

***–შეიძლება, ლევან გაჩეჩილაძე იყოს ამ ორგანიზაციის წევრი?***

– მე და ლევანი მეგობრები ვართ. ნანასაც და ლევანსაც ლევან გაჩეჩილაძესთან მეგობრობა აკავშირებთ. ჩვენ ძალიან მძიმე წუთები გამოვიარეთ ერთად ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, თანამოაზრეები ვართ. თუმცა, ამ ორგანიზაციაში ჯერჯერობით ლევანი არ არის გაწევრიანებული. მისი გადასაწყვეტია, გაწევრიანდება თუ არა. ამ მოძრაობის კარი ღიაა ლევანისთვისაც და ნებისმიერი სხვა მოქალაქისთვისაც. ყველა ადამიანი, რომელსაც ამ ქვეყანაში არჩევანის უფლება აქვს და რომლისთვისაც მნიშვნელოვანი და ღირებულია ეს უფლება, ყველა იქნება, ალბათ, მზად და მოხარული, რომ ამ მოძრაობას შემოუერთდეს და ჩვენთან ერთად დაიცვას არჩევნების ობიექტურობა, არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარების მოთხოვნა.

***– ბიძინა ივანიშვილის პარტიაში ხომ არ აპირებთ გაწევრიანებას?***

– ბატონ ბიძინას ბოლო პერიოდის განმავლობაში არ შევხვედრივარ, მაგრამ მას ვიცნობ. პირადად მქონდა პატივი, შევხვედროდი, გამეცნო. ბევრი ჭორი ვრცელდება და იწერება, მაგრამ, უნდა აღვნიშნო, რომ არანაირი კავშირი ამ ორგანიზაციას არც ერთ ორგანიზაციასთან და პოლიტიკურ კოალიციასთან არა აქვს. ეს არის სამოქალაქო მოძრაობა, მოძრაობა თამაშის წესებისთვის, სამართლიანი და პატიოსანი არჩევნებისთვის და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად. ობიექტური რომ ვერ ვიქნები, ცხადია, ბუნებრივია ჩემი ბოლო ოთხწლიანი საქმიანობიდან გამომდინარე. მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს და ჩემს არჩევანს ვაკეთებ. ეს ცალსახაა. საერთოდ, არჩევნების ფალსიფიკაციის პრობლემა ხელისუფლებიდან მოდის და არა ოპოზიციიდან. ბუნებრივია, ჩვენი შეფასებები ხელისუფლების მიმართ გაცილებით უფრო მწვავე იქნება, ვიდრე ოპოზიციის მიმართ. ფალსიფიკაციის, გაყალბების სადავეები ყოველთვის ხელისუფლებას აქვს და არა ოპოზიციას. ხელისუფლებას აქვს კონტროლი მედიაზე, პოლიტიზირებული ჰყავს პოლიცია. ამ ორი უმთავრესი ინსტრუმენტის გამოყენებით მოხდა ბოლო სამი არჩევნების ფალსიფიკაცია ჩვენს ქვეყანაში. ასეთი შეფასება განსაკუთრებით ადეკვატურია 2008 წლის არჩევნებზე.

***– რაც შეეხება ხმების დაცვის მექანიზმებს, რა გზით დაიცავთ გაყალბებისაგან არჩევნებს?***

– ჩვენი სამოქმედო გეგმა ძალიან საინტერესო იქნება. მალე ამ სამოქმედო გეგმას გამოვაქვეყნებთ. ყველა პოლიტიკური საშუალება, რომელიც დაშვებულია, ჩვენი მხრიდან გამოყენებული იქნება. ეს არის საზოგადოებრივ აზრზე გავლენა, მედიის აქტიური გამოყენება, შეკრებები, ხალხმრავალი მანიფესტაციები. ბოლო დროს ქუჩა რატომღაც ქილიკისა და დაკნინების საგნად იქცა. შეხედეთ საერთაშორისო პროცესებს, რა ხდება დღეს რომში, ათენში, ნიუ იორკში. სხვადასხვა ქალაქში ეს ჩვეულებრივი პროცესია. დემონსტრაცია, გამოსვლა, მანიფესტაცია გამოხატვის უფლების, დემოკრატიული პროცესის შემადგენელი ნაწილია.

***– ბევრმა პოლიტიკურმა ლიდერმა განაცხადა, რომ ქუჩამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა...***

– რატომ უნდა ვთქვათ უარი, როდესაც ამ გზას მთელი დემოკრატიული სამყარო მიმართავს? მით უმეტეს, რა რეჟიმის პირობებში გვიწევს ცხოვრება. ჩვენ არჩევნებზე ვართ კონცენტრირებული. პირველი ჩვენთან დაიწყება შემოერთების პროცესი. ორი მიმართულებით ვიმუშავებთ: შეიქმნება სოციალური ჯგუფები. მასწავლებლები, ექიმები, ვეტერანები, სპორტსმენები – ყველა ეს სოციალური ჯგუფი გაერთიანებულია ერთი მთავარი ნიშნით. ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და არჩევანის უფლება აქვთ. როგორც ამომრჩევლები, ისინი გაერთიანებული არიან ამ ინტერესით, რომ ქვეყანაში ობიექტური არჩევნები ჩატარდეს და ხელისუფლების წყარო ხალხი იყოს. სხვადასხვა სოციალური ჯგუფები მზად არიან, შემოგვიერთდნენ. გარდა ამისა, ვაპირებთ, საარჩევნო გეოგრაფიის მიხედვით ბაზისური სტრუქტურები შევქმნათ ყველა დონეზე, საარჩევნო უბანზე, საარჩევნო ოლქზე. საარჩევნო პროცესი ძირითადად საარჩევნო უბანზე მიმდინარეობს. რაიონებში როგორ მოქმედებს პოლიცია, ჩემთვის უცხო არ არის. მე თვითონ ვიყავი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. ძალიან კარგად ვიცი, რამდენი აქტივისტი დამიშინეს, რამდენი კომისიის წევრის შვილს ჩაუდეს იარაღი და დააკავეს, როგორ გამომითიშეს ნახევარი აქტივი საარჩევნო კამპანიის პროცესიდან. როგორ კეთდება ეს, კარგად ვიცი. ეს არის წერტილოვანი დარტყმები, მეტოქის დემორალიზაცია. ბუნებრივია, მედია მუშაობს საწინააღმდეგოდ, საეთერო დროის ასეთი განაწილებით: 90 პროცენტი 10 პროცენტზე. ასეთი შეფარდება იყო მაშინ, როდესაც მე კანდიდატი გახლდით. აღარ ვსაუბრობ პროპაგანდისტულ ნაწილზე სიუჟეტების დალაგების პრიორიტეტებზე, შავ პიარზე და ა.შ. ის კუსტარული მეთოდები, რომლებიც გამოიყენეს 2008 წლის 5 იანვარს, ცალკე საუბრის თემაა. მე არ ვიცი, ამ არჩევნებზე აპირებენ თუ არა იმავეს, ოქმები გადახიონ შუაზე და ახალი ოქმები დაწერონ. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ეს მოხდა. შემდეგ ეს ტექნოლოგიები დაიხვეწა. მარნეულში, ახალციხეში, სამეგრელოს ზოგიერთ ქალაქში ხმის დათვლის პროცედურები 12 საათზე შეწყდა. მე მაშინ ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო შტაბის უფროსი ვიყავი (12 საათისთვის მეორე ტური გარანტირებული იყო). იქიდან მომივიდა ინფორმაცია, რომ ანგარიში 400/200-ზე იყო. იმ უბნებზე ოქმი დახიეს და ოთხი დღის შემდეგ ჩამოვიდა ხმების ასეთი რაოდენობა 1500/0-ზე. სულ 1500 ამომრჩეველია იმ საარჩევნო უბანზე. პრაქტიკულად, ამ უბანზე 100 ათასი ხმის ფალსიფიკაცია მოხდა. ჩვენ ამის წინააღმდეგ ვიქნებით, არჩევნებზე დამკვირვებლის ფუნქცია გვექნება.

***– ბატონო კოკა, ამ არჩევნების შემდეგ ეს ორგანიზაცია დაიშლება თუ შეიძლება, პოლიტიკურად გადაკეთდეს?***

– არა, ასე არ იქნება. არ ვიცი, გაგრძელდება თუ არა ამ მოძრაობის მუშაობა არჩევნების შემდეგ.

***– პოლიტიკურ პროცესებში არ აპირებთ ჩართვას?***

– არა, ეს სამოქალაქო პროცესია. ჩვენი მიზანია არა ხელისუფლების აღება, არამედ პატიოსანი და სამართლიანი არჩევნების მიღწევა. ხელისუფლება რომ ამას არ აპირებს, ჩანს. ამიტომ ამ არჩევნებს ყველა ეტაპზე უნდა დავაკვირდეთ. სამოქალაქო მოძრაობამ ამ ქვეყანაში დაახლოებით მოდარაჯე ძაღლის ფუნქცია უნდა შეასრულოს, რათა ხელისუფლება აიძულოს, თავისუფალი არჩევნები ჩაატაროს. ცხადია, იმის ილუზია არ გვაქვს, ეს არჩევნები ბოლომდე თავისუფალი იყოს, მაგრამ გვინდა მეტ-ნაკლებად თავისუფალი და პატიოსანი არჩევნები, სადაც არჩევნების შედეგებზე ხალხის ნება აისახება.

***– აპირებთ თუ არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებას?***

– ჯერ არა. ამ ეტაპზე ჩემი გადაწყვეტილებაა, სამოქალაქო ძალისხმევა გავაერთიანოთ. შემდეგ, არ არის გამორიცხული, პოლიტიკას დავუბრუნდე ან სხვა საქმიანობით დავკავდე. თავიდანვე ქუჩაში გამოვედი, იმიტომ რომ უსამართლობისადმი პროტესტი მქონდა. პროტესტი მქონდა ამ სიცრუის წინააღმდეგ. ეს იყო ბრძოლა თავისუფლებისთვის, სამართლიანობისთვის, ღირსებისთვის. დღემდე იგივე ღირებულებები მამოძრავებს. მე ამ თვალსაზრისით პოზიცია არცერთ ეტაპზე არ შემიცვლია. პრინციპები და ღირებულებები, რომლებმაც ჩემი სხვა გადაწყვეტილებები განაპირობა, სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის ამ პოზიციით იყო გამოწვეული.

***– გააყალბებს ხელისუფლება ამ არჩევნებს, როგორი მოლოდინი გაქვთ? ამბობენ, რომ შევიწროება ძირითადად საარჩევნო კუთხით მოხდება...***

– ცხადია, ყველა კანონი, რომლებიც მიიღეს, არათანასწორ პირობებში საარჩევნო კამპანიის წარმართვას ემსახურება. ეს ცხადია. ეს უკვე ფალსიფიკაციის ელემენტებია. არ ველი იმას, რომ ხელისუფლება ობიექტური და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას აპირებდეს. ყველა ნიშანია საიმისოდ, რომ ხელისუფლება ფართომასშტაბიანი ფალსიფიკაციისკენ მიდის.

***– ამ შემთხვევაში რას აპირებთ?***

– ფართომასშტაბიანი გაყალბების შემთხვევაში ქართველ ხალხთან ერთად ქუჩაში გამოვალთ და მათ ხმებს დავიცავთ.

# საქართველო MINI-ს დიდი სამყაროს ნაწილი გახდა!

## ომეგა მოტორსს BMW ჯგუფმა MINI-ს გენერალური იმპორტიორის სტატუსი მიანიჭა

შალვა ჯოხაძე

**ომეგა მოტორსმა ჭეშმარიტი ავტომობილის მოყვარულებს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა _ MINI უკვე საქართველოშია. BMW-ს გენერალურ იმპორტიორს საქართველოში, ომეგა მოტორსს, BMW ჯგუფმა ამჯერად უკვე MINI-ს გენერალური იმპორტიორის სტატუსი მიანიჭა და ჩვენი ქვეყანა MINI-ს დიდი სამყაროს ნაწილიც გახდა.**



ბრენდ MINI-ს საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით ომეგა მოტორსში გრანდიოზული პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას BMW ჯგუფის წარმომადგენელი სათავო ოფისიდან, რეგიონული მენეჯერის მოადგილე ვიქტორ აიზენბრაუნი დაესწრო. პრეზენტაციამდე ომეგა მოტორსის ხელმძღვანელობამ და BMW-ს სათავო ოფისის წარმომადგენელმა ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს. მათ მედიის სხვადასხვა საშუალების მხრიდან დასმულ შეკითხვებს უპასუხეს. MINI ქართულ ბაზარზე მნიშვნელოვანი სიახლეა და, ბუნებრივია, კითხვა ძალიან ბევრი იყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველო კავკასიაში პირველი ქვეყანაა, სადაც MINI შემოვიდა. უახლოეს პერიოდში მომხმარებლებს ამ საოცარი ბრენდის სხვადასხვა მოდელის ყიდვა ბათუმშიც შეეძლებათ.

ომეგა მოტორსის წარმომადგენელმა, ბატონმა აკაკი ენუქიძემ აღნიშნა, რომ ამ ავტომობილების ფასი საკმაოდ მისაღებია, სულ რაღაც 16 ათასიდან იწყება. მომხმარებელს შეუძლია, საკუთარი გემოვნების მიხედვით შეუკვეთოს ავტომობილი იმ ოფციებით, რომელიც MINI-ს ძალიან ბევრი აქვს. ამ დამატებითი ოფციების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ომეგა მოტორსში მისულებს დეტალურად გაგაცნობენ. შეგიძლიათ, თავად შეარჩიოთ ავტომობილის ის ფერი, რომელიც გსურთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, თქვენი მანქანისათვის ინდივიდუალური ე.წ. ტატუ ან წარწერაც შეუკვეთოთ. მოკლედ, მთავარია, ფანტაზია და თქვენნაირი ავტომობილი მსოფლიოში არავის ეყოლება – ვფიქრობთ, საკმაოდ მომხიბვლელი წინადადებაა! და კიდევ, ერთი საინტერესო ინფორმაცია – სასურველი ავტომობილის შეძენა ომეგა მოტორსში განვადებითაც შეგიძლიათ. ომეგა მოტორსი მომსახურების სრულ პაკეტს გთავაზობთ, 2-წლიან გარანტიას, სერვისს, აქსესუარებს.

აკაკი ენუქიძის თქმით, MINI პრესტიჟული სეგმენტის ავტომობილია და ძირითადად მაღალშემოსავლიან ახალგაზრდობაზეა გათვლილი. თუმცა, ნებისმიერი ასაკის ადამიანი მასში თავს კომფორტულად იგრძნობს. თუკი ადრე ამ ბრენდს უმეტესად ქალბატონები ეტანებოდნენ, ახლა, წარმოდგენილი სხვადასხვა საინტერესო მოდელის წყალობით, მამაკაცებიც აქტიურობენ და გაყიდვები 50/50-ზეა. აღსანიშნავია, რომ ეს ავტომობილები საკმაოდ ეკონომიურია და 100 კმ-ზე 6-8 ლიტრს წვავს. ჯერჯერობით, MINI ძალიან ცოტა დადის საქართველოში. აქამდე ჩვენს ქვეყანაში შემოტანილი მანქანების უმრავლესობა მეორადია, ახლა კი ქართველ მომხმარებელს საშუალება აქვს, ომეგა მოტორსში ახალთახალი, ბოლო მოდელის MINI-ს მფლობელი გახდეს.

„ახალი თაობა“ ომეგა მოტორსის დირექტორს, ქალბატონ ლელი აბულაძეს გაესაუბრა. ჩვენ დავინტერესდით, კიდევ რა უპირატესობები აქვს MINI-ს და რამდენად არის დაინტერესებული ქართველი მომხმარებელი სიახლით.

ლელი აბულაძე:

– MINI-ს უპირატესობებია ხელმისაწვდომობა, ეკონომიურობა, უმაღლესი ხარისხი, მცირე ზომა, რომელიც მოსახერხებელია როგორც ქალაქის ვიწრო ქუჩებში, ისე ნებისმიერ მიუსვლელ ადგილას. MINI-ს უპირატესობებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ ამ მონაცემებზე შევჩერდები, რადგანაც მიმაჩნია, ეს მის დასახასიათებლად საკმარისია.

რაც შეეხება მომხმარებლების აქტიურობას, მინდა ვთქვა, რომ უკვე ძალიან დიდი დაინტერესებაა. ამის მიზეზი ისაა, რომ MINI ძალზე მრავალფეროვანია, აქვს მრავალი ღირსება და აბსოლუტურად ყველანაირი ინტერესის ადამიანს იზიდავს, ასაკისა და სქესის განურჩევლად.

ომეგა მოტორსის წარმომადგენლებისაგან შევიტყვეთ, რომ BMW ჯგუფმა MINI-ს წარმოება ქალაქ ოქსფორდში 2001 წლიდან დაიწყო. ამ დროისათვის ორ მილიონზე მეტი მანქანა აწარმოეს, რომლებიც 90 ქვეყანაში გავიდა ექსპორტზე. MINI-ს, როგორც ახალი, წარმატებული ბრენდის არსებობა, სწორედ 2001 წლიდან დაიწყო. 2400 ადამიანი ერთი დღის განმავლობაში დაახლოებით 300 მანქანას ქმნიდა. დღეისათვის კი 3700 ადამიანი მუშაობს და ერთი სამუშაო დღის განმავლობაში 900 ავტომობილს ამზადებს. ბოლო 10 წელიწადში საწარმოს ქმედითუნარიანობა 100 000-დან 200 00-მდე გაიზარდა და მწარმოებლები უახლოეს მომავალში ამ რიცხვის 260 000-მდე გაზრდას გეგმავენ.

2011 წლის ივნისში BMW ჯგუფმა დამატებით 500 მილიონი ფუნტი გამოყო დიდი ბრიტანეთის საწარმოო ქსელისათვის და გადაწყვიტა, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში სწორედ დიდი ბრიტანეთი დაიწყებს MINI-ს შემდგომი მოდელების წარმოებას. ფაქტია, MINI BMW ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ცნობისათვის, Mini-ს ისტორია გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, როდესაც British Motor Corporation-ის კონსტრუქტორმა და დიზაინერმა ალეკ ისიგონისმა (მინის გამოგონების გამო მას სერ ისიგონის წოდება მიანიჭეს) აუდიტორიას მცირე გაბარიტიანი ავტომანქანა Austin Mini წარუდგინა. ის მალევე გახდა პოპულარული და ფორმულა 1-ის კონსტრუქტორი ჯონ კუპერიც შთააგონა, ამ მანქანის ბაზაზე გაძლიერებული ძრავის მქონე სპორტული ავტომობილი შეექმნა. 1961 წელს Mini Cooper-მა მსოფლიო გააოცა, ის ყველა შეძლებული ადამიანის კოლექციაში შევიდა, „ბითლზის“ წევრებით დაწყებული, ინგლისის დედოფლით დამთავრებული. 1963 წელს გამოსული გაძლიერებული Mini Cooper S-ი კი უძლეველი, მონტე კარლოს რალის სამგზის გამარჯვებული გახდა. 2001 წელს კი კომპანია BMW-ს მფლობელობაში მყოფმა Mini-მ რებრენდინგი განიცადა, გახდა MINI და საწყისი მისცა მინის ახალ თაობას. პროდუქციის გამაში შედის: MINI (Hatchback), MINI Clubman, MINI Cabrio, MINI Countryman; MINI Coupe, MINI Roadster.

ომეგა მოტორსში ამ ეტაპზე თითქმის ყველა მოდელია წარმოდგენილი. ფოტოზე ხედავთ ამ მოდელებიდან ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ MINI Coupe-ს – ფორმულა 1-ის ორჯერ მოგება, სამჯერ მონტე კარლოს რალის ჩემპიონის პედესტალი, – სწორედ ამ წინაპრის სისხლი ჩქეფს MINI Coupe-ში, გაზრდილი სიმყარის მქონე ძარით, კლასიკურ მინიზე ოთხი სანტიმეტრით დაბალი, საქარე მინა 13 გრადუსით უფრო მეტად დახრილი, 2-ადგილიანი, კიდევ უფრო დაბალი სიმძიმის ცენტრით, უკანა აქტიური სპოილერის მქონე სპორტული MINI Coupe უდიდეს სიამოვნებას მოგანიჭებთ როგორც ქალაქის ვიწრო ქუჩებში, ასევე სერპანტინებზე და ჩქაროსნულ ავტობანებზე სიარულისას.

MINI-ს მოდელების პრეზენტაცია ომეგა მოტორსში გრანდიოზული ღონისძიებით აღინიშნა. პრეზენტაციას ამ ავტომობილით დაინტერესებული საზოგადოება დაესწრო. პრეზენტაციაზე იმყოფებოდნენ მსახიობები, მომღერლები, ბიზნესმენები, დიპლომატები და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ MINI-ს შეძენით სერიოზულად დაინტერესდა. მნიშვნელობა არ აქვს, რა სფეროში მოღვაწეობ, MINI ეს ის მანქანაა, რომელიც ნებისმიერის გემოვნებას დააკმაყოფილებს. პრეზენტაციის წამყვანმა, ნანკა კალატოზიშვილმა, ომეგა მოტორსის სპეციალისტებთან ერთად, პრეზენტაციაზე მისულებს გააცნო ყველა ის მოდელი, რომელიც ამჟამად საქართველოშია წარმოდგენილი. პრეზენტაციაზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ MINI-ს მოდელები, გასცნობოდნენ მათ თავისებურებებსა და ღირსებებს. საგანგებოდ პრეზენტაციისთვის მომზადებული იყო შოუპროგრამა მრავალი სიურპრიზითა და საჩუქრით.

# როგორ ჩაეშალათ რუსებს ლაშქრობა დარიალში

თეა მარხვაიძე

**25 თებერვალი საქართველოსთვის მძიმე დღეა. იმ დღეს თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა, ავადსახსენებელმა სერგო ორჯონიკიძემ კი მოსკოვში ის ცნობილი დეპეშა გააგზავნა.**

საქართველოს დედაქალაქის თავზე წითელი დროშა შეიძლება ბევრად ადრე აფრიალებულიყო. ჩვენთვის ასე საძულველი მეთერთმეტე არმია საქართველოში შემოჭრას ჯერ კიდევ 1918 წელს აპირებდა. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე რუსული არმია დარიალის ხეობას მოადგა, სადაც დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა და, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაშინ რუსული არმია უკან მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა გააბრუნა.

ამ ადამიანების შესახებ ლეგენდები დადიოდა. კომუნისტური მმართველობის პერიოდში მათზე მხოლოდ ჩუმად საუბრობდნენ. სამწუხაროდ, არც ახლა საუბრობენ აქტიურად. საქართველოში ძალიან ცოტამ იცის დარიალის გმირების შესახებ. არადა, მათ საქართველოს გაწითლება რამდენიმე წლით გადასწიეს.

დარიალის გმირების შესახებ ცნობებს დღეს ბევრი აგროვებს. არსებობს ამ მებრძოლების ჩანაწერებიც და ფოტოებიც. ეს მასალა „ახალ თაობას“ ანი გელაშვილმა მოაწოდა, რომელმაც გვითხრა, რომ ეს ცნობები ჯიმშერ წიკლაურმა მოიძია.

## დარიალის გმირები

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

„27 მაისს დაიწყო პირველი ბრძოლა დარიალში რუს ბოლშევიკებთან, რაიც დასრულდა მათი სრული დამარცხებით: 32 მოვუკალით, 68 დავუჭერით და 27 ტყვედ წამოვიყვანეთ.

წავართვით ტყვიისმფრქვეველი, ბევრი თოფი და დიდძალი პატრონა“. „უნდა სიმართლე ითქვას, რომ საზოგადოდ საკვირველი მხნეობით და გმირულად ებრძოდნენ მტერს სტეფანწმინდელები, სნოვლები და ცდოვლები დაწყებული 27 მაისიდან 15 მკათათვემდის“ – ეს არის ამონარიდი დარიალის დამცველთა ერთ-ერთი მეთაურის წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა 1918 წელს გაზეთ „ერთობაში“ და საიდანაც ქვემოთ არაერთ ფრაგმენტს მოვიყვანთ.

რა ხდებოდა 1918 წელს 27 მაისიდან 15 ივლისამდე დარიალში და საერთოდ დუშეთის მაზრაში? როგორ შეძლეს მოხევეებმა დარიალის დაცვა? რატომ ვერ მიეხმარა მათ საქართველოს სამხედრო ძალები დროულად? რა გეგმები ჩაუშალეს მოხევეებმა ბოლშევიკებს? ამ საკითხზე დღემდე არაფერი უთქვამთ ჩვენს ისტორიკოსებს. ამიტომაც გვინდა, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი ისტორიის ამ წინააღმდეგობით სავსე მონაკვეთის შესახებ.

1918 წლის მაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ბოლშევიკებმა, რომელთაც კარგად ორგანიზებული ჯგუფები ჰყავდათ მთელ საქართველოში, დაიწყეს გლეხთა აჯანყებები ყველა კუთხეში. განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი აჯანყება მოახდინეს დუშეთის მაზრაში. ეს განპირობებული იყო იმით, რომ აჯანყებულთა დახმარება რუსი ბოლშევიკებისთვის ხელსაყრელი იყო დარიალის ხეობიდან. ამ დროს რუსეთში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი. ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედებდა ე/წ თერგის რესპუბლიკა, რომლის სათავეშიც ბოლშევიკები იყვნენ. მათაც მძიმე დღე ედგათ, კაზაკები იბრძოდნენ ხელისუფლებისათვის, ბრძოლები მიმდინარეობდა ინგუშებსა და ოსებს შორის. ოსებს ომში კაზაკები უჭერდნენ მხარს, ინგუშების მეკავშირედ ბოლშევიკური ხელისუფლება გამოდიოდა. ცოტა უფრო ჩრდილოეთით დენიკინის არმია უტევდა ბოლშევიკებს. მიუხედავად ამისა, ვლადიკავკაზში, რომელიც იყო ცენტრი „თერგის რესპუბლიკისა“, საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად მუშაობდა რუს ბოლშევიკთა „რევოლუციის სამხარეო კომიტეტი,“ შემდგომში ჩვენთვის ცნობილი კიროვების, ორჯონიკიძეებისა და სხვათა შემადგენლობით. მათ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დაპყრობა და ბოლშევიკების მოყვანა ხელისუფლებაში. 27 მაისს, მათ მიერ დარიალში განხორციელებული თავდახმის შემდეგ, ახალი ინტერვენციისათვის აუცილებელი იყო დარიალის გახსნა რუსი ბოლშევიკების შემოსაშვებად. ქართულ პრესაში პირველი ინფორმაცია დუშეთის მაზრაში დაწყებული ამბოხების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „ერთობაში“ 26 ივნისის ნომერში, საიდანაც ჩანს, რომ აჯანყებულები 18 ივნისს თავს დაესხნენ დუშეთის მაზრის კომისარ დუმბაძესა და მის რაზმს მცხეთის მახლობლად წილკანში. აჯანყებულებმა რაზმი დაამარცხეს, დუმბაძე კი დაჭრილებთან ერთად დუშეთში დაბრუნდა. აი, რას ყვება წერილის ავტორი ვ. შემოქმედელი დუშეთში მომხდარ ამბებზე: „19 ივნისს აჯანყებულ მოსახლეობასთან ერთად ბოლშევიკებმა იერიში მიიტანეს ქალაქ დუშეთზე. 12 საათზე ქალაქს გარს შემოერტყა რაზმი, სამი, ოთხი ათასი კაცისგან შემდგარი. აიკლეს და გაანადგურეს კომისარიატი. დაანგრიეს ცეიხგაუზები, გაძარცვეს სასურსათო მაღაზია, კერძო ხალხი და ასე ამ რიგათ დაიწყეს თარეში. კომისარი დუმბაძე დაიმალა, რადგან გაბოროტებული ბრბო მოითხოვდა მის დასჯას, წამებას....დაიჭირეს და მოკლეს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე საშა რიკაძე. ერთი სიტყვით, მდგომარეობა მეტათ ცუდი იყო და არის დღესაც“. იმავე დღეს ფასანაურში მომხდარი ამბებია აღწერილი გაზეთ „საქართველოში“ 1918 წლის 6 ივლისის ნომერში: „ცხრამეტ ამ თვეს (ივნისს-ჯ.წ.) ფასანაურში ჩამოვედით მე და პორ. მგალობლიშვილი (დარიალის ხეობის ტყვიისმფრქვეველთა რაზმის უფროსი) ერთი ჯარისკაცით. ღამე ფასანაურში გავათენეთ. რა ხდებოდა დუშეთში, ჩვენ არა ვიცოდით რა. მეორე დღეს დილით 15 კაცამდე შეიარაღებული ადგილობრივი უსაქმური ყმაწვილები გარს შემოგვერტყნენ და, თუ ვინმეს რაიმე გვებადა, იარაღი და ფული, წაიღეს. არ გაიარა 15-მა წუთმა, რომ დუშეთიდან ავტომობილით ამოვიდნენ სამი კაცი თეთრი ბაირაღებით. კომისარს და იქ შეყრილ ხალხს განუცხადეს, რომ დუშეთი ჩვენს ხელშია, დუშეთს ზევით მცხოვრებნი აქ მოდიან ყაზბეგზედ დარიალის გასახსნელად. დუშეთს ქვევით მცხოვრებნი ქალაქისკენ წავიდა, ხვალ ქალაქიც ჩვენს ხელთ გადმოვაო, ვინაიდგან მცხეთა ჩვენს ხელშია და ჩვენი ჯარი მუხათგვერდამდეა მისულიო. თქვენ დღესვე უნდა შეატყობინოთ მთიულ-გუდამაყარს, რომ ყველა გამოვიდეს თოფებით, ვინც შინ დარჩება, კავკავიდან რომ ჩამოვივლით, დიდ-პატარიანად ამოვწყვეტთო. ხალხი უკვე იკრიბებოდა, ეტყობოდათ, რომ უფრო წინადვე სცოდნოდათ ეს ამბავი. შემდეგ ამ დელეგატებს გადასცეს ჩვენი ყაზბეგიდან ჩამოსვლა. იქონია ხალხმა მსჯელობა ყრილობაზე და გადასწყვიტეს, 21-ში დავეხვრიტენით მე და მგალობლიშვილი. ხალხმა



დაიწყო დენა, აჩერებდნენ ეტლებს, ავტომობილებს და სხვას, ხალხის გადასასხმელად ყაზბეგისაკენ. დელეგატებში იყვნენ ერთი დუშელი კარიაული და ორი ანანურელი სომეხი გ. ანდრეევი და ნალბანდიანი....მთელი რვა დღის განმავლობაში იარა ხალხმა ქვევიდან ზევით ყაზბეგისკენ, ფოსტა-ტელეგრაფი ხელთ ჰქონდათ ჩაგდებული, ყველა ბილიკი ყარაულებს ეჭირათ. პარასკევს მოგვიტანეს ამბავი, რომ დუშეთიდან დელეგატები მოვიდნენ და უფრო ლმობიერი ხალხი სჩანსო. ჩავედი და ვუთხარი ჩვენი ამბავი. იმათში ერთმა ვინმე აბრამამ მკითხა ვინაობა, გაიგო რა, ვინ ვიყავი, უბრძანა, ორი სალდათი დაეძახათ. ეხლა ვიცი, ვინცა ხარო, შენ იყავი მიზეზი დარიალში ბოლშევიკების დახოცვისაო, შენ დაიბარე მთავრობის ჯარიო და სხვ.“ აჯანყების ერთ ერთი

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# როგორ ჩაეშალათ რუსებს ლაშქრობა დარიალში

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ორგანიზატორი, გიორგი ლაფანაშვილი, 1927 წელს გამოცემულ წიგნში „დუშეთის გლეხთა აჯანყება 1918 წელს“ გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა აჯანყება, ვინ იყვნენ ჩართული მის ორგანიზებაში, როგორ წარიმართა საბრძოლო მოქმედებები აჯანყებულებსა და სახელმწიფო სამხედრო ძალებს შორის, როგორ დამარცხდნენ ბოლშევიკები, აღწერილია აგრეთვე დატყვევებულ აჯანყებულთა სასამართლო პროცესები და ის საზეიმო მიტინგები და გამოსვლები, რომელსაც გასაბჭოების შემდეგ – 1922 წლიდან მართავდნენ ბოლშევიკები აჯანყების ყოველ წლისთავზე.

## ბოლშევიკების უშედეგო ლაშქრობა

მიუხედავად იმისა, რომ წიგნში ყველაფერი ბოლშევიკური პროპაგანდის კუთხითაა წარმოჩენილი, ინფორმაცია საკმაოდ საინტერესოა. გ. ლაფანაშვილის მიხედვით, აჯანყება ნაადრევად დაწყებულა. ამის მიზეზი გამხდარა ხელისუფლების მიერ სოფ. ბაზალეთსა და წილკანში მოსახლეობიდან იარაღის ამოღების ოპერაცია, რამაც ბოლშევიკები აიძულა, აშკარად გამოსულიყვნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყების მეთაურებად ლაფანაშვილი ასახელებს ქართველ ბოლშევიკ რევოლუციონერებს დუშეთიდან, ბაზალეთიდან, ჭოპორტიდან, წილკნიდან და სხვ. მაგრამ აქვე არ უარყოფს, რომ აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელი თერგის ოლქის მცხოვრები ოსი აბაევი და მისივე თანამემამულე სომეხი არიან. წიგნში მოყვანილია აჯანყების დროს რუსული სამხედრო ძალების შემოყვანის ბრალდებით ფილიპე მახარაძის, საშა გეგეჭკორის, ს. ქავთარაძის სასამართლო პროცესების სტენოგრაფიული ჩანაწერები, რომლებიც ერთი წლის შემდეგ იქნენ დაპატიმრებულნი. არის სიები აჯანყებისას დაღუპული და ტყვედ აყვანილი ბოლშევიკებისა. 23 ივნისს ყაზბეგში არსებულ ვითარებაზე გ. ლაფანაშვილს ერთი საყურადღებო ფაქტი აქვს მოყვანილი: „წილკანში ჩვენი ყოფნის დროს იქ მოვიდა ერთი საბარგო ავტომობილი, რომელიც სავსე იყო შეიარაღებული რაზმით და მათი ვინაობის შეტყობის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს შეიარაღებული რაზმი კობის თემის მცხოვრებ ოსებისგან შესდგებოდა და რაზმის ხელმძღვანელად ნიკოლოზ მაკაევი ჰყავდათ. როგორც ამხ. მაკაევმა გადმოგვცა, რაზმი გამოგზავნილ იყო კობის თემის აჯანყებული გლეხობის მიერ და ითხოვდნენ ტყვიისმფრქვევლებს და საკმაო რიცხვს ვაზნებისას; თავიანთ მოთხოვნილებას და ტყვიისმფრქვევლების საჭიროებას ასაბუთებდნენ იმით, რომ ყაზბეგი ნებით არ უშვებს აჯანყებულებს დარიალის სიმაგრის გასახსნელად და საჭიროა ძალით სოფ. ყაზბეგის დამორჩილებაო....ცარიელი ამხ. მაკაევის უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენ შტაბს ყაზბეგზე გალაშქრება გადაწყვეტილი ჰქონდა და მოსალოდნელ ბრძოლაში კობის თემის მშრომელ გლეხობას გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა, ამიტომ მათთვის ტყვიის-მფრქვევლები აუცილებლად იყო საჭირო... ამხ. მაკაევს ორი ტყვიის-მფრქვეველი და საკმაო რაოდენობა ვაზნებისა გადაეცა, რის შემდეგაც ამხ. მაკაევის რაზმი იმავე საბარგო ავტომობილით კობისკენ წავიდა“. იმ პერიოდის გაზეთ „ერთობის“ მიხედვით, მხოლოდ 6 ივლისს იწყება სამხედრო ჩარევა დუშეთის მაზრაში ბოლშევიკთა და მათ მიერ აყოლიებული მოსახლეობის თარეშის აღსაკვეთად. თუმცა, გ. ლაფანაშვილის მიხედვით 19 ივნისიდან 4 ივლისამდე სამთავრობო ჯარს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს აჯანყებულებმა წილკანში, ჭოპორტში, მჭადიჯვარში, წითელსოფელსა და განსაკუთრების დუშეთში. აჯანყებულთა წინააღმდეგ სამხედრო ავიაცია – „მფრინავი რაზმებიც“ იქნა გამოყენებული, მაგრამ ამან მეამბოხეთა წინააღმდეგობა ვერ გატეხა. რამდენიმე დღე დასჭირდათ სამთავრობო ჯარებს დუშეთთან გამაგრებული აჯანყებულებისა და რუსი მეზარბაზნეების დასამარცხებლად, რადგან ისინი დუშეთთან, ქერანას მთაზე მოხერხებულ ადგილში იყვნენ გამაგრებული და მისი განეიტრალება მხოლოდ ქსნის ხეობიდან ბაზალეთზე შემოვლით შეძლო ვალიკო ჯუღელის რაზმმა. ამ უკანასკნელს ადასტურებს ჯუღელის დღიურის ჩანაწერებიც. გაზეთ „ერთობის“ იმდროინდელი ცნობებით, პროცესები ასე ვითარდებოდა: 6 ივლისს ქართული სამხედრო ძალები ორ ნაწილად გაიყო. ძირითადი ნაწილი ვ. ჯუღელისა და კონიევის მეთაურობით დუშეთის გავლით ანანურზე წავიდა სამხედრო გზით (საქართველოს სამხედრო გზა მაშინ დუშეთზე გადიოდა ჯ.წ.), ხოლო ფურცელაძისა და გედევანიშვილის რაზმები არაგვის მარცხენა სანაპიროთი წავიდა ანანურის უკნიდან მოსავლელად. ორი მხრიდან შეტევამ შედეგი გამოიღო, მტერმა დატოვა ანანური და უკან დაიხია ფასანაურისკენ. მათ დაედევნა გედევანიშვილის რაზმი და გზაში ორი ტყვიამფრქვევი წაართვა. ხელთ ჩაუვარდათ ამბოხებულთა მიმოწერა, რომლიდანაც ირკვევა, რომ აჯანყება ბოლშევიკების მიერაა ორგანიზებული. „მთავარი მონაწილენი არიან გარდა ბოლშევიკებისა ოსების, რუსების და სომხების ნაციონალისტები. ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, ჩვენ მაგათ აგვიყოლიესო, მოგვატყუეს, რომ მთავრობა თავად აზნაურობისგან შესდგებაო და მიწების წართმევას გიპირობენო“. 8 ივლისს დილის ოთხ საათზე ქართული სამხედრო რაზმები ფასანაურისკენ დაიძრნენ. ფასანაურის აღების შესახებ გვარდიის მთავარ შტაბში მიღებული ცნობებით, „აქ ჩვენი ჯარისთვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ. მოკლულია 60 კაცი, ბევრი წამოუყვანიათ ტყვეთ, ჩვენის მხრით დაჭრილია 15 კაცი, მაგრამ მძიმედ დაჭრილი არცერთი არ არის“. ამავე 8 ივლისს დუშეთის მაზრაში გამოცხადდა საალყო მდგომარეობა, რომლის წესებითაც მოსახლეობა ვალდებული იყო, იარაღი ხელისუფლებისთვის ჩაებარებინა. ფასანაურში ჯარი ისევ ორ ნაწილად გაიყო, ვ. ჯუღელი დუმაცხოს გავლით სნოს ხეობისკენ გაემართა, ხოლო დანარჩენებმა სამხედრო გზით გააგრძელეს წინსვლა. 11 ივლისს დღის 3 საათზე მლეთაში შევიდნენ, თუმცა, ცნობების მიხედვით, წინააღმდეგობა სოფელ ამირთკარში გაუწევიათ. „მათ ბრძოლაში ჰყავდათ 300-მდე მებრძოლი, ხოლო 50 კაცი რუსის მეზარბაზნე“. გაზეთ „ერთობის“ 13 ივლისის ნომერში, ამ ინფორმაციასთან ერთად, დაბეჭდილია წერილი „დუშეთელის“ ავტოგრაფით: „დუშეთის მაზრის მოსახლეობა მეტის მეტათ მოწამლულია პრავაკაციული ენით. მთავრობის ჯარის გამარჯვების შემდეგ ზოგიერთი პირები მაინც გაიძახიან: თავადაზნაურობის და ბურჟუაძის ჯარმა დაგვძლიაო. მე როგორც იქაურ მცხოვრებს, ზოგიერთებთან მქონდა საუბარი; დიდის ფიცით ვუმტკიცებდი, რომ საქართველოს მთავრობა დამცველია მუშათა და გლეხთა ინტერესების, მაგრამ, საუბედუროთ, ბევრი ვერ დავარწმუნე ამაში. ბოლოს რამდენიმე პირმა მიპასუხეს: თუ მართლა მთავრობა გლეხის ინტერესის დამცველია, აქამდე უნდა ჩამოერთვა მიწები თავად-აზნაურობისთვის და გადაეცა ჩვენთვისო. მე ამაზეც შესაფერი პასუხი გავეცი. ბოლოს მითხრეს: ახლა მაინც მთავრობამ ჩქარა ჩამოართვას თავად-აზნაურობას მიწები და ჩვენ ჩაგვაბაროს. მიწების ჩაბარების შემდეგ ჩვენ არავის ენას აღარ ავყვებითო.“ 12 ივლისს გუდაურთან ბრძოლა ისევ აჯანყებულთა მარცხით დამთავრდა. 13 ივლისს „გედევანიშვილის რაზმმა როტმისტრ ჩახავას ესკადრონითურთ მსწრაფლ დაიკავა კობი და თავზარი დასცა მტერს. ოსები გაიპარნენ გამოქვაბულებში და სროლა აუტეხეს ჩვენს რაზმებს. შემდეგ სამშვიდობო დელეგაცია მოგვიგზავნეს შესარიგებლათ. ბალშევიკებმა მაცხოვრებლები დააშინეს. მათ პროვოკაციებს საზღვარი არ აქვს. სოფლები დაცარიელებულია. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ კავკავიდან მოვიდა 400 მეომარი ორი ზარბაზნით, ცნობილი საშა გეგეჭკორის მეთაურობით“. გვარდიის შტაბის ცნობით, „ჯარის ერთი ნაწილი ვ. ჯუღელისა და ფურცელაძის მეთაურობით გაგზავნილ იქნა, მტრისათვის ზურგიდან შემოევლო დუმაცხო-კარკუჩიდან, მეორე ნაწილი კი სამხედრო გზით ყაზბეგისკენ მიემართება. 12 ივლისს საღამოს 6 საათზე მომვლელმა ნაწილმა ყაზბეგლებთან და კარკუჩლებთან ერთად უკნიდან მოუარა მტერს და დაატყვევა ერთი რაზმი თავისი შემადგენლობით. საშა გეგეჭკორის რაზმიდან შეიძლება სულ გადარჩა 3-4 კაცი, რომლებმაც ავტომობილით უშველა თავს. დანარჩენი, ზოგი დავატყვევეთ, ზოგი დაიხოცნენ ყაზბეგიდან 10 ვერსტის მოშორებით. 16 ივლისის „ერთობაში“ არის შტაბის ცნობა: „დღეს საღამოს 6 საათზე ბრძოლით ავიღეთ სადგური ლარსი“. ამით ბრძოლები მთავრდება. პრესაში არსებული ცნობებით, შემდეგ ხდება მოლაპარაკებები ინგუშების დელეგაციასთან, სამხედრო გზის დაცვასთან დაკავშირებით, თერგის ოლქის ხელმძღვანელობასთან, ტყვეებისა და ბოლშევიკებისგან ნაძარცვი ქონების დაბრუნებაზე. ერთ-ერთ გაზეთში ჩამოთვლილია დაბრუნებული, ნაძარცვი ქონების ნუსხა და სხვ. ვიდრე იმას გავარკვევთ, თუ რა ხდებოდა დარიალსა და ყაზბეგში 27 მაისიდან 15 ივლისამდე, საინტერესოა, რას წერდა საბჭოთა ისტორიოგრაფია სტეფანწმინდაში საშა გეგეჭკორის 400-კაციანი რაზმის მოსვლის შესახებ: 1918 წლის მაისში ქართველმა ბოლშევიკებმა საშა გეგეჭკორის თაოსნობით სამეგრელოში თავი მოუყარეს ლატაკ გლეხთა რაზმებს, აპირებდნენ შეიარაღებულ გამოსვლებს, მაგრამ მოულოდნელად რუსეთიდან მიიღეს მითითება, რომ ეს შეიარაღებული რაზმები გამოყენებული ყოფილიყო არა სამეგრელოში, არამედ გადასულიყვნენ რაჭის გავლით როკის მთაზე და ალაგირის ხეობისა და ვლადიკავკაზის გავლით შემოსულიყვნენ დარიალში. რა თქმა უნდა, ამ 400 კაცის დარიალში გადასროლა პოლიტიკური მიზნით იყო განპირობებული და მიზნად ისახავდა დარიალის კარის გახსნას ქართველების სახელით, თორემ დუშეთის მაზრაში 3000 გლეხი ჰყავდათ მობილიზებული ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ და 400 კაცი, ისეთივე ბრბო, როგორიც ადგილზეც მოიძებნებოდა, დიდ სამხედრო ძალას არ წარმოადგენდა. საშა გეგეჭკორმა ლეჩხუმსა და რაჭაში შემოიერთა ადგილობრივი შეიარაღებული რაზმები და გადავიდა როკის მთაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში ამ დროს ე/წ თერგის რესპუბლიკის ბოლშევიკური ხელისუფლებაა. ალაგირის ხეობაში შეიარაღებული რაზმების გამოჩენას, რა თქმა უნდა, ადგილობრივ ოსთა წინააღმდეგობა შეხვდა, მაგრამ ვლადიკავკაზიდან ჩარევის შემდეგ გეგეჭკორმა მოახერხა, უბრძოლველად მიეღწია ვლადიკავკაზამდე. „1918 წლის ივლისის პირველ რიცხვებში ჩავიდა ვლადიკავკაზში, რაზმს შეხვდა სამხარეო კომიტეტის დელეგაცია ფ. მახარაძის მეთაურობით. საჭირო იყო, მაშინვე შესდგომოდნენ სამზადისს ახალი ლაშქრობისათვის, რადგან დუშეთის აჯანყება მალე უნდა დაწყებულიყო. ამასთან, დარიალის ხეობაში, რომელიც რაზმს უნდა გაევლო, კიდევ უფრო საშიში და სახიფათო იყო. გამარჯვების შეურყეველმა რწმენამ და დაუცხრომელმა ლტოლვამ, სასწრაფო დახმარება აღმოეჩინათ განსაცდელში მყოფ აჯანყებულთათვის, ფოლადის ფრთები შეასხა საშა გეგეჭკორსა და მის რაზმელებს. რაზმი დაიძრა დარიალის ხეობით. აჯანყებულთა წინააღმდეგ წამოსულ შენაერთს ს. გეგეჭკორის რაზმი საქართველოს სამხედრო გზაზე, ჯვრის უღელტეხილთან შეხვდა. საშა გეგეჭკორმა სწრაფად განჭვრიტა შექმნილი მდგომარეობა. მან გადაწყვიტა, აქ არ მიეღო ბრძოლა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა. მაშინ გეგეჭკორმა ხმალი იშიშვლა და პირველი ეკვეთა მტერს. მებრძოლებიც კვალდაკვალ მიჰყვნენ. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. მტრის რიცხობრივმა სიჭარბემ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და წითელრაზმელები დამარცხდნენ. საშა გეგეჭკორის გამჭრიახობამ მაინც იხსნა რაზმი სრული განადგურებისაგან. საშა გეგეჭკორის რაზმს უკვე აღარ შეეძლო დუშეთში მდგომარეობის შეცვლა. საჭირო იყო თერგის რესპუბლიკაში დაბრუნება. მან უბრძანა ჯვრის უღელტეხილთან დაბანაკებულ მეწინავე ნაწილს, შეერთებოდნენ ძირითად ძალებს ყაზბეგთან. იგი გამოემართა მათ შესახვედრად და დასახმარებლად. მაგრამ ყაზბეგის მახლობლად მენშევიკურ ძალებს დაეკავებინათ ყველა სიმაღლე, გადაეჭრათ გზა გველეთთან. გეგეჭკორის რაზმი ჯვარედინი ცეცხლის ქვეშ მოექცა. რაზმი სისხლისგან იცლებოდა. [illegible] ბრძოლებით რაზმმა უკან დაიხია, მაგრამ თერგის მეორე მხარეზე, გველეთის ხიდთან ჩასაფრებულმა მტერმა რაზმის მთავარ ძალებს უკანდასახევი გზა გადაუჭრა. მიუხედავად ამისა, რაზმის მეწინავე ნაწილი 117 კაცის შემადგენლობით არღვევს რკალს“.

როგორც ვხედავთ, აჯანყებულთა მიზანი იყო დარიალის კარის გაღება და იქ გამაგრებული ადგილობრივი მოსახლეობის განეიტრალება. სწორედ ამიტომ დაიძრა დუშეთიდან ყაზბეგისკენ და არა თბილისისკენ აჯანყებული ბრბო და რუსი გაწვრთნილი სამხედრო სპეციალისტები.

ახლა კი მივუბრუნდეთ დარიალს, სადაც, როგორც ვიცით პირველი შეტევა ბოლშევიკებისა 27 მაისს ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ამ დროს ქართველ მესაზღვრეებთან ერთად დარიალს იცავდნენ ადგილობრივი მოსახლეობაც. მათ ძველი ქართული წესის თანახმად, შექმნილი ჰქონდათ მესაზღვრეთა რაზმები, რომლებიც მორიგეობდნენ დარიალში და გამაგრებული იყვნენ სტრატეგიულ ადგილებზე გველეთთან და ცდოსთან. მომარაგებული ჰქონდათ იარაღი და ტყვია წამალი. მათ [illegible] შეეძლოთ მთიდან კლდეების ჩამოშლით სამხედრო გზის ჩაკეტვა სამხედრო ტექნიკის შესაჩერებლად. ორგანიზებული იყო ქალების მიერ მორიგეთა საკვებით მომარაგების საკითხი. დარიალი გამაგრებული იყო საიმედოდ.



# ივანიშვილის მეუღლე სააკაშვილს 20 ათას ლარს სთხოვს

შალვა ჯოხაძე

**ჯვიის დასაწყისში გაიჯვა, ხომ ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეჯატეჰინა ხვედელიძე მიხეილ სააჯაშვილისაგან სასამაჰთლოს გზით 20 ათასი ლაჰის გადახდას ითხოვს.**

თბილისის საქალაქო სასამართლომ ხვედელიძის სარჩელი პრეზიდენტის წინააღმდეგ უკვე წარმოებაში მიიღო.

ცოტა ხნის წინ მიხეილ სააკაშვილისთვის ეკატერინა ხვედელიძის სასარგებლოდ დაკისრებული 100 ლარი სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის სახელობის ფონდ „სამართლიანობაში“ გადაირიცხება, ანუ ფონდში მიხეილ სააკაშვილის ფული ჩაირიცხება, რაც ერთგვარი სიმბოლური ჟესტია. სავარაუდოდ, ქველმოქმედებას მოხმარდება სააკაშვილისაგან მიღებული 20 ათასი ლარიც, თუკი სასამართლო კვლავ ხვედელიძის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს.

როგორც ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრმა, იურისტმა ზაქარია ქუცნაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, 20 ათასი ლარის მოთხოვნით სარჩელი რამდენიმე დღის წინ შევიდა. პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია, სარჩელის შესვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში ის განიხილოს და, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელეს ან ტელეფონით, ან ფოსტის საშუალებით აცნობოს.

– დაწესებული ვადა ამოიწურა და ჩვენთვის ხარვეზების შესახებ არაფერი უცნობებიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმე წარმოებაში მიღებულია, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინა ხვედელიძე საქართველოს პრეზიდენტისგან 20 000 ლარს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის ითხოვს. საუბარია იმ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც ეკატერინე ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის გამო მიადგა.

– ეკატერინა ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა უკანონოდ ჩამოართვეს, ამიტომ ჩვენ საქართველოს პრეზიდენტისგან მისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას მოვითხოვთ. თანხის ოდენობა 20 000 ლარით განისაზღვრა, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინა ხვედელიძის ადმინისტრაციული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტი ეკატერინა ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე ბათილად ცნეს. პრეზიდენტს მოსარჩელე მხარისთვის ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის საკითხს, სარჩელი ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ადვოკატთა ჯგუფს დღეის მდგომარეობით სასამართლოში 15-მდე სარჩელი აქვს შეტანილი.

ამის შესახებ „პირველს“ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ადვოკატმა ზაქარია ქუცნაშვილმა განუცხადა.

– აქედან 3 სარჩელი მოქალაქეობის ამბავს უკავშირდება. ერთი სარჩელით ჩვენ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გავასაჩივრეთ. მეორე – ნატურალიზაციის გზით ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მიცემასთან დაკავშირებით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დასკვნა უნდა მოეცა და ამაზე ადმინისტრაციული საჩივარი გვაქვს შეტანილი, ხოლო მესამე სარჩელი 16 თებერვალს აღვძარით, რომლითაც ივანიშვილის მეუღლე ეკატერინა ხვედელიძისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის გამო მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას მოვითხოვთ. ამასთან, საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებით აღძრული გვაქვს ადმინისტრაციული სარჩელი, რომლითაც ჩვენ კონტროლის პალატის ფინანსური სამსახურის მიერ „ქართული ოცნების“ მონიტორინგის ობიექტად გამოცხადებას ვაპროტესტებთ. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისს, მასთან დაკავშირებით სასამართლოში 8-მდე სარჩელია შეტანილი. ამ მიმართულებას არჩილ კბილაშვილი და ეკა ბესელია წარმართავენ, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისივე თქმით, დღეის მდგომარეობით, ადვოკატთა ჯგუფმა წარმატებას 3 საქმეში უკვე მიაღწია.

– ეკატერინა ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობა აღვადგენინეთ, „ქართუ ბანკისთვის“ ფული დავაბრუნებინეთ, გვინდოდა ტელევიზიის ლიცენზიის რეგისტრაცია და მოვახდინეთ. პრობლემური საქმეებიდან ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენა, შეჭრილი პირებისგან „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისის გათავისუფლება – ექსპლუატაციაში მიღებისა და „ქართული ოცნების“ მონიტორინგის სუბიექტად გამოცხადების საკითხი დაგვრჩა. მინდა გითხრათ, რომ როგორც წინა 3 საქმეში, აქაც სამართლებრივი თვალსაზრისით წარმატებას მივაღწევთ. სამოქალაქო რეესტრი დასკვნას იმიტომ ვერ იძლევა, რომ მიზეზი არა აქვს, რომელიც შეიძლება ამ დასკვნაში ჩაიწეროს და სამართალთან შესაბამისობაში იყოს. ბიძინა ივანიშვილი არც ტერორისტია, არც საერთაშორისო ძებნილი. აქედან გამომდინარე, მას მოქალაქეობა უნდა მისცენ, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

# დავით სოკოლოვი: თუ საჭირო გახდა, ქუჩაშიც გავალ!“

თამარ ნინიძე

„კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ ერთ–ერთი ლიდერი, წარსულში ცნობილი ტელედიქტორი დავით სოკოლოვი მზად არის თავი გაწიროს, ოღონდ ეს ქვეყანა გადარჩეს. ჩაგვხოცონ, ოღონდ არ მოვესწრო ამ ქვეყნის დაღუპვასო, ამბობს სოკოლოვი. „ახალი თაობა“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე დავით სოკოლოვს ესაუბრა

*— რა იყო „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ შექმნის მიზეზი და არის თუ არა ეს ორგანიზაცია ზვიად გამსახურდიას ჰელსინკის ჯგუფის აღდგენილი სახე?*

— ჩვენ გვინდოდა ზვიად გამსახურდიას ჰელსინკის ჯგუფის აღდგენა. სწორედ ბატონების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეალების მიმდევრები ვართ. ჩვენი მიზანი ქვეყნის ფეხზე დაყენება, განთავისუფლებაა, მაგრამ ამ სიტყვას ზოგჯერ ისე ხმარობენ, ვერ გაუგებ, რა დევს ამის უკან, რისგან თავისუფლდება. რასაც ეს ორი წინამძღოლი გვიქადაგებდა, სწორედ ამ დამოუკიდებლობის აღდგენა, ჩვენი მოქალაქეების ინტერესების დაცვა, ეს არის ჩვენი მიზანი. ქვეყანა არ უნდა არსებობდეს ვიღაცის სურვილითა და კარნახით. ვინც იწამებს ქვეყნის სიკეთისთვის თავის დანიშნულებას, ასეთი ხალხი უნდა იყოს ჩვენს გაერთიანებაში, მიუხედავად მისი ეროვნებისა. საარბრიუკენის მოედანზე ვიყავი ამას წინათ, სავსეა ქალაქი უცხო ტომელებით, მე არავის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ქართველები იჩაგრებიან, სხვები კი პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან. ხელისუფლება ცუდად უწყობს ხელს უცხოელების აქ დამკვიდრებას. არიქა, ჩამოვიყვანოთ ბურები და ეგებ რაღაცა გააკეთონ ჩვენი სოფლის მეურნეობისთვისო. კახელ გლეხზე უკეთ იციან, რა უნდა გააკეთონ ბურებმა? კახელ გლეხს არანაირი ხელისშეწყობა არ აქვს, პირიქით, ხელს უშლიან, აიძულებენ მიწა მიატოვოს და თბილისში ჩამოვიდეს, აქ ბომჟივით იცხოვროს და ორი კაპიკის ძებნაში გაატაროს თავისი ცხოვრება. უცხოელებს ერთ ლარად მიწებს ურიგებენ, ტყეებია გაჩუქებული, გუშინდელ დაარსებულ ფირმებს, რომლებსაც საწესდებო კაპიტალი ასი ლარი აქვს, ექვსას მილიონიან ობიექტებს აძლევენ ვითომ ტენდერში.

*— თქვენი ორგანიზაცია მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში?*

— ახლახან ჩამოვყალიბდით, დიდი ძალა გვაქვს, გაურკვეველ სიტუაციაში იყო ბატონ ზვიად გამსახურდიას უამრავი მომხრე, ყველა გამოცოცხლდა. ჩვენ ამ ეტაპზე დავაფუძნეთ საზოგადოებრივი მოძრაობა.

*— რა აზრის ხართ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვაზე? არის მოსაზრება, რომ მისი კოალიცია ზვიად გამსახურდიას უამრავი მომხრის ხმებზე დაიწყებს ნადირობას?*

— ქვეყანაში ახალი სისხლი რომ უნდა შემოვიდეს, ამას ვერავინ უარყოფს. ბატონ ივანიშვილს უზარმაზარი შესაძლებლობები და სურვილი აქვს, რომ რაღაც შეიცვალოს ქვეყანაში. მე და ჩემს თანამებრძოლებს გვინდა დავიჯეროთ, რომ მას ეს გეზი აქვს აღებული. მთავარია მოხდეს ქვეყნის ფეხზე დადგომა, ეკონომიკურად გაძლიერება, ადამიანმა საკუთარი სურვილი აიხდინოს, ბიზნესის წამოწყება იქნება ეს თუ განათლების მიღება; კადაფი, რომელსაც ლამის თავი მოაჭრეს და თვალები დათხარეს, ალბათ იცით, როგორ ეხმარებოდა თავის მოქალაქეებს სწავლაში, ბიზნესში, ახალდაქორწინებულებს ეხმარებოდა, ადამიანებს უცხოეთში უშვებდა სასწავლებლად.

*— მაშინ რატომ დაამხეს კადაფი?*

— აღმოსავლეთი რთული ფენომენია.

*— ავტორიტარული რეჟიმი ჰქონდაო, ამბობენ.*

— დიახ, ასე თვლიან, თუმცა ვერავინ ხსნის, რას ნიშნავს ეს, ამ დროს კი ამის მაგალითი წინ გვაქვს. აქ მოქალაქეს ყველაფრის უფლება წართმეული აქვს, ბიზნესის კეთება აქ შეუძლებელია, ერთ დღეს ყველაფერს წაგართმევენ და შეიძლება ციხეშიც ამოყო თავი. მათსავე დაწერილ კანონებს არღვევენ. საზოგადოება, რაც აქ იყო, იმის მეოთხედიც აღარ არის დარჩენილი. რომელ სახელმწიფოებრიობაზეა ლაპარაკი, როცა კანონი არ კანონობს, ადამიანს ცხოვრების უფლება არა აქვს. რასაც დევნილებს უკეთებენ, ეს ხომ ყოველგვარ ადამიანურ ჩარჩოებს სცილდება. დევნილი ქუჩაში გადის და მზესუმზირას ყიდის, რომ სახლში ორი კაპიკი შეიტანოს, მას ასახლებენ და ქუჩაში აგდებენ. მიტინგები ატარეს, ტრაქტორებს აქეთ-იქით დაატარებდნენ, გლეხებს ვეხმარებითო, მერე კი ისევ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ხელში აღმოჩნდა; გლეხს მამასისხლად უხდება იმ ტრაქტორის დაქირავება, იმის ფული არა აქვს, რომ



შხამქიმიკატი შეიძინოს, მოხნას და დათესოს. ხელისუფლება არ ეხმარება და იმის ეჭვი ჩნდება, რომ იმ ადამიანმა მიატოვოს მიწა და ქალაქში გამოიქცეს. უცხოელებს ლამის ინტერნეტით აძლევენ მოქალაქეობას.

*— თქვენი აზრით, ივანიშვილს რატომ არ აძლევენ მოქალაქეობას?*

— იმიტომ, რომ თავის ტკივილი არ უნდათ, ხელისუფლებას ახალი თავსატეხი აღარ უნდა, სატელევიზიო ტექნიკის დამტვრევა რა უბედურებაა, ვინ ურჩევს, ვინ ეუბნება ის ტვინნაღრძობი, რომ საბაჟოზე ტექნიკა დაუმტვრიონ.

*— ის, რის გამოც ხელისუფლება პუტინს აკრიტიკებს, აქაც ხდება, მედია არ არის თავისუფალი, სასამართლოს რეფორმას არ დაადგა საშველი, ადამიანის უფლებები ირღვევა. პუტინი და სააკაშვილი ერთმანეთს გვანან.*

— აბსოლუტურად ერთნაირები არიან, ისევე იდევნებიან იქაც სხვაგვარად მოაზროვნეები, როგორც აქ, თუმცა იქ მიტინგი რომ დაშალეს, ხალხისთვის ხელკეტები არ ურტყავთ, იჭერდნენ და ავტობუსებისკენ მიჰყავდათ, იქ არავის უსვრია. ასზე მეტი ახალგაზრდა ქუჩაშია მოკლული, უამრავ ადამიანს რეზინის ტყვიით თვალები აქვს დათხრილი. დამჯდარან ევროკავშირის წარმომადგენლები და ამბობენ, რომ საქართველოში დემოკრატია ისე იღებს სიჩქარეს, გერმანია უკან ჩამოვიტოვეთო.

*— როგორია თქვენი მოძრაობის საგარეო კურსი? საითკენ უნდა აიღოს გეზი საქართველომ?*

— საგარეო კურსზე რამდენიც უნდა გვმოძღვრონ, ახალი დოქტრინები შემოიღონ, რუსეთი ვერ გასახლდება თავისი ტერიტორიიდან. უნდა ეცადო რუსეთთან დაამყარო ისეთი მეზობლური ურთიერთობა, რომ არ იყო დაძაბული ომის მოლოდინში. საქართველო მთელი მისი ისტორიის მანძილზე გარშემორტყმული იყო დაუძინებელი მტრებით. მაინც მოვახერხეთ, რომ დღევანდლამდე მოვედით.

*— ეს იყო ქართველი მეფეების დიპლომატიის დამსახურება.*

— რა თქმა უნდა, ხელისუფლება დღეს რუსეთთან ძაბავს ურთიერთობას ვიღაცის გულის მოსაგებად. ამერიკის გულის მოსაგებად ხდება ეს. ევროკავშირშიც უნდა ვიყოთ, ევროსაბჭოში ვართ, ათას ორგანიზაციაში ვართ გაწევრიანებული, მაგრამ არავის წესდებას არ ვასრულებთ. შეიძლება ისინიც არ ასრულებენ რაღაცას, მაგრამ ძირითადი დებულებები, მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვა ჩვენი ხელისუფლების მიერ არ სრულდება. მე ამერიკის ელჩს ტეფტს წერილი გავუგზავნე, მივწერე, თუ მოგწონთ ის, რაც აქ ხდება, უკეთესი ნუ გენახოთ თქვენს სამშობლოში. დემოკრატიაც სხვადასხვაგვარია, ის დემოკრატია, რომელიც ყველას მოსწონს და ეს ყოვლად უხარისხო დემოკრატია, ჩვენთან უნდათ დაამყარონ და ამაში გვეხმარებიან? ეს არის დემოკრატია? ადამიანს არაფრის უფლება არა აქვს, რომელიმე პარტიის მხარდამჭერისა და ხმის მიცემის უფლება არა აქვს ადამიანს.

*— ტელემუშაკი ბრძანდებით დიდი გამოცდილებით, ის ტელევიზიები, რომლებიც დღეს ხელისუფლების პიარდაკვეთას ასრულებენ, მათ საზოგადოებაში „მიშავიზიებს“ უწოდებენ. რას იტყვით ამ ტელევიზიებზე?*

— ყველაფერს აქვს საზღვარი. საბჭოთა ეპოქაში, როცა ჩვენ ვმუშაობდით, საბჭოთა იდეოლოგია იყო მთავარი, მაგრამ ეს ისე მიეწოდებოდა ადამიანებს, რომ ტექნიკურად გამაღიზიანებელი არ იყო, სამი თაობა გავიზარდეთ საბჭოთა პერიოდში. განათლების სისტემა რომ იყო საბჭოთა კავშირში, დაიკვეხოს ბევრმა სახელმწიფომ.

*— ამ ხელისუფლებას არგუმენტები აქვს, რომ მაშინდელი განათლების სისტემა კორუმპირებული იყო და პროტექციაზე იყო დამყარებული.*

— კორუმპირებულობაზე ნუ დავიწყებთ ლაპარაკს, რა. კორუფცია მარტო ის ხომ არ არის, რომ ჩუმად მოვიტანე ფული და ვიღაცას მივეცი. კორუფციაა, როცა მონოპოლიზებულია ყველაფერი და ხელისუფლების გარემოცვის წარმომადგენლები ხელს ყოფენ ხაზინაში. პარტიების დაფინანსების შესახებ მიღებული კანონით დღეს რომ ვაუჩერებს იღებენ კორუფციას თვითონვე უწყობენ ხელს და ხვალ ვიღაცა რომ შეედავებათ, მაინტერესებს, რა პასუხს გასცემენ. ისე გაუგებრად არის კანონები დაწერილი, საიდანაც უნდათ, კუდს იქიდან მოაბამენ. როგორ შეიძლება იყოს ნორმალური ამდენი ტელეარხის მუშაობა ხელისუფლების სასარგებლოდ, შენ თუ ხმა ამოიღე და სხვა პარტიის სასარგებლოდ რამე თქვი, რუსეთის აგენტი ხარ. რანაირი აგენტი ვარ მე? ყოფილი მინისტრი ეკონომიკის და ახლა მრჩეველი ბენდუქიძე, რუსეთის მოქალაქე იყო, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერჯერობით ისევ რუსეთის მოქალაქეა და ქონება იქ აქვს, რუსეთში იშოვა ფული ბიძინა ივანიშვილმა და ამიტომ ის პუტინის კაცია? ამ დროს კაგებეს მალალჩინოსანი იყო გაეროში რუსეთის წარმომადგენელი უსაფრთხოების კომიტეტის წევრი, ის დღეს საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველია, პრეზიდენტის ბიძაზე, თემურ ალასანიაზე გეუბნებით. ყოფილი კაგებეს თანამშრომელი არ არსებობს.

*— ფაქტია, რომ სააკაშვილის რჩევით არის ის გრიგოლ ვაშაძის მეჩევლი. ხომ არ არის ეს რუსეთთან დაახლოების სურვილით მიღებული გადაწყვეტილება? მით უმეტეს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიუნხენში საქართველოს დელეგაცია იგორ ივანოვს შეხვდა და საუბრის დეტალები უცნობია.*

— მე არ ვიცი, სახელმწიფოების შიდა სამზარეულოში რა ხდება, მაგრამ პირდაპირ გვაჩვენებს ფაქტები, თითქოს შანტაჟს ვუწყობთ ამერიკას, თუ არ დამიჭერ მხარს, აგერ მყავს რუსეთი, კავშირი მაქვს და იქით შევტრიალდები. ორი დღის დაგვიანებით იგივეს აკეთებს სააკაშვილი, რასაც პუტინი და მედვედევი აკეთებენ. ჩვენ არასდროს ვასწრებთ მათ. რადგან ის მეორდება, რაც ჩვენთვის წამგებიანია, ამერიკის სახელის დისკრედიტაცია ხდება, ევროკავშირისაც. ნატო რომ აღარაფერს წარმოადგენს, ნათელია, აღარც სამხედრო ორგანიზაციაა, უკვე ვერ გაიგებ რას ჰგავს, სულს ღაფავს.

*— თქვენ ალბათ ამას გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკის გამო ამბობთ, რადგან ამ ქვეყნების ლიდერები პუტინს ემეგობრებიან.*

— კი ბატონო, მაგრამ რატომ ეპატიჟებიან რუსეთს ნატოში? დავუშვათ განაცხადა თანხმობა რუსეთმა, მერე რომელ ქსენიაში შევდივართ?

*— ალბათ მოსალოდნელი იქნება დაპირისპირება ირანისა და მუსლიმანური სამყაროს წინააღმდეგ.*

— ირანის წინააღმდეგ საქართველოს გამოსვლა ძნელია, უვიზო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულება გვაქვს დადებული. ირანი ახლოს არის და ამერიკა შორსაა. ნეიტრალური პოზიციის უფლებას არავინ მოგვცემს.

*— მაგრამ ირანსა და ისრაელს შორის დაპირისპირების პირობებში საქართველოს არ შეუძლია ნეიტრალური პოზიცია დაიჭიროს?*

— ზუსტად ეს იყო 2008 წელს. ჰუმანიტარული დახმარება შემოვიდა ამერიკიდან ჩვენთან, წყალი და სხვა არასაჭირო ნივთები. ჩვენ რომ საბაზო, სატრანზიტო გზად გამოგვიყენოს ამერიკამ და ისრაელმა, ეს უკვე ჩარევას ნიშნავს.

*— ფერეიდნელი ქართველები არიან ირანში, ისრაელში კი ქართველი ებრაელები, ამ მოტივით ხომ შეიძლება ნეიტრალიტეტის გამოცხადება?*

— არავითარ შემთხვევაში არ იზამს ამას ჩვენი ხელისუფლება. ისეა გახლართული საერთაშორისო ინტრიგებში, მაგის თქმა გაუჭირდებათ კი არა, შეუძლებელი იქნება, შეიძლება რაღაც უბედურებაში გაგვხვიონ.

*— ბიძინა ივანიშვილის კოალიცია უკვე შეიკრა, ეროვნული ფორუმი, ალასანიას პარტია, რესპუბლიკელები და ივანიშვილის ქართული ოცნება იქნებიან ბლოკის წევრები. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ეს არ არის პროდასავლური კოალიცია. ეროვნული ფორუმი ბურჯანაძის დემოკრატიულ მოძრაობასთან ახლოს არის იდეოლოგიურად, დავითაშვილი და ძიძიგური კი - კუკავას იდეოლოგიასთან. თქვენ ამაზე რა აზრის ხართ?*

— საკმაოდ გონიერი ქალბატონია ნინო ბურჯანაძე, მას ჰყავს ბევრი მხარდამჭერი და ისეთი თეზისები აქვს, რომელიც ყველასთვის მისაღებია. ზოგჯერ ძმებს აქვთ საკამათო რაღაცა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მამასისხლად უნდა გადაეკიდონ ერთმანეთს. იმედი მაქვს, რომ ამ კოალიციაში ქალბატონი ნინოც იქნება.

*— მან თქვა, რომ შეიძლება გადაიკვეთოს ინტერესები, მოხდეს კოორდინაცია მასა და ივანიშვილის კოალიციას შორის.*

— რასაკვირველია, ჩვენ ნებისმიერს დავუდგებით გვერდში, საკმაოდ დიდი ძალა ვართ, ხელისუფლებასთან გაერთიანება ჩვენგან გამორიცხულია.

*— რა ფინანსებით არსებობს თქვენი მოძრაობა?*

— ჯერ ფინანსები არა გვაქვს, თანაც მე ამ ფინანსების საკითხებში არ ვერევი და ეს ჩემი საქმე არ არის, ფეხით რომ ვიარო, ამაზეც ვარ თანახმა, სხვათა შორის, ზუგდიდიდან რაჭაში ვარ ფეხით ასული. უცხოეთიდან გვაქვს დახმარების იმედი, ჩვენგან წასული მხარდამჭერები, საფრანგეთიდან დაგვიკავშირდნენ, უზენაესი საბჭოს წევრებიც არიან. ოფიციალურად ვერაფერს ვამბობთ.

*— როდის იქნება ოფიციალურად თქვენი პარტიის დაფუძნება?*

— ჩვენ ველოდებით ბატონ ბიძინას გამოხმაურებას. იყო სურვილი იმ მხრიდან. მის ემისართან გვქონდა შეხვედრა, მე ვუთხარი პირადად. თუ დავინახავთ, რომ ივანიშვილი აგრძელებს ეროვნული საკითხების წინ წამოწევას და საქართველოსთვის სიკეთე სურს, მის გვერდით ვიქნებით. არავითარი პარლამენტისწევრობა, მინისტრების პოსტები არ გვაინტერესებს, მხოლოდ ის, რომ კოალიციაში თუ ვიქნებით, დავეხმარებით, ვერც რესპუბლიკელები და ვერც სხვა ვინმე ვერ გვიკარნახებს, რა უნდა გავაკეთოთ. ჩვენ უნდა გვქონდეს თანაბარი ხმის უფლება.

*— თანახმა არიან ამაზე?*

— ჯერ არ ვიცით.

*— ძირითადი ინტერესი მათი მხრიდან თქვენ მიმართ ალბათ ის არის, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეების მხარდაჭერა ჰქონდეთ?*

— დიახ, ეს არის საშიში, რომ ვინმეს ეს არ ჰქონდეს ჩაფიქრებული.

*— მემარჯვენე მამუკა კაციტაძემ განაცხადა, რომ ეს პარტიები კოალიციაში ფულის ფაქტორის გამო არიან და არა ივანიშვილის ფაქტორის გამო. ეთანხმებით?*

— ძალიან ძნელია ამის თქმა ჩემი მხრიდან, არ მინდა დაბრალება გამომივიდეს. კაციტაძეს მაინც არ ეთქმის ამაზე არაფერი. რაც გააკეთეს ამათ საარჩევნო სისტემებზე, ვითომ ხმებს ამოწმებენ, უფრო ზემდგომებს აჩვენებენ ამას. სხვაზე სალაპარაკო არაფერი აქვთ.

*— ბატონი ელიზბარ ჯაველიძე, სავარაუდოდ, თქვენი მომავალი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იქნება. მე ვიცნობ ბატონ ელიზბარის პოზიციას რესპუბლიკელების მიმართ, ეს არის უარყოფითი დამოკიდებულება, ასეთივე დამოკიდებულება აქვს საზოგადოების ნაწილს, საიდან იღებს სათავეს ეს პრეტენზები?*

— მათი წარსული ნამოქმედარიდან. აფხაზეთის, თურქი-მესხების ჩამოსახლების ამბავი, რატომ ეძახიან ამათ მესხებს, გაურკვეველია. იქ მხოლოდ 10%-ია მესხი, დანარჩენი თურქებია. ჩვენთან დაიწყო ამათი შემოყვანის პროცესი. რეკომენდაცია მაშინ უნდა გამიწიოს ევროსაბჭომ, როცა გაიგებს საქმის არსს.

*— თქვენ პირადად მხარს უჭერდით თავიდან სააკაშვილს და შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლის პროცესს?*

— დიახ, მხარს ვუჭერდი, გულშემატკივარი ვიყავი, ქუჩაშიც ვიყავი, ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს დაგვემართებოდა ხუთ წელიწადში.

*— ბატონ ელიზბარსაც აქვს ნათქვამი, რომ სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები მოქკავშირლები იყვნენ, რესპუბლიკელები კი ნაცმოძრაობის სიით შევიდნენ პარლამენტში.*

— დიახ, მართალია, ესენი, ყველა, ზუსტად იქიდან არიან. იქ გაიზარდნენ და იქ ეღრძოთ ტვინი, მაგათი გარდაქმნა შეუძლებელია, პრივილეგირებული კასტაა უკვე შექმნილი, მათი შანტაჟი ხელისუფლებას თავისუფლად შეუძლია. ჩვენ გვაქვს ერთი მიზანი, თუ ისინიც ამ მიზანს ემსახურებიან, მერე ვიკამათოთ, ოღონდ ამ მიზანს მივაღწიოთ.

*— რას გულისხმობს ეს მიზანი? რა შეიძლება იყოს ორი რადიკალურად განსხვავებული ფლანგის საერთო მიზანი?*

— საერთო მტრის, მიხეილ სააკაშვილის სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა. თვითონ სააკაშვილი სულ არ მაინტერესებს, მისი სისტემა ღუპავს ქვეყანას. ბუჩქებისკენ მოწოდება ყველამ არ აიტაცა, ეს კი კარგია, განათლება და წიგნი ბევრს აღარ უნდა. გამრავლების ტაბულა, ლექსის დაზეპირება რისთვის იყო საჭირო, გონების სავარჯიშოდ. კალკულატორები ამის გამო იყო აკრძალული.

*— გაყალბების შემთხვევაში თქვენი მოძრაობა საპროტესტო აქციას შეუერთდება?*

— დიახ, ქუჩას შევუერთდებით, მეტ გზას აღარ გვიტოვებენ, ჩაგვხოცონ, იმას მაინც არ მოვესწრები, რომ ქვეყანა აღარ იარსებებს.

# რატომ ბლოკავენ ნოდარ ნიკოლაიშვილს

ეკა ირემაშვილი



კომპოზიტორი ნოდარ ნიკოლაიშვილი უკვე 5 წელია უშედეგოდ უცდის, როდის გამოყოფს თანხას მთავრობა მისი ოპერის დასადგმელად, რომელიც მან ერეკლე მეფეს უძღვნა. კომპოზიტორი არ მალავს, რომ მის ოპერას ავტორის განსხვავებული აზრის გამო ბლოკავენ.

ოპერის განხორციელების მოლოდინში ხელოვანმა თავისი შემოქმედებიდან საუკეთესო საესტრადო ნაწარმოებები ამოარჩია და „სანო სტუდიაში" ორი ალბომის სახით ჩაწერა, რომელშიც ქალაქური და საესტრადო სიმღერები გადაანაწილა. ალბომში, რომელიც 15 აპრილს გამოვა, ორი სიდი და ორიც დივიდია გაერთიანებული. ერთ დივიდიში კომპოზიტორის ოპერის თეატრში გამართული კონცერტია შეტანილი, ხოლო მეორე დივიდიში ნოდარ ნიკოლაიშვილზე გადაღებული ორსაათიანი ფილმია ჩაწერილი.

**ნოდარ ნიკოლაიშვილი:**

– „სანო სტუდია" უშვებს ჩემს ოთხ დისკს, რომლებშიც ჩემი საესტრადო ნაწარმოებები შევა. ეს არის ჩემი საუკეთესო კრებული და „ზი ბესტ" (საუკეთესო) ჰქვია.

***– ვინ მღერიან თქვენს სიმღერებს?***

– ნიჭიერი ქართველი მომღერლები. მიშიკო ზაქარიაშვილი, ეკა კვალიაშვილი. ბევრნი არიან, ამიტომ მოკლედ გეტყვით – მე ვირჩევ თაობას, რომლებიც ვიცი, რომ ნამდვილად ხარისხიანად იმღერებენ და მაგარი ვოკალის პატრონები არიან. ვიცი, რომ ისინი ისე იმღერებენ ჩემს დაწერილ სიმღერას, როგორც მე მინდა. მათთან მორგებული ვარ, უტყუარი ხალხია და ძალიან მაღალ პროფესიულ დონეზეა ყველა შესრულება. ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ და ერთ მოსმენაზე იწერება სიმღერა.

***– ეყო ოთხი დისკი თქვენი შემოქმედების წარმოჩენას?***

– არა, როგორ ეყო, ეს ჩემი მე-11 დისკია. ერთ დისკში შევარჩიე 10 ქალაქური სიმღერა, მეორეში კი 14 სიმღერა ესტრადის მიმართულებით არის ჩაწერილი. ამ კრებულში შეტანილია ორი დივიდიც. ალბომი ოთხყდიანია, წიგნივით არის გადასაშლელი. ერთ დივიდიში შეტანილია ოპერაში რომ მქონდა კონცერტი, რომელიც ეთერშიც ხშირად გადის ხოლმე და მეორეში ორსაათიანი ფილმია ჩემ შესახებ, თავისი ინტერვიუებით, საინტერესო ფაქტებით, მოკლე ისტორიებით, კურიოზებით. ამ ფილმის ავტორია ჩემი მეგობარი გიორგი კაიშაური.

***– როდის გამოვა თქვენი ალბომი?***

– ალბომი უკვე ჩაშვებულია და 15 აპრილს გამოვა. ამ ალბომშია ჩემი კოლეგებისა და ჩემი ხედვით ჩემი შემოქმედების საუკეთესო ნაწარმოებები, როგორც ძველი, ასევე ახალი სიმღერები. ეს ალბომი ჩემი შემოქმედების ისტორიაა, რომელიც ჩემს მსმენელს დარჩება.

***– 15 აპრილი რამით გამორჩეული დღეა?***

– არაფერი განსაკუთრებული. მინდოდა, ჩემს დაბადების დღეზე 26-ში მოგვესწრო, მაგრამ ვერ მოვასწარი ჩემი დაუდევრობის გამო.

***– ალბომის გამოცემისას კონცერტიც გექნებათ?***

– არა, 15 აპრილს ალბომი გამოვა და მის პრეზენტაციას ვგეგმავ, იმიტომ რომ უმაღლესი ხარისხის ალბომია, წიგნივით არის და მინდა, კარგი წარდგინება მოვაწყო. ძირთადი ენერგია ოპერას მოვახმარე. ოპერას გადავყევი.

***– ოპერა უკვე დაასრულეთ?***

– ოპერის სიდი მზად არის და მეხუთე წელია ელოდება დადგმას. გადავწყვიტე, ჯერ ესტრადა გამომეშვა, დიდი მადლობა სანოს. სანომ მითხრა, რომ სანამ დაიდგმება, გამოვცეთ ოპერა და გამოვუშვათ.

***– რატომ არ იდგმება?***

– მხოლოდდამხოლოდ განსხვავებული აზრის გამო. ეს არის გარე ოპერა, „აიდა" იყო ასეთი პრეცედენტი, როცა 4-5-საათიანი „აიდა" ღია ცის ქვეშ დაიდგა. გარე ოპერა ნიშნავს, რომ ოპერა აუცილებლად ღია ცის ქვეშ უნდა დაიდგას, იმიტომ რომ სცენა ამისთვის არ არის საკმარისი. განათების ეფექტები მინდა, ოპერაში რამდენიმე ნაწარმოებია მხედრობის თემაზე და მსურს, გათანამედროვებული იყოს, არ მინდა, დავიშტამპო. შენობაში ნამდვილად არ მინდა დაიდგას, მინდა, დავსვა მუსიკოსები, კლავიშიანი ინსტრუმენტები, დასარტყამი ინსტრუმენტები. რამდენიმე ნაწარმოები მაქვს, სადაც ომი და ძალიან შემართული მელოდიებია. მინდა, სანახაობრივი იყოს ეს ოპერა, ყველაფერთან ერთად.

***– ვინ არიან თქვენს ოპერაში დაკავებული?***

– სულხან გველესიანი მთავარ როლშია, გია იგი ჯარჯი ასათიანი, ხათუნა ჭოხონელიძე, რომელიც ახლა ქუთაისის ოპერის თეატრში გადაიყვანეს „აბესალომ და ეთერში" ყოველთვის მთავარი როლი ჰქონდა, ვერ გავიგე, რატომ გაუშვეს. გია ასათიანიც გაუშვეს ოპერიდან. ტენორი თამაზ სალინაძეც მონაწილეობს ჩემს ოპერაში. ახალგაზრდა მომღერალი აღმოვაჩინეთ, რომელიც ძალიან ძლიერი ვოკალით გამოირჩევა და ვურჩიეთ, დრო არ დაეკარგა, გადასულიყო კლასიკაში და მივაბარეთ ბატონ სულხანს. იმედი მაქვს, ორ წელიწადში ის ლა სკალაში დადგება. ეს არის ტატო გოდერძიშვილი, რომელშიც ყველა პოტენციალი დევს.

***– რაზეა თქვენი ოპერა?***

– ერეკლე მეფის თემაა. ამ ოპერაში ბატალური სცენებია, ომები, სიმღერებში გამოხატული ომები. ლიბრეტო უკვე წლებია გამზადებული მიდევს. ამ ოპერაში პოლიტიკას არ ვეხებით. მასში ერეკლე, როგორც მხედართმთავარია წარმოდგენილი. რეალურ ისტორიებზეა დამყარებული მთელი ოპერა, სუფთა ქართულ ფოლკლორსა და ფესვებზე აღმოცენებული.

***– ოპერის აუდიოვერსია უკვე ჩაწერეთ?***

– დიახ, აუდიოვერსია შეიქმნა თემურ ნიკოლაიშვილის სტუდიაში. ლიბრეტოს ავტორია ბატონ ზურაბ გოშაძე. არანჟირებების ავტორია ირაკლი მენთეშაშვილი, რომელიც წაყვანილი ჰყავს თამრიკო გვერდწითელს მთელ ბენდთან ერთად. ძალიან გახარებული ვარ, რომ ბენდი წაიყვანა, იმიტომ რომ საქართველოში მუსიკოსებისთვის სამუშაო მხოლოდ კლანურია, ამიტომ მათი წასვლა გამიხარდა, თანაც თამრიკომ თავისი ბენდი ქართველებით დააკომპლექტა და არა რუსებით, რაც მისასალმებელია.

***– თქვენ გეხებათ კლანები?***

– კლანები რამდენად მეხება, არ ვიცი, მაგრამ, ეს ოპერა რომ განსხვავებული აზრის გამო არ იდგმება, ნამდვილად ვიცი.

***– იქნებ იმიტომ არ იდგმება, რომ ძვირი პროექტია?***

– არა, ჩემო კარგო, ამაზე ძვირი პროექტები განხორციელებულა, თან ვფიქრობ, რომ ის პროექტები ამაზე ნაკლებად გამოსადეგია ქვეყნისთვის. ამ ოპერაში ჩემი ქვეყნის სიბრძნეა ჩადებული. რაც ცოდნა და გამოცდილება მქონდა, რაც საკმარისად მაქვს, ჩადებული მაქვს ამ ოპერაში.

***– ასტრონომიულ თანხებს ხომ არ ითხოვთ?***

– არანაირი ასტრონომიული თანხები არ არის. ძალიან მოკრძალებით მოვითხოვე სულ რაღაც 60 ათასი. შეიძლება, ისეთი გრანდიოზული არ გამოსულიყო, მაგრამ ამ თანხაში ოპერის დადგმა შეიძლებოდა, თუმცა, არ გამოვიდა. რადგან ამდენი მოვიცადე, კიდევ მოვიცდი, 100-150 ათასში ჩავეტევი და ამ ოპერას მაინც განვახორციელებ.

***– მასშტაბურია თქვენი ოპერა?***

– დიახ. ამ ოპერაში სცენაზე ბევრი ხალხი იდგება. მოცეკვავეები, მომღერლები, გუნდი ნოტებით არ იდგება. ამ გუნდებს თავადები წარმოადგენენ. სიუჟეტი ძალიან საინტერესოა. ამ ოპერაში საუბარია ერეკლეს ცხოვრებაზე, მეფედ კურთხევასა და მოღვაწეობაზე, როცა ქართლისა და კახეთის მეფე გახდა. 20 წუთი ეთმობა ნადიმის თემას, რომელიც ერეკლეს არ დასცალდა. ასეა ისტორიულად. შეკრიბეს ლაშქარი და ეს პურმარილიც კი არ შერჩათ, წავიდნენ, იბრძოლეს და ასპინძაში მოიგეს ომი. არის ბევრი საინტერესო ადგილი. ბევრმა ქართველმა არ იცის, რომ აღა მაჰმად ხანთან ომი რომ წავაგეთ, ვინ მოკლა აღა მაჰმად ხანი. თელავში ჩავედი და ისეთმა ადამიანებმა არ იცოდნენ, გაოცებული დავრჩი.

***– იქნებ გვიამბოთ ეს ისტორია.***

– იყო ვინმე გიგა მახარობლიძე, ორი მეტრი და რაღაც იყო, ისტორიულად ცნობილი ფაქტია. ყვარობდა ვინმე მანანა ორბელიანს. ეს ქალი დანიშნული იყო ვიღაც აჭარელ ბეგზე. მანანამ უთხრა გიგას, თუ ერეკლეს ხმალს დააბრუნებ და აღა მაჰმად ხანს მოკლავ, ცოლად გამოგყვებიო. ახლად შექმნილ ორბელიანის თეატრში მსახიობობდა ეს ბიჭი, არაპროფესიონალი იყო, მაგრამ ენებისადმი მიდრეკილება ჰქონდა. შევიდა აღა მაჰმად ხანის გარემოცვაში და უთხრა ხანს, ინდოეთში ქალი მყავს, შემიძლია, გიმკურნალოო. ყველამ იცის, რომ აღა მაჰმად ხანი საჭურისი იყო. ხანმა გიგა პირველ კაცად დაისვა, ვადად ერთი თვე მისცა. როცა განმარტოვდნენ, აღა მაჰმად ხანი ლოცულობდა და ცოდვებს ინანიებდა, გიგამ მას ერეკლეს ხმალი ამოაცალა და მისივე ხმლით განგმირა. მისგან რომ გამოვიდა, მხლებლებს უთხრა, 24 საათი სიმშვიდე ითხოვა და არავინ შევიდესო. ამ დროს ერეკლე მეორეს ომი წაგებული ჰქონდა, აბანოთუბანში იჯდა თავის შვილთან ერთად. მივიდა გიგა და გადასცა მეფეს თავისი ხმალი. ასეთი კარგი ისტორიაა, რომელიც ათიდან ცხრა ქართველმა არ იცის. აღა მაჰმად ხანის გარდაცვალების შემდეგ ირანში სიტუაცია აირია და რამდენიმე ათეული წელი ველარ დალაგდნენ.

***– მანანა ორბელიანმა თუ შეუსრულა პირობა გიგას?***

– ორბელიანმა პირობა ვერ შეუსრულა, იმიტომ რომ ის მოიტაცეს, თურქეთის ბაზარზე გაყიდეს და საფრანგეთში გარდაიცვალა.

***– ამ ისტორიას სად მიაკვლიეთ?***

– მასალები, წიგნები, ხელნაწერები, მუზეუმი და უტყუარი წყაროები არსებობს.

***– ბატონო ნოდარ, რატომ დაწერეთ ოპერა მაინდამაინც ერეკლე მეორეზე?***

– მე წარმოშობით კახელი ვარ, თან ეს რომ მხედართმთავარი იყო, ტყუილია. ის ჩემთვის უპირველესი მეფეა. გასაგებია აღმაშენებელი, თამარ მეფე, მაგრამ ერეკლე მეორე 14 წლიდან იბრძოდა, 105 ომიდან 103 მოიგო. ასეთი მაჩვენებელი, მგონია, რომ მსოფლიოში, ალბათ, არავის ჰქონია.

***– ეს კუთხურობის ტენდენცია ხომ არ არის?***

– არანაირი კუთხურობის ტენდენცია არ არის. ერეკლეს თემა ახლოს იყო ჩემთან, ფოლკლორზეა ოპერა აგებული. კახეთს საოცარი მრავალხმიანობა ახასიათებს. სიმძიმე დავიჭირე ამაში და გამოვიყენე ოპერაში. პრინციპში, მძიმე ოპერაა.

***– რას გვერჩით? ისედაც დამძიმებულია ჩვენი საზოგადოების ცხოვრება.***

– არის ამ ოპერაში სასიყვარულო, საბრძოლო სცენებიც. ეს ოპერა არა მარტო უფროსებისთვის არის საინტერესო, არამედ მოზარდებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვისაც. ეს შემეცნებითი ოპერაა და გულით მინდა, განვახორციელო.

***– თუკი ასეთი მასშტაბურია თქვენი ოპერა, ასეთი სიხშირით შეძლებთ დადგმას?***

– მთავარია, ერთხელ დაიდგას და მერე მისი დადგმა უკვე ადვილია. პირველი ჭირს, თორემ მერე – აღარ. ორი ვერსია მქონდა, რომ ეს ოპერა დამედგა, მაგრამ უფულობის გამო ვერ დავდგი. პირველ ადგილად შევარჩიე ის ტერიტორია, სადაც ერეკლემ დაკარგა ხმალი. ეს არის თბილისში მეტეხის პლატო. მინდოდა, იქ დამედგა დიდი სცენა, განათებებით, უკან ეკრანზე ბრძოლების კადრებით, სანახაობრივი მხარე იქნებოდა ძალიან საინტერესო ან ერეკლეს სასახლეში, მაგრამ ვერცერთი ვერ შევძელი.

***– რამდენი წელია, ოპერის დადგმას ელოდებით?***

– ხუთი წელია ველოდები ამ ოპერის განხორციელებას. აუდიოვერსია თემურ ნიკოლაიშვილის სტუდიაში ჩაიწერა. ჩემმა ოპერის მომღერლებმა აბსოლუტურად უანგაროდ იმუშავეს. ასევე უანგაროდ იმუშავეს ესტრადის მომღერლებმა. გუნდებს ვერ დავიქირავებდი, ამიტომ ესტრადის მომღერლებს ჩავაწერინე. ეს თანხები, რაც სტუდია დაჯდა, ლიბრეტო და არანჟირებები, გადაიხადეს ლაერტ ზუბადალაშვილმა და ნიკო ლეკიშვილმა. დიდი მადლობა მათ. ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა უზრუნველყვეს ყველაფერი.

***– რა დაჯდა თქვენი ოპერის ჩაწერა?***

– 24 ათასი უკვე დაჯდა ეს ყველაფერი. ახლა გაჩერებული ვარ. მერიას მივმართე ორჯერ, სამჯერ, დღეს-ხვალ, დღეს-ხვალო და მივხვდი, რომ მათთან ლაპარაკს აზრი არა აქვს.

***– კულტურის სამინისტროს არ მიმართეთ?***

– ზღაპარია ყველაფერი. ეს ოპერა არ დამიდგეს, შეგიძლიათ, პირდაპირ ჩაწეროთ. ჩემი ოპერა შეგნებულად არ იდგმება. ეს ოპერა ბევრმა ადამიანმა მოისმინა, კლასიკოსებმაც, პროდიუსერებმაც, ყველა მზად არის, ყველა აღფრთოვანებულია, ყველას უნდა, გაკეთდეს, მაგრამ ნება და თანხა მთავრობის ხელშია. ეს არ არის კონცერტი. ოპერაში რომ მქონდა კონცერტი, ისიც მეგობრებმა გამიკეთეს. არც ის კონცერტი დაჯდა პატარა თანხა – 20-25 ათასი დაჯდა. ოპერას კოსტიუმები უნდა, ბატალური სცენები, დეკორაციები, ორკესტრი უნდა დასვა, ფონოგრამაზე ხომ არ შევასრულებთ ოპერას? ეს უნდა იყოს სიმფონიური ორკესტრი, მსახიობები ჩაცმული, მუსიკოსები, კლავიშები, საგალობლები. ოპერა ჟანრობრივად მრავალფეროვანია. ბევრი რამ არის საჭირო, თუმცა, პრემიერისთვის არავინ არაფერს ითხოვს. ყველაფრის მიუხედავად, მჯერა, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც უახლოეს მომავალში ამას დადგამენ. აღარ მინდა, ისედაც გამწარებულ ხალხს კიდევ სიმძიმე დავადო მხრებზე. მარტო იმას ვიტყვი, რომ განსხვავებული აზრის გამო ჩემი ოპერა დაბლოკილია. არც ისეთი ოპოზიცია ვარ, რომ მიტინგებზე ვირბინო, ამის არც სურვილი მაქვს, არც ხალისი და არც ჯანმრთელობა მიწყობს ხელს. მიმაჩნია, რომ მუსიკა პოლიტიზირებული არ უნდა იყოს, ეს ჩემი დევიზია. მუსიკაში აქეთა და იქითა მხარე არ უნდა არსებობდეს.

***– თუ არც მიტინგზე ხართ, არც პოლიტიზირებული ხართ, რა პრინციპით გბლოკავენ?***

– სიტყვით არ გამოვდივარ, არც ეთერში ვზივარ, მაგრამ ჩემი დამოკიდებულება იციან.

***– პირველ სტერეოზე რას საქმიანობთ?***

– ექსპერტის თანამდებობა მიკავია და ვმუშაობ. მუსიკალური ექსპერტი ვარ უკვე მესამე წელიწადია. აქ არის ჩემი სამფლობელო, ღამეც ვრჩები, დღე და ღამე აქ ვარ. მუსიკა სიმშვიდეს საჭიროებს, სახლში მაინც წამსვლელი, მომსვლელი არ ილევა, რაც არ შემიძლია. რომ დავჯდები სამუშაოდ, სიჩუმე უნდა იყოს, ყავა უნდა მქონდეს და სიგარეტი. როცა პროექტებს ვახორციელებ, აქ ვიკეტები. როცა ოპერას ვწერდი, წელიწად-ნახევარი ჩაკეტილი ვიყავი, ჩემთვის არც მეგობარი იყო, არც დროსტარება, მე ჩემი მისია შევასრულე და ახლა ოპერის დადგმის მოლოდინის რეჟიმში ვარ. თუ მოვიდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამ ოპერით დაინტერესდება, ხომ დავდგამ, თუ არადა, მათ გარეშეც განვახორციელებ, ისევ ბიზნესს ჩავრთავ, ისევ მოსკოვში ვიმუშავებ.

***– მოსკოვში რამდენი ხანი იმუშავეთ?***

– კარგა ხანს, მაგრამ ჩამომიყვანეს.

***– ნანობთ?***

– ვნანობ, რა თქმა უნდა. შემიძლია, ეს ოპერა რუსეთში თავისუფლად განვახორციელო, მაგრამ მერე უნდა დამწამონ, ნოდარი მოღალატეაო და არ მინდა, პოლიტიკური სარჩული მომაკერონ. არადა, რუსეთში 700-800 ათასი ქართველია, უდიდესი დიასპორაა. ამდენი ადამიანისთვის ეს ოპერა იქ ნამდვილად რაღაცას წარმოადგენს.

***– სხვაგან რომ დადგათ?***

– იტალიაშიც მქონდა საშუალება, რომ დამედგა.

***– მერე, რატომ არ დადგით?***

– აუცილებლად მექნება იარლიყი, რომ ნოდარი მოღალატეა, ამიტომ ცოტას დავიცდი. მუდმივი ამქვეყნად არაფერია, ამიტომ გამოიცვლება რაღაც. ჯერ არ ვაპირებ იმქვეყნად გამგზავრებას, მეადრევება. ეს ოპერა უნდა განვახორციელო და მერე, როგორც ჩემი კახელი მეგობარი იტყოდა, წინ წყალი, უკან მეწყერი.

***– ახლა რაზე მუშაობთ?***

– ახალ ალბომში, რომელიც გამოვა, ბევრ ჰიტთან ერთად, ბევრი ახალი სიმღერა შევიტანე, რომლებიც გამოუქვეყნებელია.

***– აქტიურად წერთ?***

– კი.

***– მუზას უცდით ხოლმე?***

– ოპერის წერის დროს ორი წელიწადი ვერც ერთი საესტრადო სიმღერა ვერ გავაკეთე, თან დაძაბული სიტუაცია მქონდა დადგმა-არდადგმაზე, ამიტომ არ მეწერინებოდა, რადგან უკვე შევეგუე, რომ უნდა მოვიცადო, ესტრადისთვისაც მოვიცალე.

***– თქვენი ოპერის აუდიოვერსია გაიყიდება?***

– ჯერ არ იყიდება, მაგრამ აუცილებლად გაიყიდება. ესტრადის დისკი რომ გამოვა, მაისივნისში უკვე ოპერის აუდიოვერსიაც გამოვა. დიასპორას და საქართველოსაც ძალიან სჭირდება ქართული ჯანმრთელი სიმღერები. ვიცი, რომ უცხოეთში ამის დეფიციტია. საბედნიეროდ, ბევრი კოლეგა მყავს, რომლებიც ნამდვილ ქართულ სიმღერებს წერენ. იმას, რაც ხდება ეთერსა და ტელევიზიაში, არ ვუყურებ და არც მაინტერესებს. ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს და მათ ყრუებს ვეძახი, გამონაკლისების გარდა, რა თქმა უნდა. ეს საშინელებაა. ყველას არ ვგულისხმობ, თვითონ მიხვდებიან, ვის ეკუთვნის ჩემი ნათქვამი და ვის – არა. მოდიან ახალგაზრდები – აჩიკო ნიჟარაძე, დათუნა სირბილაძე, კარგი გოგოები დ ბიჭები, მაგრამ გაქრა იმის ინტერესი, რომ კარგმა კომპოზიტორებმა კარგი სიმღერები დაწერონ.

# ბარსელონა ისევ მადრიდს ეწევა



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | უიგანი-ასტონ ვილა | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 25.02 | ჩელსი-ბოლტონი | 1.3 | 5.0 | 10.0 |
| 25.02 | ქპრ-ფულემი | 2.7 | 3.2 | 2.62 |
| 25.02 | ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი | 2.4 | 3.25 | 2.9 |
| 25.02 | ნიუკასლი-ვულვზი | 1.6 | 3.75 | 6.0 |
| 25.02 | სიტი-ბლექბერნი | 1.17 | 7.5 | 15.0 |
| 26.02 | არსენალი-ტოტენჰემი | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 26.02 | ნორვიჩი-მანჩესტერი | 6.0 | 4.2 | 1.53 |
| 26.02 | სტოკი-სუონსი | 2.1 | 3.25 | 3.6 |

### უიგანი-ასტონ ვილა

უიგანი: ***ტრავმ***-კრის კირკლანდი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ბარი ბანანი, კირონ კლარკი, რიჩარდ დანი, გაბრიელ აგბონლაჰორი

### ჩელსი-ბოლტონი

ჩელსი: ***ტრავმ***-ჟოზე ბოსინგვა, ჯონ ტერი

ბოლტონი: ***ტრავმ***-კევინ დევისი(?), მარვინ სორდელი(?), ჯო რაილი(?), მარკოს ალნსო, რიკარდო გარდნერი

### ქპრ-ფულემი

ქპრ: ***ტრავმ***-ლუკ იანგი(?), ჯიბრილ სისე, დ.ჯ. კემბელი, კირონ დაიერი

ფულემი: ***ტრავმ***-პაველ პოგრებნიაკი(?), ფილ სენდეროსი(?), ენდო ჯონსონი, ორლანდო სა(?), ჟდენეკ გრიგერა

### ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-კრის ბრუნტი, ზოლტან გერა

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დევიდ ვაუგანი(?), ვესლი ბრაუნი, ნიკლას ბენდტნერი(?), მეტიუ კილგალონი, ტიტუს ბრამბლი

### ნიუკასლი-ვულვზი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ლეონ ბესტი, შოლა ამეობი, რაიან ტეილორი(?), ნილ რეინჯერი, სტივენ ტეილორი, სილვიან მარვო

ვულვზი: ***ტრავმ***-სებასტიან ბასონგი, ჯოდი კრადოკი, რონალდ ზუბარი

### სიტი-ბლექბერნი

სიტი: ***ტრავმ***-არავინ

ბლექბერნი: ***ტრავმ***-კრისტოფერ სამბა(?), მიჩელ სალგადო, ვინსე გრელა; დისკვ-ჯეისონ ლავი, გაელ ჟივე

### არსენალი-ტოტენჰემი

არსენალი: ***ტრავმ***-აარონ რამზი, სებასტიენ სკილაჩი, ლორენ კოსიელნი(?), ემანუელ ფრიმპონგი, ანდრე სანტოსი, აბუ დიაბი, კარლ ჯენკინსონი, ჯეკ უილშირი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ბენუა ასოუ-ეკოტუ(?), ემანუელ ადებაიორი(?), ლუკა მოდრიჩი(?), სანდრო(?), რაფაელ ვან დერ ვაარტი(?), უილიამ გალასი, ტომ ჰუდელსტოუნი

### ნორვიჩი-მანჩესტერი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-კილი ნაითონი(?), ზაკ უითბრიჯი, მარკ ტერნეი, დანიელ აიალა

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ანტონიო ვალენსია, დიმიტარ ბერბატოვი, რაიან გიგზი, ანდერს ლინდეგაარდი, ანდერსონი(?), დარენ ფლეტჩერი, ნემანია ვიდიჩი, მაიკლ ოუენი

### სტოკი-სუონსი

სტოკი: ***ტრავმ***-მამადუ სიდიბე; დისკვ-რობერტ ჰანტი

სუონსი: ***ტრავმ***-კემი აუგუსტინი(?), ჯო ალენი(?), ანდრეა ორლანდი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 25 | 19 | 3 | 3 | 64:19 | 60 |
| 2.მანჩესტერი | 25 | 18 | 4 | 3 | 61:25 | 58 |
| 3.ტოტენჰემი | 24 | 16 | 4 | 4 | 49:25 | 52 |
| 4.არსენალი | 25 | 13 | 4 | 8 | 48:35 | 43 |
| 5.ჩელსი | 25 | 12 | 7 | 6 | 44:31 | 43 |
| 6.ნიუკასლი | 25 | 12 | 6 | 7 | 36:36 | 42 |
| 7.ლივერპული | 24 | 10 | 8 | 6 | 29:23 | 38 |
| 8.ნორვიჩი | 25 | 9 | 8 | 8 | 37:41 | 35 |
| 9.ევერტონი | 25 | 9 | 6 | 10 | 26:27 | 33 |
| 10.სანდერლენი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:26 | 33 |
| 11.სუონსი | 25 | 7 | 9 | 9 | 28:32 | 30 |
| 12.ფულემი | 25 | 7 | 9 | 9 | 31:36 | 30 |
| 13.სტოკი | 25 | 8 | 6 | 11 | 24:38 | 30 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 8 | 5 | 12 | 29:35 | 29 |
| 15.ას.ვილა | 25 | 6 | 10 | 9 | 29:34 | 28 |
| 16.ქპრ | 25 | 5 | 6 | 14 | 27:44 | 21 |
| 17.ბლექბერნი | 25 | 5 | 6 | 14 | 37:56 | 21 |
| 18.ვულვზი | 25 | 5 | 6 | 14 | 28:49 | 21 |
| 19.ბოლტონი | 25 | 6 | 2 | 17 | 29:51 | 20 |
| 20.უიგანი | 25 | 4 | 7 | 14 | 23:50 | 19 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | ბეტისი-ხეტაფე | 2.05 | 3.4 | 3.5 |
| 25.02 | რასინგი-ხიხონი | 2.0 | 3.3 | 3.75 |
| 25.02 | მალაგა-სარაგოსა | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 25.02 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 26.02 | ვილიარეალი-ბილბაო | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 26.02 | რაიო-რეალი | 10.0 | 5.0 | 1.3 |
| 26.02 | ვალენსია-სევილია | 1.75 | 3.5 | 4.75 |
| 26.02 | ოსასუნა-გრანადა | 1.91 | 3.3 | 4.2 |
| 26.02 | სოსიედადი-მალიორკა | 2.2 | 3.25 | 3.3 |
| 26.02 | ატლეტიკო-ბარსელონა | 7.0 | 4.33 | 1.44 |

### ბეტისი-ხეტაფე

ბეტისი: ***ტრავმ***-ანტონიო ამაია, ვადილო; ***დისკვ***-სალვა სევილია

ხეტაფე: ***ტრავმ***-რაფა ლოპესი, ალბერტო ლოპო, ვალერა, ტეპო მასილელა, პედრო ლეონი(?)

### რასინგი-ხიხონი

რასინგი: ***ტრავმ***-გონსალო კოლსა; დისკვ-დომინგო გონსალესი

ხიხონი: ***ტრავმ***-ალბერტო ლორა; დისკვ-ანდრე კასტრო

### მალაგა-სარაგოსა

მალაგა: ***ტრავმ***-რუბენი(?), ხესუს გამესი, ჟულიო ბაპტისტა

სარაგოსა: ***ტრავმ***-აპონო, ზნტონიო ტომასი, კარლოს არანდა; დისკვ-მაურისიო ლანძარო

### ესპანიოლი-ლევანტე

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხუან ალბინი, ვალტერ პანდიანი, სერხიო გარსია, კრისტიან ალვარესი; ***დისკვ***-ტიევი, რომანიკი

ლევანტე: ***ტრავმ***-ხუანლუ; დისკვ-ასიერ დელ ორნო

### ვილიარეალი-ბილბაო

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ნილმარი(?), ვაკასო მუბარაქი, ხოსე კატალა, ჯუზეპე როსი

ბილბაო: ***ტრავმ***-კარლოს გუპრეგი; დისკვ-ოსკარ დე მარკოსი, მუნიანი

### რაიო-რეალი

რაიო: ***ტრავმ***-დანი ხიმენესი(?)

რეალი: ***ტრავმ***-ანხელ დი მარია, ქარიმ ბენზემა, ლასანა დიარა(?), ჰამიტ ალტინტოპი

### ვალენსია-სევილია

ვალენსია: ***ტრავმ***-მიგელი, ევერ ბანეგა, სერხიო კანალესი

სევილია: ***ტრავმ***-გარი მედელი(?), დიეგო პეროტი

### ოსასუნა-გრანადა

ოსასუნა: ***ტრავმ***-მასუდ შოჯაიე

გრანადა: ***ტრავმ***-ჰასან იებდა; დისკვ-გილერმო სიქუერა

### სოსიედადი-მალიორკა

სოსიედადი: ***ტრავმ***-დიეგო იფრანი; ***დისკვ***-ილარამენდი

მალიორკა: ***ტრავმ***-პაუ სენდროსი

### ატლეტიკო-ბარსელონა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-დიეგო, ტიაგო(?), ანტონიო ლოპესი(?)

ბარსელონა: ***ტრავმ***-ფონტასი, დავიდ ვილია, იბრაჰიმ აფელაი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 23 | 20 | 1 | 2 | 79:21 | 61 |
| 2.ბარსელონა | 23 | 15 | 6 | 2 | 68:17 | 51 |
| 3.ვალენსია | 23 | 11 | 7 | 5 | 36:27 | 40 |
| 4.ბილბაო | 23 | 8 | 9 | 6 | 37:30 | 33 |
| 5.ესპანიოლი | 23 | 9 | 6 | 8 | 26:27 | 33 |
| 6.ლევანტე | 23 | 9 | 5 | 9 | 32:34 | 32 |
| 7.ატლეტიკო | 23 | 8 | 8 | 7 | 32:28 | 32 |
| 8.რაიო | 23 | 9 | 4 | 10 | 32:35 | 31 |
| 9.ოსასუნა | 23 | 7 | 10 | 6 | 26:37 | 31 |
| 10.მალაგა | 22 | 9 | 4 | 9 | 27:33 | 31 |
| 11.სევილია | 23 | 7 | 8 | 8 | 24:26 | 29 |
| 12.ბეტისი | 23 | 9 | 2 | 12 | 27:31 | 29 |
| 13.მალიორკა | 23 | 7 | 7 | 9 | 23:28 | 28 |
| 14.ხეტაფე | 23 | 7 | 7 | 9 | 22:30 | 28 |
| 15.სოსიედადი | 23 | 7 | 6 | 10 | 26:34 | 27 |
| 16.ვილიარეალი | 23 | 6 | 8 | 9 | 23:34 | 26 |
| 17.გრანადა | 22 | 7 | 4 | 11 | 19:31 | 25 |
| 18.რასინგი | 23 | 4 | 11 | 8 | 18:30 | 23 |
| 19.ხიხონი | 23 | 5 | 5 | 13 | 21:44 | 20 |
| 20.სარაგოსა | 23 | 3 | 6 | 14 | 18:40 | 15 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | ჯენოა-პარმა | 2.15 | 3.2 | 3.5 |
| 25.02 | მილანი-იუვენტუსი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 26.02 | კიევო-ჩეზენა | 1.91 | 3.2 | 4.33 |
| 26.02 | კატანია-ნოვარა | 1.61 | 3.75 | 5.5 |
| 26.02 | სიენა-პალერმო | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 26.02 | ატალანტა-რომა | 3.0 | 3.1 | 2.45 |
| 26.02 | კალიარი-ლეჩე | 1.75 | 3.4 | 5.0 |
| 26.02 | ლაციო-ფიორენტინა | 2.1 | 3.1 | 3.75 |
| 26.02 | ბოლონია-უდინეზე | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| 26.02 | ნაპოლი-ინტერი | 1.91 | 3.4 | 4.0 |

### ჯენოა-პარმა

ჯენოა: ***ტრავმ***-კევინ კონსტანტი(?), ჯანდომენიკო მესტო(?), ალბერტო ჯილარდინო, ლუკა ანტონელი, ჩეზარე ბოვო; ***დისკვ***-დავიდე ბიონდინი, ჯუზეპე სქული

პარმა: ***ტრავმ***-ნიკოლა პავარინი(?), გონსალო ბრანდაო, რაფაელე პალადინო, გაბრიელ პალეტა

### მილანი-იუვენტუსი

მილანი: ***ტრავმ***-მაქსი ლოპესი(?), კევინ-პრინს ბოატენგი(?), კლარენს ზეედორფი, ალბერტო აკვილანი, ჯენარო გატუზო; ***დისკვ***-ზლატან იბრაგიმოვიჩი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ლუკა მარონე

### კიევო-ჩეზენა

კიევო: ***ტრავმ***-სერჯიო პელისიერი(?), ბუქარი დრამე, პაოლო სამარკო, დარიო დაინელი(?), სანტიაგო მორერო; ***დისკვ***-სირილ ტერეო

ჩეზენა: ***ტრავმ***-ადრიან მუტუ(?), ჯანლუკა კომოტო(?), სტივ ვონ ბერგენი, ვანგელის მორასი, დამიან ჯოკოვიჩი

### კატანია-ნოვარა

კატანია: ***ტრავმ***-მარიანო იზკო(?), პაბლო ბარიენტოსი, დავიდ სუაზო, ალესანდრო პოტენცა, ანდრე კამპანოლო, ჩირო კაპუანო

ნოვარა: ***ტრავმ***-სანტიაგო გარსია, სიმონე პესკე, პაოლო დელაფიორე(?), დანიელ იენსენი, ფრანჩესკო მარიანინი, ტაკაიუკი მორიმოტო

### სიენა-პალერმო

სიენა: ***ტრავმ***-გაეტანო დაგოსტინო(?), ანგელო(?), ზელკო ბრკიჩი; ***დისკვ***-ემანუელ კალაიო

პალერმო: ***ტრავმ***-აგონ მეჰმეთი, აბერ ერნანდესი, არმინ ბაჩინოვიჩი

### ატალანტა-რომა

ატალანტა: ***ტრავმ***-კარლოს კარმონა, დანიელე კაპელი

რომა: ***ტრავმ***-ალეანდრო როსი(?), ბოიან კრკიჩი(?), ნიკოლას ბურდისო; ***დისკვ***-ფრანჩესკო ტოტი

### კალიარი-ლეჩე

კალიარი: ***ტრავმ***-ანდრეა კოსუ(?), მაურისიო პინილია, რუი სამპაიო

ლეჩე: ***ტრავმ***-ანდრეა ესპოზიტო(?), ედვარდ ოფერე(?), კარლოს გროსმიულერი; ***დისკვ***-კრისტიან ობოდო, მანუელ ბლაზი

### ლაციო-ფიორენტინა

ლაციო: ***ტრავმ***-აბდულაი კონკო, მარიუს სტანკევიჩუსი(?), მიროსლავ კლოზე(?), ტომაზო როკი, შტეფან რადუ, ლორიკ განა, კრისტიან ბროკი; ***დისკვ***-ფრანჩესკო მათუსალემი, ანდრეს დიასი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ვალონ ბეჰრამი, ჰუსეინ კრანჯა; დისკვ-ალესანდრო გამბერინი, მატია კასანი, რუბენ ოლივეირა

### ბოლონია-უდინეზე

ბოლონია: ***ტრავმ***-ჰენრი ხიმენესი(?) სიმონე ლორია; დისკვ-ალესანდრო დიამანტი

უდინეზე: ***ტრავმ***-ალმენ აბდი(?), მაურისიო ილსა, ანტონიო დი ნატალე, ჯანპიერო პინცი, ემანუელ აგიემანგბადუ

### ნაპოლი-ინტერი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ედუარდო ვარგასი(?); ***დისკვ***-მარეკ ჰამშიკი

ინტერი: ***ტრავმ***-ანდრეა რანოკია, მაიკონი, რიკარდო ალვარესი; დისკვ-ლუკ კასტაინოსი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 24 | 15 | 5 | 4 | 48:21 | 50 |
| 2.იუვენტუსი | 23 | 13 | 10 | 0 | 36:13 | 49 |
| 3.უდინეზე | 24 | 12 | 6 | 6 | 34:22 | 42 |
| 6.რომა | 24 | 11 | 5 | 8 | 37:27 | 39 |
| 4.ლაციო | 23 | 11 | 6 | 6 | 35:27 | 39 |
| 5.ინტერი | 23 | 11 | 3 | 9 | 34:30 | 36 |
| 7.ნაპოლი | 23 | 8 | 10 | 5 | 38:24 | 34 |
| 8.პალერმო | 24 | 10 | 4 | 10 | 38:35 | 34 |
| 9.კალიარი | 24 | 7 | 10 | 7 | 22:24 | 31 |
| 10.კატანია | 23 | 7 | 9 | 7 | 29:32 | 30 |
| 11.კიევო | 24 | 8 | 6 | 10 | 20:30 | 30 |
| 12.ჯენოა | 24 | 9 | 3 | 12 | 31:44 | 30 |
| 13.ფიორენტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 23:21 | 28 |
| 14.პარმა | 23 | 7 | 7 | 9 | 27:35 | 28 |
| 15.ატალანტა | 24 | 8 | 10 | 6 | 26:27 | 28 |
| 16.ბოლონია | 22 | 6 | 7 | 9 | 20:26 | 25 |
| 17.სიენა | 24 | 5 | 8 | 11 | 23:27 | 23 |
| 18.ლეჩე | 24 | 5 | 6 | 13 | 26:39 | 21 |
| 19.ნოვარა | 24 | 3 | 8 | 13 | 20:42 | 17 |
| 20.ჩეზენა | 22 | 4 | 4 | 14 | 14:34 | 16 |

ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი | 2.25 | 3.25 | 3.2 |
| 25.02 | აუგსბურგი-ჰერტა | 2.55 | 3.2 | 2.75 |
| 25.02 | კიოლნი-ლევერკუზენი | 3.75 | 3.5 | 1.95 |
| 25.02 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 25.02 | მაინცი-კაიზერი | 1.73 | 3.6 | 4.75 |
| 25.02 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 26.02 | ბაიერნი-შალკე | 1.4 | 4.5 | 7.5 |
| 26.02 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1.28 | 5.0 | 11.0 |

### ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იან პოლაკი, მიხაელ შულცი, რობინ კნოხე

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ანდრეას იბერსტბერგერი

### აუგსბურგი-ჰერტა

აუგსბურგი: ***ტრავმ***-მარესელ დე იონგი, ნანდო რაფაელი, დავდა ბა

ჰერტა: ***ტრავმ***-ფაბიან ლაუსტენბერგერი, კრისტიან ლელი, მაიკ ფრანცი; ***დისკვ***-ანდრეას ოტლი

### კიოლნი-ლევერკუზენი

კიოლნი: ***ტრავმ***-კევინ პეცონი, ადილ ჩიჩი, ამარ ჯემალი; ***დისკვ***-მიშო ბრეჩკო, სავომირ პეზკო

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-მიხაელ ბალაკი, სიდნი სამი, ტრანკილიო ბარნეტა, რენე ადლერი

### შტუტგარტი-ფრაიბურგი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-კრისტოფ ჰემლეინი; იბრაჰიმა ტრაორე, სტეფანო კელოზი, ტომ გებჰარტი; ***დისკვ***-კრისტიან მოლინარო

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ოლივერ ბარტი, ანტონ პუტსილა, პაველ კრმასი, მესურ მუჯდა, ჯულიან შუსტერი

### მაინცი-კაიზერი

მაინცი: ***ტრავმ***-ნიკოლკე ნოვესკი, ჟდენეკ პოსპეჩი, მარიო გავრანოვიჩი, ბო სვენსონი, მარსელ რიისე

კაიზერი: ***ტრავმ***-ალექსანდერ ბუგერა, იტალი შეტჩერი, ლუკასი

### ვერდერი-ნიურნბერგი

ვერდერი: ***ტრავმ***-სებასტიან პროდი, ნალდო, აარონ ჰანტი, პრედრაგ სტევანოვიჩი, ტიმ ბოროვსკი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-მიკ ფრანცი, ალექსანდერ სტეფანი, პერ ნილსონი

### ბაიერნი-შალკე

ბაიერნი: ***ტრავმ***-ბასტიან შვაინშტაიგერი, დანიელ ვან ბუიტენი, დაიეგო კონტენტო

შალკე: ***ტრავმ***-ლარს უნერსტალი, სერხიო ესკუდერო; დისკვ-ჯერმეინ ჯონსი

### დორტმუნდი-ჰანოვერი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარიო გიოტცე

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ლეონ ანდრეასენი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 22 | 15 | 4 | 3 | 47:14 | 49 |
| 2.გლადბახი | 22 | 14 | 4 | 4 | 36:13 | 46 |
| 3.ბაიერნი | 22 | 13 | 3 | 5 | 49:14 | 45 |
| 4.შალკე | 22 | 14 | 2 | 6 | 50:28 | 44 |
| 5.ვერდერი | 22 | 10 | 6 | 6 | 37:36 | 36 |
| 6.ლევერკუზ. | 22 | 9 | 7 | 6 | 32:29 | 34 |
| 7.ჰანოვერი | 22 | 8 | 10 | 4 | 27:27 | 34 |
| 8.ვოლფსბურგი | 22 | 8 | 3 | 11 | 27:42 | 27 |
| 9.შტუტგარტი | 22 | 7 | 5 | 10 | 33:32 | 26 |
| 10.ჰამბურგი | 22 | 6 | 8 | 8 | 27:37 | 26 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 22 | 6 | 8 | 8 | 24:26 | 26 |
| 12.ნიურნბერგი | 22 | 7 | 4 | 11 | 21:32 | 25 |
| 13.კიოლნი | 22 | 7 | 3 | 12 | 30:43 | 24 |
| 13.მაინცი | 22 | 5 | 9 | 8 | 30:36 | 24 |
| 15.ჰერტა | 22 | 4 | 8 | 10 | 25:37 | 20 |
| 16.კაიზერი | 22 | 3 | 9 | 10 | 16:28 | 18 |
| 17.აუგსბურგი | 22 | 3 | 9 | 10 | 20:37 | 18 |
| 18.ფრაიბურგი | 22 | 4 | 6 | 12 | 27:47 | 18 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | მონპელიე-ბორდო | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 25.02 | აიაჩო-დიჟონი | 2.3 | 3.1 | 3.25 |
| 25.02 | ნიცა-კაენი | 2.15 | 3.2 | 3.5 |
| 25.02 | ვალანსიენი-ლორიენი | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 25.02 | ევიანი-ნანსი | 2.15 | 3.2 | 3.5 |
| 25.02 | ოსერი-სენტ ეტიენი | 2.55 | 3.1 | 2.87 |
| 25.02 | ლიონი-პსჟ | 2.3 | 3.2 | 3.1 |
| 26.02 | ტულუზა-სოშო | 1.53 | 3.75 | 7.0 |
| 26.02 | ბრესტი-მარსელი | 3.75 | 3.2 | 2.05 |
| 26.02 | რენი-ლილი | 2.75 | 3.1 | 2.65 |

### მონპელიე-ბორდო

მონპელიე: ***ტრავმ***-ჟეფრი დერნისი, ჯონათან ტინანი

ბორდო: ***ტრავმ***-კარლოს ენრიკე, ჩეიკ დიაბატაე, აბდოუ ტრაორე, ანდრე ბიიოგო პოკო

### აიაჩო-დიჟონი

აიაჩო: ***ტრავმ***-ლეიტი ნდიაე, ილანი

დიჟონი: ***ტრავმ***-ჩაჩერ ზარო, დიასუკე მაცუი

### ნიცა-კაენი

ნიცა: ***ტრავმ***-დევიდ ჰელბუკი, მენანია პეჩინოვიჩი, ხავიერ პენტეკოტე, დრისა დიაკიტე

კაენი: ***ტრავმ***-ბრანკო ლაზარევიჩი

### ვალანსიენი-ლორიენი

ვალანსიენი: ***ტრავმ***-გრეგორი პუიოლი, კენი ლალა, ბენჯამინ ანგუა

ლორიენი: ***ტრავმ***-ჟან უფრე, უესლი ლაუტოა, მაქსიმ ბაკა, ჟილ სუნუ, გრეგორი ბურილონი, ჯერემი ალიადირი

### ევიანი-ნანსი

ევიანი: ***ტრავმ***-იუსუფ ადნანე, ფაბრიც ერეტი, ალდო ანგულა, ჟერომ ლეროი

ნანსი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მუკანდო, ბაკაი ტრაორე

### ოსერი-სენტ ეტიენი

ოსერი: ***ტრავმ***-ჟერემი ბერტო, იაია სანოგო, ალან ტრაორე, ადამა კულიბალი, ამადუ სიდიბე

სენტ ეტიენი: ***ტრავმ***-ლოიკ პერინი, ალეხანდრო ალონსო

### ლიონი-პსჟ

ლიონი: ***ტრავმ***-კლემენტ გრენიერი, იოან გურკუფი, ჯონ მენსა, დეიან ლოვრენი

პსჟ: ***ტრავმ***-მეტიუ ბოდმერი, კრისტოფერ ჟალე

### ტულუზა-სოშო

ტულუზა: ***ტრავმ***-პავლე ნინკოვი, ჟან-დანიელ აკპა-აკპრო, იოან პელე

სოშო: ***ტრავმ***-პაპა დემბა კამარა, ლიოკ პუიოლი, იასინ მიკარი, სტივენ მოიოკოლო, კარლაო, ჟერემი ბრეჩე, რაფაელ დიასი, მოდიბო მაიგა, ტედი რიშე

### ბრესტი-მარსელი

ბრესტი: ***ტრავმ***-ალექსანდრ ალფონსე, ჯანათან აიტი, გრეგორი ლორენცი, ტრიპი მაკონდა, ლარსენ ტურე

მარსელი: ***ტრავმ***-ლიოკ რემი, ბილელ ორმანი, შტეფან მბია, ანდრე-პიერ ჟინიაკი

### რენი-ლილი

რენი: ***ტრავმ***-ჩეიკ ფანტამადი დიარა, იუსუფ ჰაჯი

ლილი: ***ტრავმ***-ფლორენ ბალმო, მარკო ბაშა, ტულიო დე მელო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 15 | 6 | 3 | 40:21 | 51 |
| 2.მონპელიე | 24 | 15 | 5 | 4 | 47:25 | 50 |
| 3.ლილი | 24 | 12 | 9 | 3 | 42:26 | 45 |
| 4.სტ.ეტიენი | 24 | 12 | 6 | 6 | 33:26 | 42 |
| 5.მარსელი | 23 | 10 | 9 | 4 | 34:22 | 39 |
| 6.ლიონი | 24 | 12 | 3 | 9 | 37:28 | 39 |
| 7.რენი | 24 | 11 | 6 | 7 | 33:29 | 39 |
| 8.ტულუზა | 24 | 10 | 7 | 7 | 25:23 | 37 |
| 9.ბორდო | 24 | 8 | 9 | 6 | 30:27 | 36 |
| 10.ვალანსიენი | 24 | 8 | 5 | 11 | 24:27 | 27 |
| 11.კაენი | 24 | 7 | 6 | 11 | 30:36 | 27 |
| 12.ლორიენი | 24 | 6 | 9 | 9 | 24:30 | 27 |
| 13.ბრესტი | 24 | 4 | 14 | 6 | 21:22 | 26 |
| 14.დიჟონი | 24 | 7 | 5 | 12 | 29:42 | 26 |
| 15.ევიანი | 23 | 5 | 9 | 9 | 31:37 | 24 |
| 16.ნანსი | 24 | 5 | 8 | 11 | 22:33 | 23 |
| 17.აიაჩო | 24 | 5 | 8 | 11 | 25:42 | 23 |
| 20.ოსერი | 24 | 4 | 9 | 11 | 30:38 | 21 |
| 19.ნიცა | 24 | 4 | 8 | 12 | 22:29 | 20 |
| 20.სოშო | 24 | 4 | 8 | 12 | 22:38 | 20 |

# ფაჩულიამ მოხსნებით ჰოვარდს აჯობა



„ატლანტა ჰოუქსმა“ გამარჯვების გემო გაიხსენა. ჯორჯიელებმა კონფერენციაში ერთ-ერთ მთავარ კონკურენტ „ორლანდოს“ მოუგეს, რაშიც ზაზა ფაჩულიას წვლილი მნიშვნელოვანია. ქართველმა ცენტრმა მატჩში უმეტესი 13 მოხსნა მოაგროვა. ორლანდოელთა ლიდერ დუაიტ ჰოვარდის ანგარიშზე კი ერთით ნაკლები – 12 მოხსნა დაგროვდა.

ატლანტელები პირველ ტაიმში სოლიდურად კი დაწინაურდნენ, თუმცა ბოლო წუთებში მაინც გაუჭირდათ. ორლანდოელებმა დიდი შესვენებისას დაფიქსირებული 17-ქულიანი უპირატესობა მნიშვნელოვნად შეამცირეს. ბოლო წუთებზე ატლანტელებმა სიმტკიცე გამოავლინეს და საბოლოოდ 5 ქულის სხვაობით – 83:78 გაიმარჯვეს.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 40 წუთი დაჰყო. ქართველი ცენტრი ძირითადად დუაიტ ჰოვარდის მეურვეობით იყო დაკავებული და ნბას ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის გაუვნებელყოფა კარგადაც გამოუვიდა. საბოლოოდ ჰოვარდი 12 ქულას და ამდენივე მოხსნას დასჯერდა. ფაჩულიამ კი 13 მოხსნასთან ერთად 4 ქულა, 4 შედეგიანი გადაცემა და 2 ჩაჭრა მიითვალა. აღვნიშნავთ, რომ მიმდინარე სეზონში ფაჩულიას საუკეთესო შედეგი 14 მოხსნაა, რომელიც მან 28 იანვარს, „მილუოკისთან“ მოგებულ შეხვედრაში მიითვალა.

„ატლანტამ“ მე-20 მატჩი მოიგო, ჯორჯიელების პასივში კი 14 მარცხია და ამ შედეგით ფაჩულიას გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში კვლავ მე-6 ადგილზეა. მომდევნო მატჩში ატლანტელები „გოლდენ სტეიტს“ უმასპინძლებენ. დღეიდან კი ნბა-ში 4-დღიანი შესვენება ოლ სტარის გამო გამოცხადდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# უგო ჩავესი კიდევ ერთ ოპერაციას გაიკეთებს

ვენესუელის ლიდერი უგო ჩავესი კუბაში კიბოს კიდევ ერთ ოპერაციას გაიკეთებს. პარლამენტმა ჩავესს ქვეყნის ხუთი დღით დატოვების უფლება მისცა.

ჩავესმა განაცხადა, რომ სიმსივნე, სავარაუდოდ, ავთვისებიანია და არჩევნების წინ იგი სრული დატვირთვით მუშაობას ვერ შეძლებს.

ამას წინათ ვენესუელას პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობაში რეკორდი დაამყარა – 13 იანვარს ის 11 საათის განმავლობაში ეროვნული ასამბლეის დეპუტატებს გასული წლის შედეგების შესახებ მოხსენებას აცნობდა.



პრეზიდენტი ტრიბუნაზე ადგილობრივი დროით 13 საათზე ავიდა, სიტყვით გამოსვლა კი შუაღამეს დაასრულა.

გამოსვლის დროს ჩავესი არაერთხელ შეეხო საკუთარი ავადმყოფობის თემას. მან აღნიშნა, რომ ექიმების მიერ მისთვის დადგენილი დიაგნოზი „მთელი ქვეყნისთვის გამოცდა აღმოჩნდა, რომელიც ვენესუელის მოსახლეობამ წარმატებით გაიარა“.

შარშან ვენესუელის პრეზიდენტის ანალოგიური გამოსვლა 7 საათს გაგრძელდა.

2011 წლის ივნისში ჩავესმა რთული ოპერაცია გადაიტანა – მას სიმსივნური წარმონაქმნი ამოჰკვეთეს, შემდეგ კი ქიმიოთერაპიის ოთხი კურსი გაიარა.

ადრე ჩავესი ამტკიცებდა, რომ სრულად განიკურნა და მისი ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ არ დგას.

უგო რაფაელ ჩავეს ფრიასი (დ. 28 ივლისი, 1954) – ვენესუელის მიმდინარე პრეზიდენტი. როგორც ბოლივარიული რევოლუციის ლიდერი, ჩავესი ქადაგებს დემოკრატიული სოციალიზმისა და ლათინური ამერიკის ინტეგრაციის პოლიტიკურ დოქტრინას. ის ასევე აკრიტიკებს ნეოლიბერალიზმს, გლობალიზაციასა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკას.

კარიერით სამხედრო ოფიცერმა ჩავესმა 1992 წლის ჩაშლილი სამხედრო გადატრიალების შემდეგ მემარცხენე მეხუთე რესპუბლიკური მოძრაობა დააფუძნა. ჩავესი პრეზიდენტად 1998 წელს აირჩიეს.

მისი კამპანია ვენესუელის ღარიბი უმრავლესობისთვის შემწეობის გაზრდას ეყრდნობოდა. ამავე პლატფორმით ის ხელახლა აირჩიეს 2000 და 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც.

ჩავესი ქვეყნის მასშტაბით ხელს უმართავს „ბოლივარიულ მისიებს“, რომელთა მიზანი, სხვა სოციალურ პრობლემებთან ერთად, დაავადებებთან, გაუნათლებლობასთან, საკვების უკმარისობასთან და სიღარიბესთან ბრძოლაა.

საზღვარგარეთ ჩავესი ვაშინგტონის კონსენსუსის წინააღმდეგ გამოდის და ეკონომიკური განვითარების ალტერნატიულ მოდელებს უჭერს მხარს. ის ასევე მსოფლიოს ღარიბეს ქვეყნებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

ჩავესის პოლიტიკასთან პოლარულად განსხვავებული გამოხმაურება აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს. აშშ-ის მთავრობის მტკიცებით, ჩავესი ლათინურ ამერიკაში დემოკრატიისთვის საშიშროებას წარმოადგენს.

თუმცა, მრავალი სხვა ქვეყნის მთავრობა მხარს უჭერს მის იდეოლოგიას და ამ ქვეყანასთან ორმხრივი სავაჭრო და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებების დადების მოხარულია.

## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● გასტროენტეროლოგიური პროგრამა „მედიგარდში“. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში გთავაზობთ კუჭ-ნაწლავის ექოსკოპიურ გამოკვლევას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, საყლაპავის თიაქარი, ნაწლავის დივერტიკულოზი, წვრილი და მსხვილი ნაწლავის სხვა დაავადებები, მათ შორის აპენდიციტი. გამოკვლევის ეს მეთოდი წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის რენტგენოლოგიური და გასტროსკოპიული გამოკვლევის ალტერნატივას. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში ასევე შედის საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების (გასტრიტი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული ქოლეცისტო-პანკრეატიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ქრონიკული ენტეროკოლიტი და დისბაქტერიოზი) მკურნალობა ფიტოთერაპიის და ნატუროპათიის ტრადიციული მეთოდებით, რაც ეფექტურად გააუმჯობესებს თქვენს ჯანმრთელობას. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №17. ტელ:. 2-25-20-50; 599 572508. 11-დან 17 საათამდე.

● მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.

● იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ვკერავთ თეთრეულს, ფარდებს, გადასაფარებლებს, ავტომანქანის შალითებს, ყველაფერს ოჯახისა და ოფისებისათვის. ტელ: 258-93-94; 595-96-64-63.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

# ბაშარ ასადის რეჟიმს მკაფიო სიგნალს“ უგზავნიან

აშშ მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოება რუსეთისა და ჩინეთის მონაწილეობის გარეშეც „სირიის მეგობარი ქვეყნების“ შეხვედრის დროს ასადის რეჟიმს „საკმაოდ მკაფიო სიგნალს გაუგზავნის“.



შესაბამისი განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარკ ტონერმა გააკეთა.

– გაეროს უშიშროების საბჭოში რეზოლუციისათვის ხმის მიცემის პროცედურის შემდეგ, როდესაც ორმა ქვეყანამ საკუთარი თავის იზოლირება მოახდინა, ხოლო დანარჩენებმა სირიელ ხალხს დაუჭირეს მხარი, არც არაფერი შეცვლილა. ხმის მიცემის პროცედურის შემდეგ ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენი განზრახვის შესახებ, შევქმნათ „სირიის მეგობარი ქვეყნების ჯგუფი“, რასაც ახლა ვაკეთებთ კიდეც, – აცხადებს ტონერი.

მისივე თქმით, გაეროს უშიშროების საბჭოში მიმდინარე კენჭისყრის დროს 70-ზე მეტმა ქვეყანამ განაცხადა, რომ სირიელ ხალხს უჭერდა მხარს.

– ჩვენ გვჯერა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ასადზე ძლიერ ზეწოლას განახორციელებს, – განაცხადა ტონერმა.

ამასთან ერთად, ტონერმა სინანული გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთმა და რუსეთმა უარი თქვეს „მეგობარი ქვეყნების“ შეხვედრაში მონაწილეობაზე.

კონფერენცია „სირიის მეგობრები“ ტუნისში იმართება. ინფორმაციას „ჯი-ეიჩ-ენი“ ავრცელებს.

ამ ფონზე გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი სირიაში გაეროსა და არაბეთის სახელმწიფოების ლიგის სპეციალურ წარმომადგენლად დაინიშნა.

ანანის დანიშვნის გადაწყვეტილება გაერომ გააჟღერა და მას სირიელი ხალხისთვის კრიტიკულ მომენტში უმნიშვნელოვანესად მიიჩნევენ.

გაეროსა და არაბეთის სახელმწიფოების ლიგის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ყოფილი გენერალური მდივანი მაქსიმალურ ძალისხმევას გამოიყენებს, რათა სირიაში დასრულდეს ძალადობა და ადამიანის უფლებების დარღვევა, ასევე „ხელს შეუწყობს სირიის კრიზისის მშვიდობიან დარეგულირებას“.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ანანის დანიშვნა მიზნად კრიზისის დარეგულირებაში დიპლომატიური ძალისხმევის შენარჩუნებას ისახავს.

დასავლეთის ქვეყნები და არაბეთის სახელმწიფოების ლიგა სირიისგან ძალადობისა და ცეცხლის დაუყონებლივ შეწყვეტას მოითხოვს. დღის წესრიგში ასევე დგას საკითხი მნიშვნელოვნად დაზარალებული რეგიონებისადმი ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ სირიაში ანტისამთავრობო გამოსვლები 2011 წლის მარტში დაიწყო. გაეროს მონაცემებით, დაღუპულთა რაოდენობა 6 ათას ადამიანს აღწევს.

ადამიანის უფლებათა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისარი, ნავი პილაი, გამოვიდა მოწოდებით, სასწრაფოდ გატარდეს საერთაშორისო ზომები სირიაში სამოქალაქო პირების დასაცავად – იმ ფონზე, როცა სირიაში მთავრობის ჯარები განაგრძობენ საცხოვრებელი უბნების დაცხრილვას ანტისამთავრობო გამოსვლების ცენტრად ქცეულ ქალაქ ჰომსში.

– იმ ფაქტმა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო შეთანხმება მკაცრ, კოლექტიურ ნაბიჯებზე, როგორც ჩანს, სირიის მთავრობა კიდევ უფრო მეტად შეაგულიანა თავისი ხალხის დახოცვისა და პროტესტის ჩახშობისთვის, – განაცხადა პილაიმ.

ფაქტია, რომ სირია აშშ-ისა და რუსეთის სერიოზული დაპირისპირების მიზეზად იქცა. ქვეყანაში მიმდინარე ტრაგიკულმა მოვლენებმა შეიძლება დასავლეთ-ირანის დაპირისპირებაში დამაჩქარებელი ფაქტორის როლი შეასრულოს.

უცხოური საინფორმაციო საშუალებების გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სირიის სამოქალაქო ომში უკვე გამოჩნდნენ უცხო ქვეყნის სპეცრაზმელები – თითქოს ბაშარ ასადის რეჟიმის მხარდასაჭერად თეირანმა 15 ათასი სპეცრაზმელი გაგზავნა, თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთისა და კატარის სპეციალური ძალების ინსტრუქტორები თურმე სირიელ აჯანყებულებს ეხმარებიან.

პრეზიდენტ ასადის რეჟიმს პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას გაეროს უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრიც – ჩინეთი და რუსეთი – უცხადებს. მოსკოვმა და პეკინმა უკვე ორჯერ დაადეს ვეტო და ჩააგდეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც სირიაში სამოქალაქო ომის შეწყვეტასა და ბაშარ ასადის გადადგომას მოითხოვდა.

გარდა ამისა, სირიის პრეზიდენტთან მისმა რუსმა კოლეგამ ორი მაღალჩინოსანი – საგარეო საქმეთა მინისტრი და საგარეო დაზვერვის შეფი აფრინა საიდუმლო გზავნილით.

არაბულ მასმედიაში ამტკიცებენ, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვის უფროსმა ფრადკოვმა პრეზიდენტ ასადს „მიართვა“ რუსული კოსმოსური სადაზვერვო თანამგზავრების მიერ გადაღებული ფოტოსურათები, რომლებზეც ჩანს სირიელ აჯანყებულთა ბაზები, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა კი გადასცა კრემლის დანაბარები – სირიის ხელისუფლებამ დაიწყოს გადამწყვეტი საბრძოლო ოპერაცია ოპოზიციის გასანადგურებლად, მოსკოვი კი მათ მხარს დაუჭერს საერთაშორისო არენაზე და პირველ რიგში – გაეროში.

კრემლში არ სურთ, ლიბიის მსგავსად, სირიაზეც გავლენა დაკარგონ.

გარდა იმისა, რომ რუსეთს ამ ქვეყანასთან რამდენიმემილიარდიანი სამხედრო ხელშეკრულებები აქვს დადებული და მათი გაუქმება არ უნდა (როგორც ეს მუამარ კადაფის რეჟიმის დამხობისას მოხდა), მოსკოვს სურს, შეინარჩუნოს ხმელთაშუა ზღვაში, სირიის პორტ ტარტუსში განლაგებული ერთადერთი სამხედრო-საზღვაო ბაზა და განაახლოს მძლავრი რადიოელექტრონული დაზვერვის ცენტრის მუშაობა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც მეზობელ ქვეყნებს (და პირველ რიგში – ისრაელს) ზვერავს.

პრეზიდენტ ასადის რეჟიმის სწრაფი დამხობა და მეზობელ სირიაში არეულობა ისრაელსაც უნდა აძლევდეს ხელს.

საქმე ის არის, რომ ირანის ატომური ობიექტებისკენ მიმართული უმოკლესი საჰაერო გზა ისრაელიდან ირანამდე სწორედ სირიასა და ერაყზე გადის. ერაყის საჰაერო თავდაცვის სისტემა მოშლილია და, თუკი სირიაშიც დაამხობენ პრეზიდენტ ბაშარ ასადის ხელისუფლებას, ოპოზიციას კარგა ხანს არ ეცლება საჰაერო თავდაცვისთვის, რაც ისრაელის დამრტყმელ თვითმფრინავებსა და საჰაერო ტანკერებს საშუალებას მისცემს, დაუბრკოლებლად გაფრინდნენ ირანისკენ.

სირიის პრობლემა და გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის ხისტი პოზიცია ძაბავს თეთრი სახლისა და კრემლის ურთიერთობას, რაც პრეზიდენტ ობამას მკაცრ გამოსვლებსაც დაეტყო.

სავარაუდოდ, დასავლეთი ყველანაირად ეცდება ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობას, თუმცა, როგორც ჩანს, ამჯერად რუსეთი მუამარ კადაფივით ხელში არ შეატოვებს მათ სირიის პრეზიდენტს.

გ.მ.

# სომხები ევროვიზიის“ კონკურსს ბოიკოტს უცხადებენ




სომეხმა მომღერლებმა ბაქოში გასამართი „ევროვიზიის“ კონკურსისათვის ბოიკოტის გამოცხადების განცხადება გაავრცელეს.

აღნიშნულის მიზეზი სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სომეხი ჯარისკაცის დაღუპვა გახდა.

განცხადებას, რომელიც ევროპის მაუწყებლების კავშირსა და სომხეთის საზოგადოებრივ ტელევიზიას გაეგზავნა, სომხეთის 20-ზე მეტი აღიარებული მომღერალი აწერს ხელს.

სომეხი მომღერლები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან კონკურსში მონაწილეობისთვის, თუ „ევროვიზია – 2012“ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში გაიმართება.

ინფორმაციას „ჯი-ეიჩ-ენი“ ავრცელებს.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსი– ყოველწლიური შეჯიბრებაა, რომელიც იმართება ევროპის მაუწყებელთა გაერთიანების აქტიურ წევრებს შორის.

თითოეული წევრი ქვეყანა ირჩევს და წარმოადგენს სიმღერას, რომელიც ცოცხლად უნდა შესრულდეს ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, ხოლო შემდეგ ხმას აძლევს სხვა ქვეყნის შემსრულებლებს, რათა გამოვლინდეს წლის ყველაზე პოპულარული სიმღერა.

ყოველი ქვეყანა მონაწილეობას იღებს ერთ-ერთი მათი ნაციონალური, ევროპის მაუწყებელთა გაერთიანების წევრი ტელევიზიის მეშვეობით.

ამ ტელევიზიის მიზანია, შეარჩიოს მომღერალი, რომელიც ქვეყნის წარმომადგენელი იქნება საერთაშორისო კონკურსზე.

გ.მ.

წიგნის მოსიყვარულე ყმაწვილს, 12 წლის
**იაკობ პაპიაშვილს**
ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და კარგ დროში ცხოვრებას.
ვთცე, ლიზი, ნანუცა, ანასტასია, ავთო მამუ

## ორშაბათი 27 თებერვალი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ქართ. ფილმი "ლაზარეს თავგადასავალი" 14.00 დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" 15.00 ჩვენი ფერმა 15.30 დოკ. ფილმი 17.00 დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "მეორე შანსი" 21.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 00.45 საფარი 01.15 მოამბე 01.35 მხ. ფილმი "სამყაროთა ომი" (15) (ტ. კრუზი) 03.40 მხ. ფილმი "ოფიცერი და ჯენტლმენი" (18) (რ. გირი) 05.50 სერ. დედამიწის დასალიერისკენ"

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი "მერლინის შეგირდი" 10.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.00 მხ. ფ. "ნიანგი დანდი" 14.30, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "ხატი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "ჩურჩული ღამით"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მიყვარხარ ლოლა" 19.50 სერ. "სახლი მეზობლად" 22.00 კონცერტი 23.00 ოსკარის დაჯილდოების ცერემონია 02.00 შუა დღე 03.30 პატრული 04.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ეჰ მეგობრებო" 1-ლი ს. 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ."ბედისწერის ქალა" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 ქართ. მხ. ფილმი "სიყვარულის ბალადა" 00.00 სიმართლის დრო 01.15 მხ. ფილმი "შიშის აჩრდილი" (12) (მ. დევისი) 03.05 მხ. ფილმი "მეცხრე ლეგიონი" (ჩ. ტატუმი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50 სერ. "ქუ მგელი" 13.50 1000 წვრილმანი 15.15 სერ. "სიამაყე" 16.30 დროის ვექტორი 19.35 სერ. "მაფიოზა" 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" 1-ლი ნ. 14.00 კონცერტი – ვერდის რეკვიემი 15.05 განთიადის სტუმარი 15.20 დოკ. ფილმი "მესაზღვრე ბერები" 16.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ანდრია კრიტელი. სინანულის კანონი 19.25 დოკ. ფილმი "საქ. მეჭურჭლეთუხუცესი" ე. თაყაიშვილი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სღვთისმეტყველო საუბრები 22.30 ერთი ხელწერის შემოქმედება 22.45 ანდრია კრიტელის კანონის განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "მეფე და ბერი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

## სამშაბათი 28 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 დოკ. ფილმი "ღმერთი, მეფე და მამული" 15.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "მეორე შანსი" 21.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 მხ. ფილმი "ხანძარში დაკარგული ნივთები" (12) (ჰ. ბერი) 01.05 მოამბე 01.25 კავკასუს ლაივი 02.25 მხ. ფილმი "სამყაროთა ომი" (15) (ტ. კრუზი) 04.30 სერ. დედამიწის დასალიერისკენ""

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "ხატი" 01.00 მხ. ფილმი "მანჯურიელი კანდიდატი" (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მიყვარხარ ლოლა" 19.50 სერ. "სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 შიშის ფაქტორი 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ღამის შოუ (გან.) 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ."ბედისწერის ქალა" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 ნანუკას შოუ 23.40 თბილისი ლაივი 00.50 მხ. ფილმი "სარას განძორწინება" (ე. ჰარლი) 02.55 მხ. ფილმი "მისტერ და მისის სმიტები" (12) (ბ. პიტი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ. "მაფიოზა" 15.15 სერ. "სიამაყე" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 დოკ. ფილმი "ისინი" 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 სიახლენი 10.30 ერთი ხელწერის შემოქმედება 10.45 დოკ. ფილმი "მეფე და ბერი" 11.20 სღვთისმეტყველო საუბრები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 დოკ. ფილმი "საქ. მეჭურჭლეთუხუცესი" 13.20 დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" მე-2ნ. 14.15 კონცერტი – გიზი ამირეჯიბი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" 16.25 დოკ. ფილმი "ვარძია" 16.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.15 ანდრია კრიტელი კანონი (მსახურება) 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ანდრია კრიტელის სინანულის კანონი 19.30 დროის ჩანაწერები 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 მარხვა და ლოცვა. მიტროპოლიტი დანიელი 22.20 მგზავრები წუთისოფლისა 22.45 ანდრია კრიტელის კანონის განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქრონიკები დიდი მამულიშვილების ცხოვრებიდან 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კარაბადინი

## ოთხშაბათი 29 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" 15.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 17.00 ეკონომ მენიუ 18.00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-ალბანეთი 21.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 ევროკავშირი და საქართველო 23.40 მხ. ფილმი "ქარიშხლიანი მაღლობები" (ჯ. ბინოში) 01.50 მხ. ფილმი "ხანძარში დაკარგული ნივთები" (12) (ჰ. ბერი) 03.55 მხ. ფილმი "პარვარდელი უსახლკარო" (18)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 სერ."ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "ჯესიკა" 01.00 მხ. ფილმი "ტომი ბიჭი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ეთამაშე ვარსკვლავს 16.30 სიცილის ზონა 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მიყვარხარ ლოლა" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 მუს. ლიგა (გან.) 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ."ბედისწერის ქალა" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 იუმორინა 23.00 ღამის შოუ 00.00 მხ. ფილმი "კეთილი მწყემსი" (კ. სლეიტერი) 01.55 მხ. ფილმი "ბრილიანტის ამბავი" (12) (ბ. ჰოვარდი) 03.35 მხ. ფ. "უკანასკნელი ლეგიონი" (კ. ფერტი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ. "მაფიოზა" 15.15 სერ. "სიამაყე" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.35 მარხვა და ლოცვა. მიტროპოლიტი დანიელი 11.00 ჩვენი ფონდი 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.20 დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" მე-3ნ. 14.25 გაცოცხლებული წარსული – სვეტიცხოვლის გუნდი 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "ათონის ქართველთა სავანე" 16.00 მარხვის კარიბჭესთან 16.30 კვირიაკე 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 მრავალჟამიერი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 დოკ. ფილმი "დავით გარეჯი" 1-ლი ნ. 21.05 პატრიარქის ქადაგება 22.20 ქართული ალბომი 22.45 ანდრია კრიტელის კანონის განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 01.35 კონცერტი – ელისო ბოლქვაძე

## ხუთშაბათი 1 მარტი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ევროპული არჩევანი 14.00 აღმოაჩინე საქართველო 14.30 დოკ. ფილმი "რჩევა ახალგაზრდა კინორეჟისორებს" 15.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "მეორე შანსი" 21.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.00 სი ბემოლი 01.20 საფარი 01.50 მხ. ფილმი "ველურ პიროვნებში" (12) (შ. პენი) 04.25 სერ. დედამიწის დასალიერისკენ""

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 სერ."ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "ჯესიკა" 01.00 მხ. ფილმი "გამდიდრდი და მოკვდი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 კომედი შოუ 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მიყვარხარ ლოლა" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 22.00 პროფილი 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 100 გრადუსი (გან.) 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ."ბედისწერის ქალა" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 კონცერტი – მ. კაჭკაჭიშვილი 00.00 მხ. ფილმი "მინდა გახსოვდე" (12) (რ. პატინსონი) 02.25 მხ. ფილმი "როგორ მოვიპაროთ მილიონი" (ო. ჰეპბერნი) 04.25 მხ. ფილმი "წყალქვეშა საპყრობილე" (12) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი (გან.) 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.20 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ. "მაფიოზა" 15.15 სერ. "სიამაყე" 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.35 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 დოკ. ფილმი "დავით გარეჯი" 1-ლი ნ. 13.10 დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" მე-4ნ. 14.20 კონცერტი – ნიკა რაჭველი 15.05 განთიადის სუტმარი 15.30 დოკ. ფილმი "პირველად იყო სიტყვა" 16.25 დოკ. ფილმი "ჯიხეთი – დედათა მონასტერი" 17.05 ანდრია კრიტელის კანონი 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 ანდრია კრიტელის სინანულის კანონი 19.30 დოკ. ფილმი "დავით გარეჯი" მე-2ნ. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გამოყენებითი ხელოვნება 21.35 აქტუალური თემა 22.25 დოკ. ფილმი "ხვმლი" 1-ლი ნ. 22.45 ანდრია კრიტელის კანონის განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება 23.30 შაბათის სახარების განმარტება 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 დოკ. ფილმი "სინას მთა"

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## პარასკევი 2 მარტი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 თოქ-შოუ "არენა" 13.50 ჩვენი ეზო 15.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "მეორე შანსი" 21.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 კავკასუს ლაივი 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფ. "მაშენკა" (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი "ველურ პიროვნებში" (12) (შ. პენი) 05.05 სერ. დედამიწის დასალიერისკენ"" 06.05 მხ. ფილმი "ოჯახური ფილმი"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფილმი "წმინდანთა ცხოვრება" 01.00 მხ. ფილმი "შეუსრულებელი მისია 2"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 პროფილი (გან.) 18.45 სერ. "მიყვარხარ ლოლა" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.30 კომედი შოუს სკეტჩები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 ნანუკას შოუ (გან.) 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ. "ბედისწერის ქალა" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 ქარ. სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 100 გრადუსი 00.50 მხ. ფილმი "სასიყვარულო კერძები" (15) (პ. კრუსი) 02.50 მხ. ფილმი "სიცილიური კლანი" (ა. დელონი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 მხ. ფილმი 23.00 105 წუთი (პირდ.) 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "სიამაყე" 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.15 სერ. "ქალი გაიცნობს" 13.00 სამედიცინო გად."იმპულსი" 13.30, 19.35 სერ. "მაფიოზა" 15.15 სერ. "სიამაყე" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 19.35 კონცერტი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "ჯიხეთი – დედათა მონასტერი" 11.10 აქტუალური თემა 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 დოკ. ფილმი "დავით გარეჯი" მე-2ნ. 13.15 კონცერტი – საგალობლების სალამო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "ნაძარცვის კვალდაკვალ" 16.35 დოკ. ფილმი "შორია გურჯისტანამდე" 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 მარხვა და ლოცვა. მიტროპოლიტი დანიელი. 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 დოკ. ფილმი "მაცხოვრის სუდარა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დიდი მარხვა – მართლმადიდებლობის ზეიმი 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე

## შაბათი 3 მარტი

07.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.30 ან. ფილმი 10.00 საბ. ფილმი "პოლი" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა-პედია 11.30 ბავშვობანა 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ქართ. ფილმი "მხიარული რომანი" 13.55 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. შსს-დინამო 16.30 დოკ. ფილმი 17.00 დამზადებულია საქართველოში 17.30 მედ-ინფო 18.00 პირველი ტელევიზია 19.00 ეკონომ მენიუ 21.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.00 სერ. "ცისფერი ველოსიპედი" 23.00 ავტოპილოტი 00.00 მხ. ფ. "შეუსრულებელი მისია 3" (ტ. კრუზი) 02.25 წითელი ზონა 03.25 მხ. ფილმი "მეტი ვიდრე ცხოვრება" 04.55 სერ. დედამიწის დასალიერისკენ"" 05.55 მხ. ფილმი "დიდებს ხოცავენ არა"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 11.00, 15.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 17.30 მხ. ფ. "საპნის ოპერა" 19.00 საუკუნის პორტრეტები 19.30 ჩვენი სამართალი 20.00 მხ. ფილმი "წმინდანთა ცხოვრება" 21.30 მხ. ფილმი "ტრუმენის შოუ" 23.10 მხ. ფილმი "ოფიცერი და ჯენტლმენი"

08.00 კურიერი 08.30 სერ. "გაორება" 10.30 მხ. ფილმი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.30 ქართ. ფილმი 17.00 სერ. "ბიზნესი მაღალ ქუსლებზე" 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ. "მიყვარხარ ლოლა" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 21.00 კურიერი 22.00 კონცერტი "იავნანა" პირდაპირი 00.00 მხ. ფილმი (ტიტ.) 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი 09.15 საბ. ფილმი "დაკარგული საგანძურის მაძიებელნი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ჯანმრთელობა 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 13.10 რემონტი 14.30 ავტობიოგრაფია 15.20 სერ. "ჰანა მონტანა" 15.50 პოლიციის აკადემია (გან.) 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ."ბედისწერის ქალა" 20.30 სპეცრეპორტაჟი 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "ღვინის გზა" მე-3ს. (15) 00.00 სიმართლის დრო 01.15 მხ. ფ. "დედის ნეზიერა" (12) (კ. ბეიკონი) 02.40 ქრონიკა 03.05 მხ. ფილმი "ჯონი მნემონიკი" (კ. რივზი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "მარია ემილია" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 სერ. "კოდი კოპერნიკი" 14.10 სერ."ჯეკი და ლეზიოს ხე" 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 გადაცემა "ბრძოლა წესების გარეშე" 01.00 მხ. ფილმი 02.45 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 09.00 ანიმაცია 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30 მოგზაურის დღიური 13.00, 21.20 სერ. "ქალი გაიცნობს" 13.30 1 000 წვრილმანი 15.00 დოკ. სერ. "ბინდი- გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი 19.00 ქართ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მოგზაურის დღიური 23.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 კვირიაკე 12.15 დოკ. ფილმი "მაცხოვრის სუდარა" 13.30 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.05 ოპერა "ნაბუქო" 17.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ერთსულ. ვერნისაჟი 18.10 დოკ. ფილმი "იმედი მომავლისა" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ალბომი 19.40 დოკ. ფილმი "ექვთიმე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.20 სამოციქულო განმარტება 22.35 მარხვის კარიბჭესთან 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 წმ. თეოდორე ტირონი 23.25 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან 00.35 საქ. არქივიდან "ტალანტები და თაყვანისმცემლები" ფ. სულაბერიძე 01.20 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 01.30 დოკ. ფილმი "სიაუშ პირველი"

## კვირა 4 მარტი

08.00 ან. ფილმი 09.30 საბ. ფილმი "პატარა ინდიელის სწავლება" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა-პედია 11.30 ჩვენი ექსპრესი 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ჩვენი ფერმა 13.00 გააგრძელე საქართველოს ისტორია 13.30 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" 14.00 ფეხბურთი. საქ. ჩემპიონატი 16.30 ჩვენი ეზო 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 ჩემპიონთა ლიგის დღიური 18.30 მხ. ფილმი "მზის ჩასვლამდე" (ე. ჰოუკი) 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 სერ. "ცისფერი ველოსიპედი" 23.00 აღმოაჩინე საქართველო 23.30 უცნობი მუსიკა 00.30 დოკ. ფილმი "საინ ჰო" 01.30 მხ. ფილმი "ფრენკი და ჯონი" (15) (ალ პაჩინო) 03.35 მოამბე 03.55 მხ. ფ. "შეუსრულებელი მისია 3" (ტ. კრუზი) 06.00 მხ. ფილმი "უცნობი ჩემს გვერდით" (15)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 პარლამენტის სხდომის დაიჯესტი 17.00 დოკ. ფილმი 19.00 საუკუნის პორტრეტები 19.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია 20.00 მხ. ფ. "გულახდილობა" 21.30 მხ. ფ. "როკის სკოლა" 23.30 მხ. ფილმი "უკანასკნელი სამურაი"

08.00 კურიერი 08.30 სერ. "გაორება" 10.30 მხ. ფილმი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 13.00 ქართ. ფილმი 15.30 თქვენი შოუ (გან.) 17.00 სერ. "ბიზნესი მაღალ ქუსლებზე" 18.30 სიცილის ზონა 19.00 შერეკილები 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 კომედი შოუ 23.00 შიშის ფაქტორი (გან.) 00.00 მხ. ფილმი (ტიტ.) 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "თავზეხელაღებული ფრენკი" 09.50 ეტალონი 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 ბასტი-ბუბუ 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "ჰანა მონტანა" 14.30 სპეც. რეპორტაჟი 15.20 ქართ. ფილმი "ვერის უბნის მელოდიები" 18.00 წუთისოფელში 18.40 ქარ. სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 20.05 ქალური ლოგიკა 21.00 პოლიციის აკადემია 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "ღვინის გზა" მე-4 ს. (15) 00.00 თბილისი ლაივი 01.30 სერ. "გამოღვიძება" 1-2 ს. 02.55 მხ. ფილმი "ქალები" (12) (მ. რაიანი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "მარია ემილია" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 სერ."კოდი კოპერნიკი" 14.10 გადაცემა "ბრძოლა წესების გარეშე" 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 23.50 მხ. ფილმი 01.35 მხ. ფილმი

08.30 ანიმაცია 09.00 მუსიკა 09.00 სერ. "ექიმი ქმორი" 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 სერ. "გვენ ჯონსი" 12.30 მოგზაურის დღიური 13.00, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.00 "დრო" 15.00 დოკ. სერ. "ბინდი-გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი 18.00 მხ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.00

დილის ლოცვა 08.30 შაბათის სახარების განმარტება" 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.40 საქ. არქივიდან "ტალანტები და თაყვანისმცემლები" 11.35 ქართული ალბომი 12.10 დოკ. ფილმი "ექვთიმე" 13.25 ქართ. მულტფილმები 14.05 დოკ. ფილმი "იმედი მომავლისა" 14.30 კარაბადინი 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 გზა, რომლითაც ვიარე 16.25 აქტუალური თემა 16.50 მარხვის კარიბჭესთან 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.30 დოკ. ფილმი "მონასტრის ბინადარნი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.30 ოპერა "ნაბუქო"

## fcnhjghjuyjpb

### 25 თებერვალი _ ცვლილების დღეა

**ვერძი** – სასიამოვნო სიახლე კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **კურო** – რომანტიკული თავგადასავალი თქვენთვის მნიშვნელოვანი გახდება. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ეს დღე საინტერესოდ წარიმართება, კარგ ამბებს გაიგებთ. **ლომი** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **ქალწული** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათი ნახვა სტიმულს მოგცემთ. **სასწორი** – უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, რა იცით, რა ხდება. **ღრიანკალი** – არ აყვეთ ჭორებს, პრობლემები არ გჭირდებათ. **მშვილდოსანი** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თხის რქა** – ყველა საქმე გამოგდით, მთავარია მოინდომოთ. **მერწყული** – არ აყვეთ ნერვებს, თავი შეიკავეთ. **თევზები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით.

### 26 თებერვალი _ წარმატებული დღეა

**ვერძი** – მშვენიერი დღე გელით. **კურო** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთავარია დრო გამონახოთ. **ტყუპები** – ავად ნამდვილად არ ხართ, უბრალოდ, დასვენება გჭირდებათ. **კირჩხიბი** – ახალ სამსახურს კარგად შეეგუებით. **ლომი** – ბედი გწყალობთ, საწადელს მიაღწევთ. **ქალწული** – ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – ფიქრი კარგია, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ. **ღრიანკალი** – პასუხის გაცემა მოგიწევთ, ოღონდ, მოიფიქრეთ, რა გაქვთ სათქმელი. **მშვილდოსანი** – არ აყვეთ პროვოკაციას, როგორმე თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – სახლში კარგი ამბავია, გახალისდებით. **მერწყული** – ყური მიუგდეთ ინტუიაცია, დღეს ასე აჯობებს. **თევზები** – შორს წასვლა არ ღირს, სტუმრები მოდიან.

უბცეჰდტ,ს ,ტცყბტჰ ცქტც=

# კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

*შალვა ჯოხაძე*



პატიმარი გოჩა არჩაია უყურადღებობით გარდაიცვალა, – ასეთ დასკვნას აკეთებს ადამიანის უფლებათა ცენტრი. 41 წლის პატიმარი გოჩა არჩაია 22 თებერვალს გლდანის №18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო დრომდე უკიდურესად მძიმე იყო. პატიმარს რამდენიმე მძიმე დაავადება ჰქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას არ ათავისუფლებდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრში განმარტავენ, რომ გოჩა არჩაია შემდეგი დიაგნოზით მკურნალობდა: ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზი ინფილტრაციის ფაზაში, აივ ინფექცია შიდსი ცე3 კატეგორია, განლევის სინდრომი, გახანგრძლივებული დიარეა; ქრონიკული ცე ვირუსული ჰეპატიტი; ქრონიკული ფრინგიტი. 2010 წლის 10 თებერვალს, სამედიცინო კონსილიუმის გადაწყვეტილებით, ავადმყოფი ანტიტუბერკულოზურ მკურნალობაში ჩაერთო. პატიმრის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო ანდრიაშვილი იცავდა. მისი თქმით, შიდსის საწინააღმდეგო თერაპია გოჩა არჩაიამ თვითნებურად შეწყვიტა, რადგან, როგორც თავად აცხადებდა, მკურნალობისას პრეპარატებს ისეთი გვერდითი მოვლენები ჰქონდა, როგორებიცაა: სისუსტე, თავბრუსხვევა, კიდურების ტკივილი და მოძრაობის გაძნელება. ამ ინფორმაციას ადასტურებს ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი.

მსჯავრდებული ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და იმუნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დისპანსერულ განყოფილებაში აღრიცხვაზე 2005 წლის 24 ნოემბრიდან იმყოფებოდა. ბოლო ლაბორატორიული გამოკვლევები მას 2010 წლის 16 მარტს ჩაუტარდა და განესაზღვრა დიაგნოზი: აივ ინფექცია/შიდსი, ცე3 კატეგორია; აქტიური ტუბერკულოზური ინფექცია, ქრონიკული ცე ვირუსული ჰეპატიტი. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული ბრძანება №72/ნ-ის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის მოხდისგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს წარმოადგენს: აივ ინფექცია შიდსი განლევის სინდრომით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატმა ნინო ანდრიაშვილმა ჯერ კიდევ 2011 წლის 22 სექტემბერს მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ კომისიას გოჩა არჩაიას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესასწავლად და მისი სასჯელისაგან გათავისუფლების მოთხოვნით. კომისიას ერთი თვის ვადაში უნდა მიეღო გადაწყვეტილება, მაგრამ, ადვოკატის დაინტერესების მიუხედავად, საქმე დღემდე არ განხილულა. მსჯავრდებული ადვოკატთან შეხვედრისას ითხოვდა, რომ, მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ცხოვრების ბოლო დღეები გაეტარებინა მის ოჯახთან, შვილებთან და მეუღლესთან ერთად.

– ადამიანის უფლებათა ცენტრი შეშფოთებულია პატიმრებისადმი უგულისყურო დამოკიდებულებითა და უყურადღებობით, რაზეც პასუხისმგებლობა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ კომისიას ეკისრება. იმედია, პატიმარ გოჩა არჩაიას გარდაცვალების ფაქტი უკანასკნელი იქნება და სამომავლოდ კომისია შეასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს – დროულად შეისწავლის მსგავს საქმეებს და სწრაფად მიიღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს, – აცხადებენ ადამიანის უფლებათა ცენტრში.

გ.ჭ.

# რუსეთის პატრიარქი მთავრობას ხალხის აზრის გათვალისწინებას ურჩევს

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე მეორე ახალ მთავრობას ხალხის აზრის უფრო მეტად გათვალისწინებას ურჩევს.

– არავის უნდა, თავი შევიწროებულად იგრძნოს. ყველას ხმა გათვალისწინებული უნდა იყოს და ეს მთავრობამ აუცილებლად უნდა დააბალანსოს, – ნათქვამია დოკუმენტში, რომელიც ცოტა ხანში რუსეთის მომავალ პრეზიდენტს გადაეგზავნება.

– ეკლესია მზადაა, შუამავლის როლი იტვირთოს და დიალოგის მეშვეობით განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ჯგუფები გააერთიანოს, – წერს რუსეთის საპატრიარქოს მრჩეველთა საბჭო.

აღსანიშნავია, რომ მრჩეველთა საბჭო რუსეთში არსებული სოციალური კრიზისისა და რუსეთის მოქალაქეების რადიკალურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით მწუხარებას გამოთქვამს და იმედი აქვს, რომ მომავალში სიტუაცია უფრო ეფექტური იქნება, რადგან ეს მთავრობა პრობლემების მოგვარებას მოახერხებს.

ცოტა ხნის წინ კირილმა ასევე განაცხადა, რომ „სწორად გამოხატულმა პროტესტმა ქვეყანა პოლიტიკური კურსის კორექციისკენ უნდა მიიყვანოს“.



რუსეთის პატრიარქის თქმით, „აუცილებელია, ქვეყნის ხელისუფლებამ საპროტესტო მოძრაობების მონაწილეებს მოუსმინოს და დიალოგი აწარმოოს“.

– მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სწორად გამოხატულ პროტესტს პოლიტიკური კურსის კორექციისკენ მივყავდეთ. ეს ყველაზე მთავარია, – განაცხადა პატრიარქმა „ვესტი ნედელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და დასძინა, რომ ხელისუფლების უგრძნობლობა პროტესტის გამოხატვასთან მიმართებით „ძალიან ცუდი მაგალითია“.

ამას გარდა, კირილი საბჭოთა კავშირის დაშლასაც ნანობს. საეკლესიო-სამეცნიერო ცეტრისა და საზოგადოებრივი და სადამკვირვებლო საბჭოს შეკრებაზე სიტყვით გამოსვლისას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა საბჭოთა კავშირის დაშლა „ისტორიული რუსეთის ჩამოშლად“ შეაფასა.

ამის მიზეზად მან „ეროვნული აზროვნების, სიამაყისა და ისტორიის, საქმის უნარის დაცემა“ დაასახელა და რუსულ საზოგადოებას „ღირსების ამაღლებისკენ“ მოუწოდა, „რათა ისტორიაში აღარასდროს გამეორდეს ის, რაც 1990-იანი წლების დასაწყისში მოხდა“.

პატრიარქმა აქვე აღნიშნა, რომ „მმართველობით უკმაყოფილებამ და არასწორმა იდეოლოგიამ ხალხს სტიმული არ უნდა მისცეს, ქვეყნის სახელმწიფოებრიობა დაანგრიონ“.

– საბჭოთა კავშირის დროს ხალხი მმართველობის შეცვლას გეგმავდა, მაგრამ მოვლენებმა ისტორიული რუსეთი დაანგრია. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენი ერი ასეთი ცდუნებებისგან ყოველთვის დაცული იყოს, ცდუნებებისგან, რომლებიც ჩვენ გავიარეთ და ისტორიული რუსეთი დავკარგეთ, – აღნიშნა კირილმა.

კირილი აღიარებს, რომ პუტინის ძალისხმევის გარეშე რუსეთიც დაიშლებოდა:

„ღმერთმა თქვენ ბევრ საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობა დაგაკისრათ. თქვენი ძალისხმევის წყალობით მოხერხდა ტენდენციის დაძლევა, რომელსაც შეიძლებოდა, ქვეყანა დაშლამდე მიეყვანა“.

რუსეთის პატრიარქის შესახებ სხვადასხვა ცნობა არსებობს, რომ ის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა, აქვს მილიარდები და ოლიგარქის სტატუსითაც სარგებლობს.

გ.ჭ.

## ცფჳუკჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



### ანატოლი (ტუტკა) შულაიას გახსენება

ჩვენო საყვარელო ტუტკა, შორიდან გვინდა მოვაწვდინოთ ჩვენი ხმა მშობელ ქვეყანას და შენს სისხლხორცსა და მეგობრებს, ყველას, ვის გულშიაც არ ჩამკვდარა შენი ნათელი ხსოვნა, ყველას, ვისაც გული დასწყვიტე შენი სიკვდილით, გავახსენოთ, რომ 26 თებერვალს 40 წელი შეგისრულდებოდა.

არ გვეგულება მანდ ისეთი ადამიანი, ვინც გიცნობდა და ვისაც შენი გახსენება გულს არ აუჩუყებს, ვისაც თვალი ცრემლით არ აევსება და ყელში ბურთი არ გაეჩხირება, როცა მოგიგონებს. გვწამს, ეს ცრემლი წვიმად გადაიქცევა და მალამოდ დაგედება გულზე, უცხო მიწაში დამარხულს.

როდესაც ადამიანი ამქვეყნად უკვე აღარ არის, სხვები ცდილობენ, რომ ლამაზად წარმოაჩინონ მისი ცხოვრება, მაგრამ შენ ეს არ გჭირდება. ამ სიტყვების წამკითხავნი დაგვეთანხმებიან, რომ შენ მართლაც ლამაზად იცხოვრე. ყველას წარმოუდგება თვალწინ თბილი, ტკბილი, ალერსიანი, მუდამ მომღიმარი ტუტკა... რატომ იყავი ასეთი?.. რატომ?.. ალბათ, იმიტომ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ გეწერა და ამ უსაზღვრო სითბოს ამიტომაც აფრქვევდი ირგვლივ.

გამუდმებით გვაწვალებს ეს კითხვა – რატომ?.. მაგრამ ყველაფერი, ალბათ, უფლის ნებაა... ძალიან გვაკლიხარ, ძალიან გვენატრები, ძალიან გვტკივა უშენობა... უკვე რამდენი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. განა შევეგუეთ?.. ეს ასე არ არის... უბრალოდ, თავს ზემოთ ძალა არ არის და უგონო ნაბიჯისგანაც სასუფეველში შენთან შეერთების სურვილმა იხსნა დედაშენი.

ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა... ხშირად გვიფიქრია და ხშირად ხმამაღლაც გამოგვითქვამს ეს აზრი... მაგრამ მომხდარს აღარაფერი ეშველება... რით ვინუგეშოთ თავი?.. გაგლეჯილ გულს აღარაფერი გაამთელებს. გმინვალა აღმოხდება სულს და ჩვენს გაღიმებულ სახეთა მიღმა დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს მოუშუშებელ იარას... მაგრამ, ვაი, რომ ვერაფერს გშველით!..

ნათესავებო, მეგობრებო, მოიგონეთ ჩვენი ტუტკა, ჩვენი ვაჟკაცი!.. თქვენს მონატრებას ჩვენი ტკივილიანი კვნესა შეუერთდება და გულზე მოგვეფონება, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ახსოვთ ჩვენი სევდაღიმილიანი ბიჭი...

ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო ვაჟკაცო!

*შენი დედა და დები*

ცფჳუკჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## hჰჯცღჯჰლბ ,




შვეულად: 1. გაწყალებული ღვინო; 2. გარეგნული მიმზიდველობა, ეშხი; 3. გაზის რუსული კომპანია; 4. ზმნის წარსული დრო; 5. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 6. გარკვეული წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების სია, ჩამონათვალი; 7. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 9. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 13. ცივსისხლიანი წყალხმელეთა ცხოველი; 14. ჯინის გასაზავებელი გაზიანი, უალკოჰოლო სასმელი; 15. ავღანეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა.

თარაზულად: 1. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი, სამკურნალო მცენარე; 4. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 8. კურსი, რომლის მიხედვითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 11. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 12. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 13. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი; 16. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 17. საქართველოს ეროვნული გმირი; 18. მინერალი, ალუმინის საუკეთესო მადანი; 19. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**

### ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ hჰჯცღჯჰლტ,ბც გფცეე[ტ,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. შარმი; 2. პლანკი; 4. თიბათვე; 5. „ნატალი“; 6. პლაგიატი; 7. ვალტორნა; 10. ალენი; 12. კასკადი; 13. მონტაჟი; 16. ღიღინი; 17. ბოცმანი; 18. შამანი; 19. ბელუჩი; 21. ბერნი.

**თარაზულად**: 3. კამათელი; 8. ფლეგმა; 9. ბონისტიკა; 11. ფლინტი; 12. „კალევი“; 14. „ტისენი“; 15. პროტეინი; 20. დებოში; 22. კატორღა; 23. მესი; 24. „ფრეჟიუსი“; 25. შუნი; 26. იანუსი; 27. დიქტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ფიტი; 2. „ხიხვი“; 3. აჯიკა; 4. „ფორდი“; 5. ნეპერი; 6. კლიასერი; 7. ილუმინაცია; 9. გიბრალტარი; 10. მინიატურა; 13. კალასი; 14. ნადალი; 15. კუპრი.

**თარაზულად**: 1. ფერხისა“; 4. ფონეტიკა; 8. ბანგი; 11. სიურტე; 12. ხუნდი; 13. კონუსი; 16. „ფაუსტი“; 17. ემანსიპაცია; 18. მაყვალი; 19. ტიტუსი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

25 Tebervali

- აშშ დოლარი — 1,6678
- ევრო —2,2122
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518
- რუსული რუბლი — 0,0561

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2–5, ღამით — -3–0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0–3, ღამით — -5 -2

**ამინდის პროგნოზი 25 თებერვლისთვის**




# 27 იანვრიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად




## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

### მეორე ტომი

### 100 გამოჩენილი მხედართმთავარი

გამოსულია

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

**პირველი ტომი – ტირანები**




გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საქმო
- მაფიის ისტორია

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

# 22 თებერვლიდან

**ექბრფკეპბ გპჯტმნბ**

„ახალ თაობასთან“ ერთად

იყიდება უნიკალური პროექტის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

მე-20 ტომი

# პეპდტკნბ

3!)) ობუყინ4 იცლბც
ბ3 ფლფ3ბფყსფ ,ბχუ3ფაბც,ბ7
ჰჯ3ცკხსფნ ცბცბ hღფჯბ
ცფნჯცცს 3ცჯაკბჯ
გჯკბნბhფიბ7 3ცნყბცჰც,ფცფ
ცფ hეკნეჰფიბ8

**უფპბსბ ლფ ოზუყბ ტპსფლ * კფპბ**




## h3χ(ϱχ3ლბ ფ

**შვეულად:** 1. მუსლიმანური კალენდარი; 2. ხმელეთში შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 4. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 5. ბალეტ „დონ-კიხოტის“ პერსონაჟი; 6. დაბალი ბუფეტი სასადილო ჭურჭლისათვის; 7. ქიმიურ რეაქციაში მონაწილე ნივთიერება; 10. ინგლისელი მწერალი, „აივაგო“-ს ავტორი; 12. კინოთეატრი თბილისში; 13. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 16. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 17. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 18. გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა; 19. ავსტრალიური მოლაპარაკე თუთიყუში; 21. ქიმიური ელემენტი, აირი.

**თარაზულად:** 3. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 8. რეესტრი ბიბლიოთეკაში, რომელიც მიუთითებს, თუ სად ინახება ესა თუ ის წიგნი; 9. ქართველ მწერალ გიორგი ახვლედიანის ფსევდონიმი; 11. ძალოსნობის იარაღი; 12. გამოსაკითხი ფურცელი; 14. იაპონური ავტომობილი; 15. დეპარტამენტის მმართველი საფრანგეთში; 20. კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 22. ტროპიკებში გავრცელებული ობობასნაირი შხამიანი ცხოველი; 23. კურკოვანი ხილი; 24. ტვირთბრუნვით მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩინეთის ნავსადგური; 25. სუსტი არაყი; 26. რძის პროდუქტი; 27. ამა თუ იმ სხეულში არსებული ელექტრონების რაოდენობა.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

